

# **სამოქალაქო აკოდესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

# უცხოებრივი ქვემდებარების ნისამის დარღვევა

## განვითარება

№ას-635-598-2012

10 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა, სამეზობლო საზღვრის გასწორება

### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 6 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ბ-ემ მოპასუხების: ფ. ვ-ის, თ. კ-ის, ნ. ვ-ის მიმართ (მესამე პირი – ე. ს-ე) და მოითხოვა:

1. საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებსა (სარეგისტრაციო ნომრებით: ... და ..., რომელთა მიხედვით, მიწის ნაკვეთის ფართის ოდენობად მითითებულია 1883 კვ.მ) და 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში (რომელშიც გარიგების საგნის ფართის ოდენობად მითითებულია 1883 კვ.მ) შესაბამისი ცვლილებების შეტანა, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ოდენობად, 1883 კვ.მ-ის ნაცვლად, 1651 კვ.მ-ის მითითება;

2. თ. კ-სა და ნ. ვ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (სარეგისტრაციო ნომრებით: ... და ...) დაკავშირებით რეგისტრირებულ მონაცემებში, აგრეთვე, მათსავე საერთო სარგებლობაში არსებულ 160 კვ.მ ფართთან დაკავშირებით რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა და საერთო ჯამში დასახელებული მოპასუხების საკუთრებაში 1651 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება;

3. 25 კვ.მ მიწის ნაკვეთზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება (საკადასტრო კოდით: ...);

4. თ. კ-სა და ნ. ვ-ის მოსარჩევე გ. ბ-ის საკუთრებასთან დაკავშირებით სარჩელის აღდვრის დროისათვის არსებული საზღვრის 2011 წლის 10 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგენილ ფარგლებში მოყვანის დავალება, კერძოდ, ზ-ის (ანუ თ. მ-ის ქუჩის) მხარეს საზღვრის 1 მეტრით იმგვარად გადაწევა, რომ მათი ნაკვეთების საერთო სიგრძედ დადგენილყო 20.80 კვ.მ, ხოლო დ.ა-ის ქუჩის მხარეს მოსარჩე-

ლე გ. ბ-ის ნაკვეთის გვერდითი საზღვრის 46.20მ სიგრძის დონეზე საზღვარი გადაწეულიყო მოპასუხების საკუთრებაში 2 მეტრით.

სარჩელის თანახმად, 1953 წლის 14 ივლისის ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე გ. ბ-ის მამამ, ან გარდაცვლილმა მ. ბ-ემ მოპასუხე ვ-ან, კერძოდ, ან გარდაცვლილი ს. ვ-ან შეიძინა ქ.ქობულეთში, გ-ის ქ. №847-ში (ამჟამად, ...-ის №307-ში) მდებარე 600კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლითა და დამხმარე სათავსოთი. 1953 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს არსებული ტექალრიცხვის მასალებით და ამ მასალებზე დაყრდნობით შედგენილი 2011 წლის 10 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დგინდებოდა, რომ ვ-ეების საკარმიდამო ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენდა 3162კვ.მ-ს. დასახელებული მტკიცებულებებით ასევე დგინდებოდა, რომ 1953 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელის ოჯახის მიერ შეძენილი 600კვ.მ მიწის ნაკვეთი რეალურად გაიმიჯინა მოპასუხე ვ-ის საკარმიდამო ნაკვეთის საერთო 3162კვ.მ ფართიდან შემდეგი პარამეტრებით: ზ-ის (ანუ თ. მ-ის ქუჩის) მხარეს მოსარჩელის ნაკვეთის სიგრძე შეადგენდა 13მ-ს, ამავე ზომის იყო ნაკვეთის სიგრძე დ. ა-ის ქუჩის მხარეს, ხოლო ნაკვეთის გვერდითი ზომების სიგრძე ასევე იდენტური იყო და თითოეული შეადგენდა 46.20მ-ს ( $13 \times 46.20 = 600.6$ კვ.მ-ს).

საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ ს. ვ-ის ოჯახმა შვილს, ა. ვ-ეს (მესამე პირის, ე. ს-ის მეუღლე) საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან ცალკე საცხოვრებლის მოსაწყობად დ.ა-ის ქუჩის მხარეს გამოუყო 911კვ.მ (საკადასტრო მონაცემებით: ...). შესაბამისად, ტექალრიცხვის მონაცემებზე, როგორც პირველად სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, თ. კ-სა და ნ. ვ-ის საკუთრებასა და თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართი უნდა ყოფილიყო 1651კვ.მ (3162-600-911=1651-ს) და არა 1845კვ.მ. როგორც გამოიკვა, 2005 წლის 20 ოქტომბერს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს უდავო ნარმოების წესით განუხილავს მოპასუხე ფ. ვ-ის განცხადება და თავისი გადაწყვეტილებით (საქმე №2-494) ამ უკანასკნელის საკუთრებად ულიარებია ქ.ქობულეთში, დ.ა-ის ქ. №309-ში მდებარე 1883კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შემდგომში აღირიცხა კიდეც მის საკუთრებაში (სარეგისტრაციო მონაცემებით: ...). 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებით, მოპასუხე ფ. ვ-ემ 1883კვ.მ მიწის ნაკვეთი აჩუქა შვილებს – თ. კ-სა და ნ. ვ-ეს. აღნიშნული ქონება დაზუსტდა, კერძოდ, 1820კვ.მ მიწის ნაკ-

ვეთი დასაჩუქრებულების საკუთრებაში აღირიცხა იმავე წლის 17 სექტემბერს (სარეგისტრაციო მონაცემებით: ...). უძრავი ქონების რეალური გაყოფის შესახებ 2008 წლის 24 სექტემბრის შეთანხმებით, თ. კ-მა და ნ. ვ-ემ თანაბარწილად გაიყვეს დაზუსტებული 1820 კვ.მ ფართი და საბოლოოდ, საჯარო რეესტრში თითოეულის საკუთრებად დარეგისტრირდა 830-830 კვ.მ ფართები (საკადასტრო კოდებით: ... და ...). რაც შეეხებოდა 160 კვ.მ მინის ნაკვეთის ფართს, მასზე განთავსებული სახლით, იგი დარჩა საერთო საკუთრებაში;

სარეგისტრაციო წარმოების მასალებში არ მოიპოვებოდა სხვა რაიმე სამართლებრივი აქტი ან გარიგება (გარდა სასამართლოს 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა) იმის დასადასტურებლად, რომ მიმდებარედ არსებულ კონკრეტულ ფართზე რომელიმე მოპასუხებ დამატებით მოპოვა საკუთრების უფლება. გ. ბ-ემ, სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეზე მოითხოვა საქმის წარმოების განახლება, მაგრამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მას მხოლოდ იმ მიზეზით ეთქვა უარი, რომ გასული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხები უსაფუძვლიდ იყვნენ შეჭრილნი მის საკუთრებაში და მითვისებული ჰქონდათ 34.2 კვ.მ ფართი.

მოპასუხებება – თ. კ-მა და ნ. ვ-ემ, სარჩელზე წარადგინეს შესაგებელი, სადაც აღნიშნეს, რომ მოსარჩელე აპელირებდა 1953 წლის მდგომარეობით არსებულ ჩანაწერებზე, რომლებითაც რეალურად არ შეიძლებოდა ზუსტი საკადასტრო წერტილების დადგენა. მათ მიერ წარდგენილი საინვენტარიზაციო დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ 1883 კვ.მ ფართი ფ. ვ-ის სახელზე ირიცხებოდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და ეს ფართი მან შემდგომში აჩუქა შვილებს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 მარტის სხდომაზე აპელანტმა (მოსარჩელემ) უარი განაცხადა სარჩელის მოთხოვნაზე, რომელიც შეეხებოდა 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელ-

შეკრულებაში ცვლილებების შეტანას. ამავე სხდომაზე მან სარჩელი დააზუსტა და მოითხოვა:

1. ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 25კვ.მ მიწის ნაკვეთზე ნ. ვ-სა და თ. კ-ის საკუთრების თაობაზე საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) ბათილად ცნობა;

2. ქ.ქობულეთში, დ. ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 830კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9.2კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართის ნაწილში თ. კ-ის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) ბათილად ცნობა;

3. თ. კ-სა და ნ. ვ-ის მიმართ სასაზღვრო მიჯნის 2011 წლის 10 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგენილ საზღვრებში გასწორება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით:

1. გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკავშირდა;

2. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება;

3. გ. ბ-ის სარჩელის მოთხოვნაზე 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქმის წარმოება შეწყდა;

4. გ. ბ-ის სარჩელის მოთხოვნა თ. კ-სა და ნ. ვ-ის მიმართ სასაზღვრო მიჯნის გასწორების თაობაზე დარჩა განუხილველად;

5. გ. ბ-ის დაზუსტებული სარჩელი დაკავშირდა;

6. ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთში, დ. ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 25კვ.მ მიწის ნაკვეთზე ნ. ვ-სა და თ. კ-ის საკუთრებაში საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი;

7. ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთში, დ. ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 830კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9.2კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართის ნაწილში თ. კ-ის საკუთრებაში საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სანოტარო წესით დამოწმებული 1953 წლის 14 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით, მ. ბ-ემ (მოსარჩელის მამა) ს. ვ-ან (მოპასუხეების – თ. კ-სა და ნ. ვ-ის მამა) შეიძინა ქ.ქობულეთში, გ-ის ქ. №247-ში, 600კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ერთსართულიანი ქვის სახლი, რომელიც შედგებოდა ორი ოთახისა და დამხმარე ფართისაგან, დახურული კრამიტით. ნასყიდობის

ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება მ. ბ-ის სახელზე დარეგისტრირდა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში, რაზეც შედგა გეგმა-ნახაზი;

მხარეთა განმარტებებითა და ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული საინვენტარიზაციო გეგმა-ნახაზით დგინდებოდა, რომ გ. ბ-ეს უფლების დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე გააჩნდა ქობულეთში, დ. ა-ის ქ. №307-ში 600კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 116.9კვ.მ საცხოვრებელი სახლით, ხოლო, 490კვ.მ მიწის ნაკვეთი – უფლების დამდგენი საბუთის გარეშე, ე.ი. მთლიანობაში გ. ბ-ეს გააჩნდა 1090კვ.მ მიწის ნაკვეთი;

უფლების დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენდა სამკვიდრო მონმობა, რომლითაც გ. ბ-ეს საკუთრებაში გადაეცა მ. ბ-ის მიერ ს. ვ-ან შეძენილი უძრავი ქონება;

საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, მოსარჩელე გ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული იყო ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №307-ში მდებარე 900კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებული იყო შენობა-ნაგებობები: №1-428კვ.მ, №2-248კვ.მ და №3-46კვ.მ, რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა სამკვიდრო მონმობა და ქობულეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 7 დეკემბრის №116 დადგენილება;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკურებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით პათილად იქნა ცნობილი ამავე კომისიის 2005 წლის 7 დეკემბრის №116 დადგენილება, რომლითაც გ. ბ-ეს ტექალრიცხვის მონაცემებით რიცხულ მიწის ნაკეთზე დამატებით მიეაუთვნა 490კვ.მ მიწის ნაკვეთი და ჯამში საკუთრებაში გადაეცა 1090კვ.მ ნაკვეთი, თუმცა საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე გ. ბ-ის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ცვლილება არ დაფიქსირებულა;

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 20 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის თაობაზე, რომ ფ. ვ-ე ნამდვილად ფლობდა ქ.ქობულეთში, ა-ის ქ. №309-ში მდებარე 1883კვ.მ მიწის ნაკვეთს და საჯარო რეესტრს დაევალა, აღნიშნული ფართის რეგისტრაციაში გატარება;

ხსენებული გადაწყვეტილება აღსრულდა და 2005 წლის 7 სექტემბერს ფ. ვ-ის სახელზე გაიცა ტექნიკური პასპორტი, რომლის მიხედვით, ფ. ვ-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ.ქობულეთში, ა-ის ქ. №309-ში მდებარე უძრავი ქონება, კერძოდ მი-

ნის ნაკვეთი, რომლის დაზუსტებელი ფართი შეადგენდა 1883კვმ-ს, აგრეთვე, საცხოვრებელი სახლი, საერთო სასარგებლო ფართით 139.8კვ.მ;

2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ფ. ვ-ემ მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, 1883კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები აჩქა მის ქალიშვილებს, მოპასუხებს – თ. კ-ს და ნ. ვ-ეს თანაბარნილად, რაც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში;

საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 17 სექტემბრის საჯარო რეესტრის ამონანერით დგინდება, რომ განხორციელდა მოპასუხების, თ. კ-ის და ნ. ვ-ის მიწის ნაკვეთის დაზუსტება და მათი მიწის ნაკვეთის დაზუსტებულ ფართად, 1883კვ.მ-ის ნაცვლად, მიეთითა 1820კვ.მ, რომელიც შემდგომში რეალურად გაიყო მხარეებს შორის და S ნაწილი (830კვ.მ) დარეგისტრირდა თითოეულის ინდივიდუალურ საკუთრებად;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით, ქ.ქობულეთში, ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 25კვ.მ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა ნ. ვ-ის და თ. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. რეგისტრაციის საფუძვლად მიეთითა 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულება და 25კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის №352-08-4 დასკვნით დადგინდა, რომ: ა. ტექნიკური აღრიცხვის ნახაზის მიხედვით, თ. მ-ის ქუჩის მხრიდან ვ-ის მიწის ნაკვეთის სიგრძე უნდა იყოს 20.80 მეტრი. ფაქტობრივად მისი სიგრძე 21.80 მეტრია. გ. ბ-ის ნაკვეთის სიგრძე უნდა იყოს 13.0 მეტრი, ფაქტობრივად მისი სიგრძე 12.0 მეტრს შეადგენს. საპასპონტო მონაცემებსა და ფაქტობრივ მდგომარეობებს შორის არსებულ ერთი მეტრი დღევანდელი მდგომარეობით უკავია გ. ბ-ის მეზობლად მდებარე სახლთმთლობელობას; ბ. გ. ბ-ე ტექნიკური აღრიცხვის ნახაზის მიხედვით ფლობს 600 კვ. მეტრს და მისი პარამეტრებია: 13.00 X 46.20 მეტრზე; გ. დღეის მდგომარეობით, მეზობლად მდებარე თ. კ-ის და გ. ბ-ის მიწის ნაკვეთები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მყარი კაპიტალური ღობით და ეს ღობე შედას ტექნიკური აღრიცხვის ნახაზში ნაჩვენებ გ. ბ-ის კუთვნილ 600კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობში. ეს ზონა მდებარეობს მათ საცხოვრებელ სახლებს შორის, სადაც შეინიშნება გ. ბ-ის კუთვნილი საინჟინრო კომუნიკაციები. გ. ბ-ის მიწის ფართობის დანაკლისი აღნიშნულ ზონაში შეადგენს

### 34.2კვ.მ-ს;

მხარეთა განმარტებებით გამოირკვა, რომ სსიპ ლევან სამ-სარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის №352-08-4 დასკვნის „გ“ პუნქტში მითითებული 34.2კვ.მ მიწის ფართობი განთავსებული იყო მხარეთა საცხოვრებელ სახლებს შორის არსებულ გასასვლელში და იგი მოიცავდა ქ.ქობულეთში, ა-ის გამზირის №309-ში მდებარე ნ. ვ-ის და თ. კ-ის საკუთრება-ში რეგისტრირებულ 25კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთს, ასევე, თ. კ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 830კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9.2კვ.მ-ს. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერ-ტიზის დეპარტამენტის №352-08-4 დასკვნის კველევითი ნაწი-ლით, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა მიერ ნარდეგნილი ფოტოსურათებითა და მოსარჩელის განმარ-ტებით დადგინდა, რომ 1953 წლის ნასყიდობის ხელშეკრულე-ბის დადგების დროისათვის გ. ბ-ის საცხოვრებელი სახლი ვ-ის მიწის სამეზობლო საზღვრიდან დაცილებული იყო 1.2 მეტრის სიგრძის ასასვლელი კიბით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 1989 წლის შემდგომ, ძველი საცხოვრებელი სახლი დაინგრა, ბ-მა ააშენეს ახალი საც-ხოვრებელი სახლი, ხოლო ის მიწის ნაკვეთი, რაც მოიცავდა ასას-ვლელ კიბეს დატოვებული იქნა მისასვლელ გზად და ვ-ის მხრი-დან სადაც კაპიტალური მიჯნის აღმართვამდე ნარმოადგენ-და თავისუფალ მიწის ნაკვეთს, რომლითაც, სასაზღვრო კაპი-ტალური ღობის აღმართვამდე სარგებლობდა გ. ბ-ე.

დღევანდელი მდგომარეობით, სადაც სამეზობლო მიჯნა ნაცვლად 1.2 მეტრით მოშორებისა, გადიოდა გ. ბ-ის საცხოვრე-ბელი სახლის კედლის მიმდებარედ, თითქმის „0“-ოვანი მიბმით.

მხარეთა განმარტებებით ირკვეოდა, რომ ბათუმის საქალა-ქო სასამართლოს ნარმოებაში იყო იმავე მხარეებს შორის სამო-ქალაქო დავა იგივე სასაზღვრო მიჯნასთან დაკავშირებით. მთი-ვე განმარტებებით ირკვეოდა, რომ საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს ნარმოებაში იყო ადმინისტრაციული დავა გ. ბ-ის სარჩელისა გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქო-ბულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად (ცნობის, ქმედების დავალდებუ-ლებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტა-ნის თაობაზე, რაზეც 2011 წლის 30 მარტს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაქმაყოფი-ლებაზე უარის თქმის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტსა და 273-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელთა შესაბამისად, სასამართლო მხარეთა განცხადებით, ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩევები უარი თქვა სარჩელზე. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. ვინაიდან, გ. ბ-ემ, უარი განაცხადა და სარჩელის მოთხოვნაზე 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე უნდა შეწყვეტილიყო საქმის წარმოება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. რამდენადაც სადავოს არ წარმოადგენდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოცემული სარჩელის წარდგენამდე ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში მიღებულ იქნა გ. ბ-ის სარჩელი თ. კ-სა და ნ. ვ-ის მიმართ სასაზღვრო მიჯნასთან დაკავშირებით, რომელზეც დღეისათვის საქმის წარმოება შეჩერებული იყო, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოება სასაზღვრო მიჯნის გასწორების თაობაზე სარჩელის მოთხოვნის განუხილველად დატოვების საფუძველს განეკუთვნებოდა.

მოპასუხებების საკუთრებაში მიწის ნაკვეთის რეგისტრირებული მონაცემების ნაწილობრივ ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სარჩელის მოთხოვნაზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგ:

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეთა საკუთრებაში უძრავი ქონების რეგისტრაციის ნამდვილობის შემოწმების მიზნით, შეფასებას საჭიროებდა მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველიც;

სამოქალაქო კოდექსის 311-312-ე მუხლების შესაბამისად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობ-

ლიობა. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა;

მართალია, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, გ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული იყო ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №307-ში მდებარე 900 კვემ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მაგრამ ქიბულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2011 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე კომისიის 2005 წლის 7 დეკემბრის №116 დადგენილება, რაც საფუძლად დაედო ტექსტორიცხვის მონაცემებით გ. ბ-ე რიცხულ 600კვ.მ მიწის ნაკეთზე დამატებით 490კვ.მ მიწის ნაკვეთის მიკუთვნებას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნა, რომ საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე გ. ბ-ის საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერი ნამდვილი იყო მხოლოდ 600კვ.მ მიწის ფართზე და გ. ბ-ე წარმოადგენდა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან მხოლოდ 600კვ.მ მიწის ნაკვეთის კანონიერ მესაკუთრეს;

სამოქალაქო კოდექსის 170-172-ე მუხლების შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება;

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები;

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემომითითებული ნორმის თანახმად, გ. ვ-ის საკუთრებას წარმოადგენდა 600კვ.მ ფართის ის მინის ნაკვეთი, რაც 1997 წლის მდგომარეობით, ტექნიკური აღრიცხვის მონაცემებით გააჩნდა მხარეს მართლზომიერ სარგებლობაში;

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ამავე კოდექსის მე-4 მუხლისა და 103-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მოქმედებს პრინციპი, რომ იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სადაც;

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის №352-08-4 დასკვნითა და საქმის მასალებით დადგინდა, რომ დაზუსტებული სარჩელით მოთხოვნილი 34.2კვ.მ მინის ფართობი შედიოდა 1997 წლამდე ტექნიკური აღრიცხვის ნახაზის მიხედვით გ. ბ-ის კუთვნილ 600კვ.მ მინის ფართობში (სადაც იმავდროულად განთავსებული იყო გ. ბ-ის კუთვნილი საინჟინრო კომუნიკაციები). გარდა ამისა, ეს მინის ნაკვეთი განთავსებული იყო მხარეთა საცხოვრებელ სახლებს შორის არსებულ გასასვლელში და დღეისათვის იგი მოიცავდა ქ.ქობულეთში, ა-ის გამზირის №309-ში მდებარე, ნ. ვ-ის და თ. კ-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ 25კვ.მ ფართის მინის ნაკვეთს (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...), ასევე, თ. კ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 830კვ.მ მინის ნაკვეთიდან 9.2კვ.მ-ს (სუბრავი ქონების საკადასტრო კოდი №...);

ვინაიდან, სადაც მიჯნის აღმართვამდე ხსენებული მინის ნაკვეთით ( $25+9.2=34.2$ კვ.მ) სარგებლობდა გ. ბ-ე, იქ განთავსებული იყო მისი კუთვნილი საინჟინრო კომუნიკაციები, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის შესაბამისად, სადაც მინის ნაკვეთი გ. ბ-ის საკუთრებას წარმოადგენდა, რომლის მოპასუხების საკუთრებაში რეგისტრაციით ხელყოფილ იქნა გ. ბ-ის საკუთრების უფლება;

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 170-172-ე მუხლებიდან გამომდინარე, დაზუსტებული სარჩელის მოთხოვნა საჯარო რეგისტრის ჩანაწერების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამარ-

თლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, როცა ამ საქმისა და სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვაში ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 20 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტი, რომლის თანახმადაც, 1883 კვ.მ მიწის ნაკვეთი ფადიმე ვ-ის საკუთრებას წარმოადგენდა, პრეიუდიციული მნიშვნელობის იყო, ვინაიდნა მითითებული გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა უდავო წარმოების წესით დავის განხილვით, სადაც გ. ბ-ე მხარეს არ წარმოადგენდა;

იმის გათვალისწინებით, რომ ქ.ქობულეთში, ა-ის გამზირის №309-ში მდგარე, ხ. ვ-ის და თ. კ-ის საკუთრებაში 25 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე, აგრეთვე, თ. კ-ის საკუთრებაში 830 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 9.2 კვ.მ-ზე საკუთრების უფლება წარმოიშვა 2005 წლის 20 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტიდან, რაც მოსარჩელებ სადავო გასადა, ხოლო მოპასუხებსა ამ სადავო ქონებაზე მათი საკუთრების უფლების დამდგენი, კანონით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულება არ წარუდგენიათ, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე მოპასუხეთა საკუთრების შესახებ არსებული ჩანაწერი უზუსტო იყო, რაც მისი ბათილობის საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს თ. კ-მა და ხ. ვ-ემ. მათ მითითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარის საფუძვლები:

არასწორია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა, რომელიც ეყრდნობა ექსპერტიზის დასკვნას და აღნიშნულიდან გამომდინარე აკმაყოფილებს მოსარჩელის სააპელაციო საჩივარს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტისა დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაითვალისწინა ექსპერტიზის დასკვნა, კერძოდ, დასა-

ხელებული დასკვნა დაფუძნებულია 1953 წლის მონაცემებზე, რომელიც არ წარმოადგენდა ზუსტ მონაცემებს. გ. ბ-ის მინის ნაკვეთის სიგრძის თ. მ-ის ქუჩის მხრიდან ანალიზისას ექსპერტი მნიშვნელოვან შეცდომას უშვებს და თავის თავს ეწინააღმდეგებსა, კერძოდ, გამოკვლევისას ექსპერტი მიუთითებს, რომ გ. ბ-ეს თ. მ-ის ქუჩის მხრიდან ზღვაზე გასასვლელი აქვს სივრცით 18.70კვ.მ, ხოლო დასკვნაში ის აღნიშნავს, რომ მას გააჩნია 13 მეტრი. ამასთან, დასკვნიდან არ ირკვევა, თუ საიდან აქვს ექსპერტს აღებული საწყისი წერტილი;

მხარეებს შორის ადრეც არსებობდა გამმიჯნავი ღობე, მაგრამ იგი არ იყო მყარი, არამედ იყო ბადურა ღობე. მოსარჩელეს საჯარო რეესტრში დღეის მდგომარეობითაც რეგისტრირებული აქვს 900კვ.მ ფართი დაზუსტებული მონაცემებით, ანუ, ნერტილოვანი სიზუსტით ასახული. ამდენად, მხარეებს იმთავითვე ჰქონდათ ერთმანეთის მიწის ნაკვეთები გამიჯნული ბადურა ღობით და პრეტენზიები 1953 წლიდან დღემდე არ გააჩნდათ. შესაბამისად, გ. ბ-ეს არც ერთი კვადრატული მეტრი ფართი არ აკლია, უფრო მეტიც, მას რეგისტრირებული აქვს 300კვ.მ და ზღვაზე გასასვლელიც, 13 მეტრის ნაცვლად, 18.70 მეტრი გააჩნია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2011 წლის 6 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ბ-ემ მოპასუხების – ფ. ვ-ის, თ. კ-ის, ნ. ვ-ის მიმართ და მოითხოვა:

1. საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებსა (სარეგისტრაციო ნომრებით: ... და ..., რომელთა მიხედვით, მიწის ნაკვეთის ფართის ოდენობად მითითებულია 1883 კვ.მ.) და 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში (რომელიც გარიგების საგნის ფართის ოდენობად მითითებულია 1883 კვ.მ.) შესაბამისი ცვლილებების შეტანა, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ოდენობად, 1883 კვ.მ-ის ნაცვლად, 1651 კვ.მ-ის მითითება;

2. თ. კ-სა და ნ. ვ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (სარეგისტრაციო ნომრებით: ... და ...) დაკავშირებით რეგისტრირებულ მონაცემებში, აგრეთვე, მათსავე საერთო სარგებლობაში არსებულ 160 კვ.მ. ფართთან დაკავშირებით რეგის-

ტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა და საერთო ჯამში დასახელებული მოპასუხეების საკუთრებაში 1651 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება;

3. 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება (საკადასტრო კოდით: ...);

4. დაევალოს მოპასუხებას – თ. კ-სა და ნ. ვ-ეს მოსარჩევლე გ. ბ-ან არსებული საზღვრის 2011 წლის 10 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგენილ ფარგლებში მოყვანა, კერძოდ, ზღვის (ანუ თ. მ-ის ქუჩის) მხარეს საზღვრის 1 მეტრით იმგვარად გადაწევა, რომ მათი ნაკვეთების საერთო სიგრძედ დადგენილიყო 20.80მ, ხოლო დ.ა-ის ქუჩის მხარეს მოსარჩევლე გ. ბ-ის ნაკვეთის გვერდითი საზღვრის 46.20მ სიგრძის დონეზე საზღვარი გადაწეულიყო მოპასუხეების საკუთრებაში 2 მეტრით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩევლი არ დაემაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩევლები.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩევებ დააზუსტა სარჩევლი და მოითხოვა:

1. ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ნ. ვ-სა და თ. კ-ის საკუთრების თაობაზე საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) ბათილად ცნობა;

2. ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 830 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9.2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის ნაწილში თ. კ-ის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) ბათილად ცნობა;

3. თ. კ-სა და ნ. ვ-ის მიმართ სასაზღვრო მიჯნის 2011 წლის 10 თებერვლის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგენილ საზღვრებში გასწორება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით:

1. გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაემაყოფილდა;

2. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება;

3. გ. ბ-ის სარჩევლის მოთხოვნაზე 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქმის ნარმოება შეწყდა;

4. გ. ბ-ის სარჩელის მოთხოვნა თ. კ-სა და ნ. ვ-ის მიმართ სა-  
საზღვრო მიჯნის გასწორების თაობაზე დარჩა განუხილველად;

5. გ. ბ-ის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა;

6. ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთში, დ. ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 25 კვ.მ. მინის ნაკვეთზე ნ. ვ-სა და თ. კ-ის საკუთრებაში საჯარო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩა-  
ნაწერი;

7. ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთში, დ. ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 830 კვ.მ. მინის ნაკვეთიდან 9.2 კვ.მ. მინის ნაკვეთის ფართის ნაწილში თ. კ-ის საკუთრებაში საჯარო რეეს-  
ტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არსებითად განიხილა მოსარჩელის ორი მოთხოვ-  
ნა, კერძოდ:

1. ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 25 კვ.მ.  
მინის ნაკვეთზე ნ. ვ-სა და თ. კ-ის საკუთრების თაობაზე საჯა-  
რო რეესტრში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (უძრავი  
ქონების საკადასტრო კოდი: ...) ბათილად ცნობის თაობაზე;

2. ქ.ქობულეთში, დ.ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 830 კვ.მ.  
მინის ნაკვეთიდან 9.2 კვ.მ. მინის ნაკვეთის ფართის ნაწილში თ.  
კ-ის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული სარე-  
გისტრაციო ჩანაწერის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...)  
ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო  
სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ  
უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგის-  
ტრაციის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს  
ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 12 იანვრის  
გადაწყვეტილებით, ქ.ქობულეთში, ა-ის გამზირის №309-ში  
მდებარე 25.00 კვ.მ. მინის ნაკვეთზე განხორციელდა ნ. ვ-ის და  
თ. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია (უძრავი ქონების  
საკადასტრო კოდი: ...). რეგისტრაციის საფუძვლად მითითებუ-  
ლია 2008 წლის 18 იანვრის ჩუქების ხელშეერულება და 25.00  
კვ.მ. მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული სარეგისტრა-  
ციონ ჩანაწერით დაირღვა მისი უფლება, კერძოდ, 2011 წლის 12  
იანვარს განხორციელებული რეგისტრაციით მისი კუთვნილი 25  
კვ.მ. მინის ნაკვეთი მოექცა მოპასუხეთა საკუთრებაში, შესა-  
ბამისად, მოსარჩელე სადაცოდ ხდის 2011 წლის 12 იანვრის ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, სარეგისტრაციო ჩანა-  
წერის კანონიერებას და მის ბათილად ცნობას მოითხოვს.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. კ-ის საკუთრებაში აღირიცხა ქ.ქობულეთში, ა-ის გამზირის №309-ში მდებარე 830 კვ.მ. მინის ნაკვეთი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...). მითითებული ფართიდან მოსარჩევე დავობს მხოლოდ 9.2 კვ.მ-ის მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრაციის კანონიერებაზე, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, ეს ფართი მის საკუთრებას წარმოადგენდა და სადაც რეგისტრაციით არასწორად აღიცხა მოპასუხის საკუთრებაში.

საყურადღებოა, რომ მოსარჩევე თავდაპირველად მოითხოვდა საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანას, ხოლო, მოგვიანებით სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობას და, ორივე შემთხვევაში, თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოხსენებული დავა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს. ეს დასკვნა შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავების განსჯადობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის, №ძს-671-657(კ-12), განჩინება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ბ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე სამოქალაქი სამართლანარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განხილა იგი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლანარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გ. ბ-ის დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას ადმინისტრაციული სა-

მართალნარმოების წესით. გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, ხოლო, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული დავის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. კ-სა და ნ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1-ლი მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## პროცესის ხარჯების განაცილება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1706-1600-2012

18 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეუ-  
ლი ხარჯის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 31 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სს „პ. ბ-  
მა“ მოპასუხე შპს „ლ. ჰ. ჯ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოსარჩე-  
ლის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარ-  
ჯის – 32124.8 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2012 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით:

1. სს „პ. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. შპს „ლ. ჰ. ჯ-ას“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა  
17643.70 ლარის გადახდა;

3. შპს „ლ. ჰ. ჯ-ას“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 529.29  
ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწი-  
ფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაა-  
საჩივრა ორივე მხარემ.

მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნა-  
წილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და ამ ნა-  
წილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყო-  
ფილება.

მოპასუხემ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნა-  
წილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ამ ნაწილში ახა-  
ლი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე  
უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2012 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

1. სს „პ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
2. შპს „ლ. ჰ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
  3. შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
  4. სს „პ. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
  5. შპს „ლ. ჰ-ას“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 4015 ლარის გადახდა;
  6. შპს „ლ. ჰ-ას“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 120.45 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
  7. სს „პ. ბ-ს“ შპს „ლ. ჰ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 545.15 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.
- სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
 

შპს „ლ. ჰ-ას“ სარჩელი აღძრა სს „პ. ბ-ის“ წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 487174 აშშ დოლარისა და 5758.2 ლარის ოდენობით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 ნოემბრის №2/6046-10 გადაწყვეტილებით შპს „ლ. ჰ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხე სს „პ. ბ-ს“ შპს „ლ. ჰ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5758.2 ლარისა და 10366.52 აშშ დოლარის გადახდა;

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების საკითხი არ გადაწყვეტილა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ლ. ჰ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „პ. ბ-ს“ შპს „ლ. ჰ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 4238.20 ლარისა და 7174.52 აშშ დოლარის გადახდა, შპს „ლ. ჰ-ას“ უარი ეთქვა სს „პ. ბ-ის“ 1520 ლარისა და 3192 აშშ დოლარის დაკისრებაზე;

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხი არ გადაწყვეტილა;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით სს „პ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად, დაუშვებლობის გამო;

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხი არ გადაწყვეტილა;

სს „პ. ბ-მა“ შპს „ლ. ჰ-ის“ საქმესთან დაკავშირებით მის მომსახურე საადვოკატო ფირმას, შპს „ი. კ. პ-სს“ 2010 წლის 17 ოქტომბერს გადაურიცხა 17643.70 ლარი, ხოლო 2011 წლის 20 ოქტომბერს – 23974.08 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მოპასუხისმანი ითხოვდა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის მიხედვით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმტკეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემომითითებული წორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. ასეთი წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, აგრეთვე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებდნენ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს. კონკრეტულ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ასევე ის გარემოებაც, რომ სარჩელ-

ზე დამდგარი სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, შპს „ლ. ჰ. ჯ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ იყო უსაფუძვლო და მოპასუ-სისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვ-ნის დაკმაყოფილების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს გადაწყვეტილებაზე, როგორც სააპელაციო საჩივარი, ისე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ. სააპელაციო სა-ჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, საკასაციო საჩი-ვარი დარჩა განუხილველად დაუშვებელობის გამო. ამასთან, მი-უხედავად იმ გარემოებისა, რომ სს „პ. ბ-ს“ გააჩნდა იურიდიუ-ლი სამსახური, მოპასუხებ შპს „ლ. ჰ. ჯ-ის“ წინააღმდეგ საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით, საადვოკატო მომსახურე-ბის ხელშეკრულება დადო სხვა იურიდიულ კომპანიასთან.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იურიდიული მომ-სახურების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდე-ბულებები მიმიერთად არ უნდა დაწოლოდა მეორე მხარეს. ბულებრივია, სამართლწარმოება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან და იგი იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც იქნა გა-მოტანილი გადაწყვეტილება, წარმოებობა სარჩელის მოთხოვ-ნათა იმ ნაწილის პროცესუად, რომელიც მის სასარგებლოდ დაკმაყოფილდა (მოსარჩელე) ან მის მიმართ არ დაკმაყოფილ-და (მოპასუხე), მაგრამ არა შეუზღუდავად. როგორც აღინიშა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ წარმომადგენლის დახმარებისათვის განე-ული ხარჯების მაქსიმუმის ფარგლებში (დავის საგნის ღირებუ-ლების 4%), სასამართლოს ადვოკატის დახმარებისათვის საფა-სური უნდა განესაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქ-მის მოცულობის, დავის ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთუ-ლისა და სხვა ფაქტორების თანაზომიერი და გონივრული, არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პრო-ცესუად რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა (480000 აშშ დოლარი და 1520 ლარი), ადვოკატის დახმარებისათვის საფა-სურის გონივრული, მისაღები ოდენობის ფარგლებში, შპს „ლ. ჰ. ჯ-ას“ სს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 4015 (0.5%) ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-სით გაასაჩივრა შპს „ლ. ჰ. ჯ-ამ“, რომელიც მოითხოვს გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების გაუქმდებას და ახალი გადაწყვეტი-ლებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, მონინააღმდეგე მხარეს სასამართლოში საქმის წარმოების დროს (2010-2011 წლები) ადვოკატის ხარჯის განევის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია და, შესაბამისად, არც მოუთხოვია მის მიერ განეული ხარჯის მეორე მხარისათვის (მოსარჩელი-სათვის) დაკისრება. ამასთან, სასამართლოს ცალკე დავის საგნად არ უნდა მიეჩნია სხვა საქმეზე განეული პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი;

რაც შეეხება სარჩელის დაკამაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებას. ორივე შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების აუცილებელი წინაპირობების არსებობას კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზიანს გააჩნია თავისი შემადგენებელი აუცილებელი ნიშნები, კერძოდ: მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რომელი ნიშნებია სახეზე მოცემულ შემთხვევაში. სასამართლოში საქმის წარმოების დროს მხარის მიერ ხარჯების განევის ფაქტი არ წარმოადგენს მეორე მხარის დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანს და შესაბამისად – დანაშაულებრივ ქმედებას, რასაც აწესრიგებს სარჩელის საფუძვლად დასახელებული კანონის ნორმები. ამასთან, თუკი სახეზე არ არის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის ქმედება და ბრალი, მათ შორის არც მიზეზობრივი კავშირი არსებობს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს დელიქტით გათვალისწინებული მოქმედებისათვის დამახასიათებელი არც ერთი აუცილებელი წინაპირობა. ამდენად, სასამართლოს მსჯელობა სს „პ. ბ-ის“ მოპასუხის მიერ ზიანის მიყენებისა და მისი ანაზღაურების შესახებ, უსაფუძვლოა. საფულისხმოა ისიც, რომ მოთხოვნას უნდა გააჩნდეს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, მხოლოდ საპროცესო ნორმების გამოყენება დაუშვებელია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ლ. ჭ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემობათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე მოითხოვს იმ ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც მან გასწია ადვოკატის დახმარების გამო, მოპასუხესთან წარმოებულ სხვა დავაში.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ, მოპასუხესთან წარმოებული სხვა დავის გამო, მოსარჩელემ მის მომსახურე სა-ადვოკატო ფირმას 2010 წლის 17 ოქტომბერს გადაურიცხა 17643.70 ლარი, ხოლო 2011 წლის 20 ოქტომბერს – 23974.08 ლარი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ასევე, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხი არ გადაწყვეტილა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაჰკისრებოდა, ამ უკანასაწერების მიერ სხვა საქმეზე ადვოკატის დახმარების გამო, განეული ხარჯი გონივრული ოდენობით, კერძოდ – 4015 ლარი.

კასატორი მიიჩნევს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზე დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება დაუშვებელია. კასატორის მოსაზრებით, განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს მხარეთა მიერ გაღებული ხარჯების განაწილების წესს სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას და არა მისი დასრულების შემდეგ.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოხსენებული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: დასაშვებია თუ არა დამოუკიდებელი სარჩელით იმ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მოგებულმა მხარემ გასწია ძირითად სარჩელზე საქმის წარმოებისას?

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმათა სისტემური ანალიზი, რომლებიც პროცესის ხარჯებს შეეხება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. აღნიშნული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სა-

სამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თი-თოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადგომატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

მხარეთა შორის პროცესის ხარჯების განაწილების ზოგადი წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხ-ლში. ამავე კოდექსის 54-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლო ხარჯებისა და ადგომატის დახმარების გამო გადასახდელი ხარ-ჯების განაწილების წესს სარჩელზე უარის თქმისა და მორიგე-ბისას, ხოლო 55-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოსათვის სასამარ-თლო ხარჯების ანაზღაურების წესს.

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გადახ-დილი სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილება, ასევე სახელმწიფოსათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება წარ-მოებს სასამართლოს ინიციატივით, ხოლო, ყველა სხვა შემთხვე-ვაში, პროცესის ხარჯები მხარეთა შორის გადანაწილდება და-ინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის ხარ-ჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს სასამართლო გა-დაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დას-კვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გა-დაწყვეტილების სარეზოლუციო წარმოება უნდა შეიცავდეს სა-სამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლე-ბა დადგეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

ცხადია, ვინაიდან პროცესის ხარჯების განაწილება გადაწ-ყვეტილებით (განჩინებით) ხდება, მხარეებს შეუძლიათ მისი გა-საჩივრება ამ გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) ერთად. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით დასაშვებია ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ პროცესის ხარჯების განაწილების წარმოებით, თუ დაინტერესებული მხარე მიიჩნევს, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიუხედავად, სასამართლო

პროცესის ხარჯები არასწორად გაანაწილა.

თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის პროცესის ხარჯების განაწილებასაც (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი). იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხოლოდ პროცესის ხარჯების განაწილების ნაწილში და საჩივარი საფუძვლიანია, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ ამ ნაწილში შეცვლის გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილოს საჩივარი და უცვლელად დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ასეთ დროს წარმომომბა იმ ხარჯების განაწილების საკითხი, რომლებიც მხარეებმა გასწიეს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში. ამ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. და ბოლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის გარდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ხსენებული საკითხის გადაწყვეტის კიდევ ერთ მექანიზმს, რომელიც მოცემულია ამავე კოდექსის 261-ე მუხლში (დამატებითი გადაწყვეტილება). მითითებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოს მიერ ხარვეზით გამოტანილი გადაწყვეტილების გამოსწორების საშუალებაა, კერძოდ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილებით არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი, მას შეუძლია, ეს ხარვეზი გამოასწოროს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება, მომდინარეობდეს როგორც სასამართლოს, ასევე – დაინტერესებული მხარისაგან. ამდენად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო მექანიზმის არსებობა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, გამოასწოროს მის

მიერ დაშვებული ხარვეზი, როგორც თავისი ინიციატივით, ასე-ვე, მხარეთა თხოვნით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს პროცესის ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა, ისარგებლოს ზემოხსენებული საპროცესო მექანიზმებით და მოითხოვოს საქმის განხილვასთან დაკავშირებით მის მიერ განცეული პროცესის ხარჯების ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ისარგებლებს ზემოაღნიშნული შესაძლებლობით, იგი კარგავს პროცესის ხარჯების ანზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან ასეთ მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და იგი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სარჩელის დავის საგანი. აქედან გამომდინარე, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ დასაწყისში დასმულ კითხვას, კერძოდ, დაუშვებელია დამოუკიდებელი სარჩელით იმ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მოგებულმა მხარემ ძირითად სარჩელზე საქმის წარმოებისას გასწია (საკასაციო პალატის ზემოხსენებული დასკვნები შეესაბამება მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუსგ, 27 იანვარი 2014 წელი, საქმე №ძას-165-158-2013-ზარნაძე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩინოებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანხმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპერაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობა, ვინაიდან მოცემული სარჩელი იურიდიულად დაუსაბუთებელია, ანუ სასარჩელო მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რაც ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამო-

სილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთხნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენბისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 705.74 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე 300 ლარი, ანუ სულ გადახდილი აქვს 1005.74 ლარი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 545.15 ლარის გადახდა. აღნიშნული თანხა სასამართლომ გამოთვალა მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად. ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, შესაბამისად, მას სრულად უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ოღონდ იმ თანხის გამოკ-

ლებით, რაც სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს მოსარჩელეს, ანუ 1005.74 ლარს უნდა გამოაკლდეს 545.15 ლარი და დარჩენილი თანხა (460.59 ლარი) უნდა გადახდეს მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ჟ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ლ. ჭ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „პ. ბ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. სს „პ. ბ-ს“ შპს „ლ. ჭ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 460.59 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უცყების ჩაპარება

### განვითარება

№ას-66-64-2014

4 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „ვ. პ. ჯ-ამ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში ი. დ-ის, შპს „ჯ-ის“ და ჯ. ნ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩეულებით მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის – 365 548 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით სს „ვ. პ. ჯ-ას“ სარჩელი მოპასუხების ი. დ-ის, შპს „ჯ-ის“ და ჯ. ნ-ის მიმართ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დარჩა განუხილველად, რაც მოსარჩელემ კერძო საჩივრით გაასაჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით სს „ვ. პ. ჯ-ას“ ერთობ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება მოპასუხების ჯ. ნ-სა და შპს „ჯ-ის“ მიმართ სს „ვ. პ. ჯ-ას“ სარჩელის განუხილველად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. გასაჩივრებული განჩინება ი. დ-ის ნაწილში უცვლელად დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ვ. პ. ჯ-ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხების შპს „ჯ-სა“ და ჯ. ნ-ს მოსარჩელის სს „ვ. პ. ჯ-ას“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული ზიანის 365 548 ლარის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებმა სააპელა-

ციონ წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 3 სექტემბრის განჩინებით ჯ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

იმავე 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინებით შპს „ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება შპს „ჯ-იმ“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღს აითვლის 2013 წლის 25 ივნისიდან, რითაც იზიარებს საქალაქო სასამართლოს აშკარად კანონდარღვევით გავრცელებულ ინფორმაციას მოპასუხისათვის სარჩელის, თანდართული მასალებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე. არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი შპს „ჯ-ის“ არ ჩაბარებია. მოსარჩელისათვის ცნობილი იყო კომპანიის ფაქტობრივი მისამართი – თბილისი, კ-ის გზატკეცილი №44, მაგრამ განზრას არ მიუთითა სარჩელში. პირველი ინსტანციის სასამართლოს დოკუმენტები არ გაუგზავნია დირექტორისათვის. შპს „ჯ-ის“ წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე მისი დირექტორისათვის ცნობილი გახდა მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე დაიბარეს უწყებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „ჯ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

იმავე კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების

შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპხარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითად მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ სს „ვ. პ. ჯ-ამ“ მოპასუხე შპს „ჯ-ის“ ძირითად მისამართად მიუთითა ქ. თბილისი, უ-ის ქ. №2, რაც, სამერწამეო რეესტრის მონაცემებით, აღნიშნული კომპანიის იურიდიული მისამართია. ამ მისამართზე გაგზავნილი დოკუმენტები მხარეს არ ჩაბარდა, რის შემდეგაც სასამართლომ მიიღო განჩინება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაპხარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით. 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩაბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ზემოაღნიშნული ნორმების მიხედვით, სასამართლო საჯარო შეტყობინებას მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული საშუალებებით მხარეს გზავნილი ვერ ბარდება, ამასთან, ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, შეს-

რულებული უნდა იყოს იმავე ნორმით განსაზღვრული სავალ-დებულო პირობა: გზავნილი ადრესატს ორჯერ მაინც უნდა გა-ეგზავნოს სასამართლოსათვის ცნობილ ძირითად ან ალტერნა-ტიულ მისამართზე.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გა-ითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასა-მართლოს ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ შეუსრულებია. საქ-მის მასალები ადასტურებს, რომ მოსარჩევე შპს „ჯ-ის“ ძირი-თად მისამართან ერთად უთითებდა აღნიშნული საზოგადოე-ბის დირექტორის ადგილსამყოფელს და პროკურისტის მისა-მართს. სამეწარმეო რეესტრის ამონანერის თანახმად, როგორც დირექტორი ვ. მ-ი, ისე პროკურისტი პ. ფ-ა სარგებლობდნენ სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. პირველი ინ-სტანციის სასამართლოში საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე სასამართლოს არც უცდია დოკუმენტების მათვის ჩაბარება. იგი ერთხელ აგზავნიდა გზავნილს მხოლოდ შპს „ჯ-ის“ იური-დიულ მისამართზე და ჩატარებლობის შემდეგ, გამოჰქონდა განჩინება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, სა-სამართლო თავად ირჩევს ვის გაუგზავნოს სასამართლო დო-კუმენტები, უშუალოდ მზარეს თუ წარმომადგენელს, ასევე თა-ვად განსაზღვრავს 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინე-ბული რომელი საშუალების გამოყენებით ჩაბაროს გზავნილი ადრესატს, მაგრამ ამგვარი შერჩევა უნდა განხორციელდეს იმ ვარაუდით, რომ სწორედ ესაა მხარის ინფორმირების საუკეთე-სო საშუალება. ისეთ პირობებში, როდესაც საქმეში არსებობს უფლებამოსილი წარმომადგენლის მისამართი და თავად მხა-რეს გზავნილი არ ბარდება, სასამართლომ დოკუმენტები მხა-რის მისამართზე კი არ უნდა აგზავნოს, არამედ წარმომადგენ-ლისათვის ჩაბარებაც უნდა სცადოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, მოსარჩევის მითითებით, შპს „ჯ-ის“ დირექტორი ვ. მ-ი პატიმრობაში იმყოფებოდა და სასამარ-თლოს, შესაძლოა, მიზანშეწონილად არ მიეჩნია მისთვის დო-კუმენტების გაზიავნა, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, სარ-ჩელში მითითებული იყო პროკურისტის მისამართი, რომელსაც სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნდა და შეეძლო, შპს „ჯ-ის“ ინტერესების დაცვა, სასამართლოს კი, საქ-მის განხილვის არც ერთ ეტაპზე დოკუმენტები მისთვის არ გა-უგზავნია. რაც შეეხება საჯარო შეტყობინებას, საკასაციო სა-სამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ესაა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი საშუალება, რო-

მელსაც სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუ ამონურულია მხარის ინფორმირების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ყველა რესურსი, მათ შორის ის ვალდებულებაც, რომ დოკუმენტები მხარეს ეგზავნება სასამართლოსათვის ცნობილი მიზე ან სხვა მისამართზე ორჯერ მაინც. მოცემულ შემთხვევაში, კი პირველი ინსტანციის სასამართლო საჯარო შეტყობინებას ამ ვალდებულების შესრულების გარეშე მიმართავდა, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ შპს „ჯ-ის“ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჩაბარებია, ამდენად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება იმ საფუძვლით, რომ დარღვეულია გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადა, დაუშვებელია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ჯ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განჩინება და საქმე შპს „ჯ-ის“ სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მთკიცებულებების შეფასება

### განხილვა

№ას-1651-1548-2012

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, შესრულებული სამუშაოების ღირებულების დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. ა-მა და ვ. ა-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი. ხ-ის წინააღმდეგ და მოითხოვეს მოპასუხისათვის მათ სასარგებლოდ ზიანის – 30000 ლარის გადახდის დაკისრება, საიდანაც 18770 ლარი სარდაფის უკანონოდ გასხვისებით მიყენებულ ზიანია, ხოლო 11230 ლარი სველი წერტილების ბინაში განთავსებისათვის საჭირო ხარჯები.

მოპასუხე ი. ხ-ემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით ვ. და გ. ა-ის, თავის სასარგებლოდ, ჩატარებული სამუშაოების ღირებულების (2/3 წილის) – 20076 ლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა.

შეგებებული სარჩელის მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. და გ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. ხ-ეს, მათ სასარგებლოდ, დაეკისრა 11 202 ლარის გადახდა, საიდანაც 6666 ლარი წარმოადგენს სარდაფის გაყიდვით მიღებული ზიანის ოდენობას, ხოლო 4536 ლარი სააბაზანოს მოსაწყობად გათვალისწინებულ ხარჯს; გ. და ვ. ა-ის მოთხოვნა 18 798 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ი. ხ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: გ. და ვ. ა-ს, ი. ხ-ის სასარგებლოდ, დაეკისრათ 20 076 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. და ვ. ა-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება

და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ა-სა და ვ. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. და ვ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. ხ-ეს, მათ სასარგებლოდ, დაეკისრა სველი წერტილების მოსაწყობად გათვალისწინებული ხარჯის – 4536 ლარისა და სარდაფის გაყიდვით მიღებული ზიანის – 11085 ლარის ანაზღაურება, გ. ა-სა და ვ. ა-ს უარი ეთქვათ ი. ხ-ის სველი წერტილების მოსაწყობად – 6694 ლარის, ხოლო სარდაფის გაყიდვით მიღებული ზიანის – 7 685 ლარის ანაზღაურებაზე, ი. ხ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისში, ი. ხ-ას ქუჩაზე მდებარე 21-ე კორპუსის №2 ბინაში სამზარეულოსა და სააპაზანო-საპირფარეშოს მოსაწყობად ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრებოდა 6 805.2 ლარით, შესაბამისად, გ. და ვ. ა-ის მიყენებული ზიანი, მათი წილის პროპორციულად შეადგენდა 4536 ლარს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას სააპელაციო პალატა დაეყრდნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 16 აგვისტოს დასკვნას, რომლის მიხედვითაც, საცხოვრებელ ბინაში სველი წერტილების მოწყობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება საორიენტაციოდ 6 805, 2 ლარს შეადგენს, ხოლო აღნიშნული ბინის 2/3 ნაწილის გ. და ვ. ა-ის კუთვნილების ფაქტი განსაზღვრავს ი. ხ-ის მიერ გ. და ვ. ა-ის სველი წერტილების მოსაწყობად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას მათი წილების პროპორციულად, რაც საერთო ჯამში, იგივე საორიენტაციო მაჩვენებლით, 4536 ლარს შეადგენს (იხ.ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 16 აგვისტოს დასკვნა). პალატამ ყურადღება გააძახვილა იმ გარემოებაზე, რომ სარჩელში მითითებული სველი წერტილების მოსაწყობად 11 230 ლარის ხარჯის განევის საჭიროება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სველი წერტილების მოსაწყობად საჭირო აუცილებელი ხარჯის ოდენობის მტკიცების ვალ-

დებულება გ. და ვ. ა-ს ეკისრებოდათ, თუმცა მათ აღნიშნული გარემოებები ვერ დაადასტურეს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მართებულად დაეყრდნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 16 აგვისტოს დასკენსა ქ.თბილისში, ი. ხ-ას ქუჩაზე მდებარე 21-ე კორპუსის №2 ბინაში სამზარეულოსა და სააბაზანო – საპირფარეშოს მოწყობისათვის ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობასთან დაკავშირებით.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. და ვ. ა-ის სარდაფის გაყიდვით მიყენებული ზიანი 11 085 ლარს შეადგენდა. პალატის მოსაზრებით, გ. და ვ. ა-ის სარდაფის გაყიდვით მიყენებული ზიანის ოფენბობის დაანგარიშების კრიტერიუმად არ უნდა აღებულიყო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ფასი, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ღირებულება მხარეთა შორის შეთანხმებული პირობაა და ყოველთვის არ ასახავს აღნიშნული საგნის რეალურ საბაზრო ღირებულებას. განსახილველ შემთხვევაში, პალატის მოსაზრებით, ნასყიდობის ფასი – 10 000 ლარი, რომ არ ასახავს სარდაფის რეალურ საბაზრო ღირებულებას, დასტურდება თვით ი. ხ-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებითაც იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ მხოლოდ სარდაფზე განეული სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ 5 350 ლარი შეადგინა. ამდენად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სარდაფის გასხვისებით მიყენებული ზიანის ოდენობის გამოანგარიშებისას სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ 2009 წლის 13 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებას და მტკიცებულებები ერთობლიობაში უნდა შეეფასებინა, ვინაიდან მხარეთა შორის შეთანხმებული ფასი არ ასახავდა ნასყიდობის საგნის რეალურ საბაზრო ღირებულებას და გარდა ამისა, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით მხარე ამტკიცებდა, რომ მან სარდაფის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნებისათვის 5 350 ლარის ღირებულების სამუშაოები ჩაატარა. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სტატიის ტიკის ეროვნული სამსახურის ცნობაზე, რომლის მიხედვითაც, თბილისში, 1 მ<sup>2</sup> ბინის გაყიდვის საშუალო საბაზრო ღირებულება, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 1 181,15 ლარს შეადგენდა. პალატამ აღნიშნული მტკიცებულების შეფასებით, მხარეთა ახსნა – განმარტებებისა და თვით მოსარჩევეთა მოსაზრების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ საქართველოს სტა-

ტისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობა ასახავდა საცხოვრებელი და არა არასაცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულებას. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილ ცნობაში ასახული 1 მ<sup>2</sup>-ის გაყიდვის საშუალო საბაზრო ღირებულება უნდა განახევრებულიყო სადაც ფართის სპეციფიკისა და დანიშნულების გათვალისწინებით და შესაბამისად, ამავე ცნობაზე დაყრდნობით, 1 მ<sup>2</sup> არასაცხოვრებელი ფართის ღირებულებად უნდა განსაზღვრულიყო 590,57 ლარი. საერთო ჯამში კი, ვ. და გ. ა-ის მათი კუთვნილის ფართის – 18,77 კვ.მ-ის (28,16 – ის 2/3) გასხვისებით მიყენებული ზიანის ოდენობა, საორიენტაციოდ, 11 085 ლარს (590,57 ლარი X 18,77 კვ.მ) შეადგენდა. პალატამ სადაც არასაცხოვრებელი ფართის ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში ის გარემოებაც მიიღო, რომ აღნიშნულ არასაცხოვრებელ ფართს თავისი სველი წერტილები ჰქონდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაც საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის გარემონტებაში ი. ხ-ან ერთად მონაწილეობა მიიღეს გ. და ვ. ა-აც.

აღნიშნულთან მიმართებით, პალატამ შეაფასა ი. ხ-ის მიერ წარმოდგენილი ის ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც იგი ადასტურებდა სადაც საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულებას და დადგენილად მიიჩნია, რომ აუდიტის დასკვნაში ასახული სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტი ეფუძნებოდა დამკვეთის – ი. ხ-ის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს თავად აუდიტორის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ „დამკვეთის განცხადებით აღნიშნულ მისამართზე უძრავი ქონების საცხოვრებელი პირობების მოყვანის მიზნით ჩატარებულ იქნა შემდეგი სარემონტო სამუშაოები...“. პალატამ მიიჩნია, რომ დასკვნაში მითითებული თითოეული სამუშაოს შესრულება უნდა დასტურდებოდეს მტკიცებულებით, რომელიც დაადასტურებს ამ სამუშაოთა შესრულების ფაქტს იმ პირის მიერ, ვინც ამ თანხის ანაზღაურებას ითხოვს. ასეთი კი მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება. პალატის განმარტებით, მართალია, შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ წარმოდგენილი მოწმეები მ. ბ-ი და ქ. ა-ე ადასტურებდნენ ი. ხ-ის მიერ დამოუკიდებლად სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტს, თუმცა, მოწმეთა ჩვენებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაც სარემონტო სამუშაოები გ. ა-მა, ვ. ა-მა და ი. ხ-ემ ერთობლივად განახორციელეს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 969-ე, 975-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ხ-ის მიერ სადავო საცხოვრებელ ფართზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას იგი არ მოქმედებდა სხვა მესამე პირების ინტერესების სასარგებლოდ. მას სჯეროდა, რომ იგი საკუთარ საქმეს აკეთებდა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობა არ ექცეოდა დავალების გარეშე სხვის საქმეების მომწესრიგებელი ნორმების რეგულირების რეზიმში.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საცხოვრებელ ფართზე სარემონტო სამუშაოები გ. ა-ის სიცოცხლის განმავლობაში ჩატარდა. ამასთან, ი. ხ-ემ სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ი. ა-ის მექმავიდრები იყვნენ, როგორც მისი ქმარი – გ. ა-ი, ასევე მისივე ქმრის ძები – გ. და ვ. ა-ი. შესაბამისად, გ., გ. და ვ. ა-ს, პირველი რიგის მემკვიდრის არარსებობის პირობებში, გააჩნდათ იულია ა-ის ქონების თანაბარ წილში მიღების უფლება. სხვა ისეთი გარემოება, რაც ი. ხ-ეს შეუქმნიდა რწმენას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ქონება მხოლოდ მის ქმარს გადაეცემოდა საკუთრების უფლებით საქმეზე წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით მოცემული დავის რეგულაცია საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმებით უნდა განხორციელებულიყო, ვინაიდან, მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა სწორედ ამ საფუძვლით წარმოიშვა.

პალატამ სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 956.2-ე, 960-ე, 463-ე, 464-ე, 473-ე მუხლების ანალიზით დაასკვნა, რომ ი. ხ-ის მოთხოვნა განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე კანონიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ შეგებებული სარჩელის ავტორი მის მტკიცების საგანმი შემაგალ ყველა ფაქტობრივ გარემოებას დაადასტურებდა, კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით თუ დაამტკიცებდა მის მიერ ინდივიდუალურად სხვა მესაკუთრეთა თუ პოტენციურ მესაკუთრეთა მიერ დახმარებისა და თანამონანილეობის გარეშე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, ი. ხ-ეს დანარჩენ მესაკუთრეთა მიმართ წარმოეშობოდა უკუმოთხოვნის ანუ რეგრესის ნესით განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მისი წილის გამოკლებით. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ უკუმოთხოვნის ფარგლები ასეთ შემთხვევაშიც მხოლოდ აუცილებელ ხარჯებზე ვრცელდება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 952-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში მხოლოდ „საგნის შენახვისათვის საჭირო“ ხარჯებზე. „საჭიროზე მე-

ტი“ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა დავალების გარეშე სხვის საქმეების შესრულების მოქმედების რეჟიმში ექცევა და მხარეს წარმოეშობა იმის მტკიცების ვალდებულება, რომ მის მიერ „საჭიროზე მეტი ხარჯების“ განევა სხვა მესაკუთრეთა ნებასა და ინტერესს შეესაბამებოდა.

მოცემულ შემთხვევაში კი, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ი. ხ-ან ერთად სადაც საცხოვრებელ ფართზე სხვა თანამესაკუთრეებმაც გასწიოს ხარჯები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ი. ხ-ის მიერ იმაზე მეტი ხარჯის განევის ფაქტი, ვიდრე მას, თავისი 1/3 წილის პროპორციულად ევალებოდა და რაც მას სხვა თანამესაკუთრეთა მიმართ უკუმოთხოვნის უფლებას მიაიწებდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ არ არსებობდა ი. ხ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების არც სახელშეკრულებო და არც სხვა კანონისმიერი საფუძველი, შესაბამისად, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია ი. ხ-ის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მოქმედების რეჟიმშიც. არნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ იხელმაძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლით და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ჩათვალა, რომ არ დასტურდებოდა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც ი. ხ-ეს სადაც საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით თავისად დაგულებულის განცდას შეუქმნიდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-ემ, მოთხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით გ. და ვ. ა-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ: სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმები: 975-ე და 969-974 მუხლები, სამოქალაქო კოდექსის საზიარო უფლებებთან დაკავშირებული ნორმები – 952-ე, 953-ე, 956-ე, 960-ე, 563-ე და 464-ე მუხლები, სამოქალაქო კოდექსის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმა განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ – 473-ე მუხლი, რაც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდნ საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ სარემონტო სამუშაოები 2005 წლამდე ჩატარდა მისი და მეუღლის მიერ, ანუ ვიდრე დავის

საგანი საზიანო უფლების მქონე ნივთი გახდებოდა მას და მონინააღმდეგე მხარეებს შორის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი მის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლად და უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 987-ე მუხლი. მოწმეთა ჩვენების აუდიო ჩანაწერის მოსმენის შემდეგ ეჭვსაც არ იწვევს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მონინააღმდეგე მხარეებს არ უცხოვრიათ მითითებულ ბინაში, მათ არც ერთი მეზობელი არ იცნობდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ასეთი კატეგორიის საქმეებზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. სასამართლომ გამოიყენა მტკიცებულების სახით არა ამ სამოქალაქო საქმეზე, არამედ სამკვიდრო დავაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებები, კერძოდ, პ. კ-ის, ბ. ს-ის და ს. თ-ის ჩვენებები, რომლებიც ასლების სახით წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა. აღნიშნული მოწმეები არიან სრულიად უცხო პირები, არ ცხოვრობენ ხ-სა ქ. №21-ში. სასამართლომ არ გაითვალისწინა და არ შეაფასა, როგორც მტკიცებულება, ამ დავაზე დაკითხული მოწმეების, მ. ბ-სა და ქ.ა-ის ჩვენებები. ისინი ამ დავის განხილვისას დაიკითხნენ, სასამართლოს მიერ უშუალოდ გაფრთხილდნენ ცრუ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას.

სასამართლომ არ შეაფასა მტკიცებულება – აუდიტორის დასკვნა 28,16 კვ.მ სარდაფის საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით. ამ დასკვნით, სარდაფის ღირებულება განისაზღვრა 8 400 ლარით. საქმეში წარმოდგენილია ასევე სარდაფის ნასყიდობის ხელშეკრულება. სარდაფი გასხვისდა 10 000 ლარად. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საბაზრო ფასად განისაზღვრა სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების ფასი, ვინაიდან ამ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მიმდინარეობდა დავა მისი ბათილობის თაობაზე და მოწინააღმდეგე მხარეს უარი ეთქვა სარჩელის დაემაყოფილებაზე. ამ გადაწყვეტილებით სარდაფის შემძენი მ. ჩ-ი სასამართლომ მიიჩნია კეთილსინდისიერ შემძენად, ვინაიდან ნასყიდობის ნამდვილობაში სასამართლოს ეჭვიც კი არ შეუტანია. ეჭვის შეტანის ერთ-ერთი საფუძველი იქნებოდა სწორედ ფასის შეუსაბამობა ნასყიდობის საგანთან.

მოწინააღმდეგე მხარეებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ სარდაფის 1 კვ. მეტრის ღირებულება არის 590,57 ლარი, როგორც ეს სასამართლომ მიიჩნია. მოწინააღმდეგე მხარეების მიერ წარმოდგენილი იყო მხო-

ლოდ სტატისტიკის ცნობა 1 კვ.მ საცხოვრებელი ფართის ზოგადი ღირებულების შესახებ და მითითებული იყო ზოგადი ფასი 1181,15 ლარი. სასამართლომ ეს თანხა გაყო შუაზე და ისე განსაზღვრა სარდაფის 1 კვ. მეტრის ფასი. სასამართლო მიკერძოებული იყო ამ დავის გადაწყვეტისას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქ.თბილისში, ი.ხ-ას ქუჩაზე მდებარე 21-ე კორპუსის №2 ბინაში სამზარეულოსა და სააპაზანო – საპირფარეშოს მოწყობისათვის ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება საორიენტაციოდ 6 805, 2 ლარით განისაზღვრება. შესაბამისად, გ. და ვ. ა-ის მიყენებული ზიანის ოდენობა, მათი წილის პროპორციულად, 4536 ლარს შეადგენს;

2. გ. და ვ. ა-ის სარდაფის გაყიდვით მიყენებული ზიანის ოდენობა 11 085 ლარს შეადგენს;

3. სადაცო საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის გარემონტებაში ი. ხ-ან ერთად მონანილეობა მიიღეს გ. და ვ. ა-ც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცხობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რამაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობა. განსაკუთრებით ეს ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მტკიცებულებების წარდგენა-შეფასებასთან დაკავშირებული ნორმები-სა და 249-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის დარღვევას, კერძოდ, თუ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკენები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. სამოქალაქო კოდექსის 407-ე

მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასა-მართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივ-რის (პრეტენზის) შემთხვევაში შეამონმოს სასამართლოს მი-ერ დადგენილი იურიდიული ფაქტების – გარემოებების შესაბა-მისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

კასატორმა ო. ხ-ებ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარ-მოადგინა.

საკასაციო პალატამ შეამონმა რა შედავების სამართლებრი-ვი საფუძვლები და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქ-ტობრივი გარემოებები, მიიჩნევს, რომ კასატორის მოსაზრება სარდაფის გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების და-კისრების ნაწილში გაზიარებულ უნდა იქნეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2009 წლის 13 იან-ვრის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნას-ყიდობის ფასი, 10 000 ლარი, არ ასახავდა ქონების რეალურ ღი-რებულებას. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სტატიისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, რომლის მიხედ-ვითაც, თბილისში, 1 მ<sup>2</sup> ბინის გაყიდვის საშუალო საბაზრო ღი-რებულება, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 1 181,15 ლარს შეადგენდა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სადა-ვო იყო არასაცხოვრებელი ფართის გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, სააპელაციო სასამართლომ გაანახევრა ზემოაღნიშნული 1 კვ.მ უძრავი ქონების ფასი და აღნიშნულის შესაბამისად გამოთვალა ზიანის ოდენობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-მართლომ, ამ შემთხვევაში, დაარღვია საპროცესო კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული მტკიცებულებათა გამოკვლევა-შე-ფასების პრინციპი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს დასკვნას, რომ სადავო ქონების გასხვისებით გამოწვე-ული ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა განისაზღვროს ნაყიდობის ფასით, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მიყენებული ზი-ანი უტოლდება ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებას. ნას-ყიდობის ფასი კი, მხარეთა შეთანხმების საგანია და სავალდე-ბული არაა, ამგვარ ღირებულებას ასახავდეს.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სარ-დაფის გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ამ სარ-დაფის საბაზრო ღირებულებით უნდა განსაზღვრულიყო, მაგ-

რამ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქონების საბაზ-რო ღირებულება სასამართლოს შეფასებით დასადგენი კატე-გორია არაა, არამედ ობიექტური მაჩვენებელია და სათანადო მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოყენებინა სტა-ტისტიკის დეპარტამენტის ცნობა, მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილი იყო აუდიტის დასკვნა სადავო ქონების შეფა-სების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნა-ნილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თა-ნახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულე-ბებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულე-ბებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებუ-ლი: ქონების მდებარეობაზე, ანუ, ამ შემთხვევაში, თბილისის კონკრეტულ უბანში არსებული უძრავი ქონების ფასებზე, უძ-რავი ქონების ფართობსა და ამ ქონების მდგომარეობაზე. შესა-ბამისად, კონკრეტული ქონების რეალური საბაზრო ღირებუ-ლება შეიძლება დადასტურდეს ექსპერტიზის/აუდიტის დას-კვნით, რომელიც ემყარება უშუალოდ ამ უძრავი ნივთის შემოწ-მებასა და შეფასებას, ამდენად, მხედველობაში მიღებულია, როგორც ნიუთის გასხვისების დრო, ფართობი და მდებარეობა, ასევე, მისი მდგომარეობაც, ვინაიდან, თუნდაც ერთ ტერიტო-რიულ ერთეულში არსებულ ტოლ რამდენიმე უძრავ ქონებას შეიძლება, სხვადასხვა საბაზრო ღირებულება გააჩნდეს მათი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ საქართველოს სტატიისტიკის ეროვნული სამსახუ-რის ცნობის გამოყენება არასწორია. აღნიშნულ ცნობაში მითი-თებულია, რომ „(...) ქ. თბილისში, ბინის 1 შე-ის გაყიდვის საშუა-ლო საბაზრო ღირებულება 2010 წლის დეკემბერში შეადგენდა 1181,15 (ათას ას ოთხმოცდაერთი ლარი და თხუთმეტი თეთრი) ლარს. აღნიშნული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს ქალაქის კონკრეტულ უბანში არსებული საცხოვრებე-ლი ფართის ღირებულებას“. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ თბილისში, სხვადასხვა უბანში 1 კვ. მ-ის ფასი საერთო არ არის და განსხვავდება, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ცნობაზე დაყრდნობით, შეუძლებელია დადგინ-დეს სადავო სარდაფის საბაზრო ღირებულება, ვინაიდან, მი-

თითებული დოკუმენტი არათუ არ წარმოადგენს უშუალოდ სა-დაცვი ფართის შეფასებას, არამედ იმავე უბანში არსებული უძ-რავი ქონების ფასებსაც კი არ ასახავს, გარდა იმისა, რომ შეე-ხება საცხოვრებელ და არა არასაცხოვრებელ ფართს. თავად ცნობაშივეა მითითებული, რომ ინფორმაცია ზოგადი ხასიათი-საა და წარმოადგენს თბილისის მასშტაბით 2010 წლის დეკემ-ბრისათვის უძრავი ქონების ღირებულების საშუალო მაჩვენე-ბელს, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საპერაციო სასამართლომ აღნიშნული ცნობით არასწორად იხელმძღვანელა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საქ-მეში წარმოდგენილია შპს „ა-ას“ დასკვნა, რომლის საფუძველ-ზეც სარდაფის ღირებულება განსაზღვრულია 8400 ლარით, სა-აპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნული მტკიცებულება საერ-თოდ არ შეუფასებია. საკასაციო სასამართლო დამატებით აღ-ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულება პირველი ინ-სტანციის სასამართლომ სოქმო განჩინებით მიიღო და დაურ-თო საქმეს (იხ. 21.12.2011 წლის სხდომის ოქმის აუდიოჩანაწე-რი 17:29:31).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმე-ნით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძ-ვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გა-დაწყვეტილებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კა-ნონმდებლობით დამკითხულებული მტკიცებულებათა თავისუ-ფალი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს შე-უძლია, ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტი-ლებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრე-ბებით ხელმძღვანელობდა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4 მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებულ გადაწყვეტილე-ბაში არ არის დასაბუთებული, რა მოსაზრებებზე დაყრდნობით არ გაიზიარა სასამართლომ აუდიტის დასკვნით განსაზღვრუ-ლი ქონების შეფასება, რაც საპროცესო კანონმდებლობის დარ-ღვევა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოქვემდებრებული განჩინება.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა და, თუ ქონების საპაზრო ღირებულებას არასარწმუნოდ მიიჩნევდა, შეეძლო, თავად დაენიშნა ექსპერტიზა სადაც ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით. აღნიშნულის საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ იმგვარი მტკიცებულებით იხელმძღვანელა, რომელიც მოცემული დავის გადაწყვეტისათვის საჭირო მონაცემებს არ შეიცავდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარდაფის გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმგვარი საპროცესო დარღვევითაა გამოტანილი, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, გარდა ამისა, ამ ნაწილში გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებზე დაყრდნობით, მისი გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლო-სათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მოცემულ განჩინებაში ასახული დასაბუთებით, შეაფასოს საქ-

მეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება და დავა იმგვარად გადაწყვიტოს.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზის რემონტის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში ი. ხ-ის მოსაზრებები გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო ბინაზე სარემონტო სამუშაოები ჩატარებული არ არის, როგორც გ. და ვ. ა-მა, ისე, ი. ხ-აც. კასატორი კი ვერ ამტკიცებს სარემონტო სამუშაოების უშუალოდ მის მიერ ჩატარების ფაქტს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აუდიტის დასკვნის საფუძველზე უნდა მიეღო, რომელიც სარემონტო სამუშაოების ღირებულებას ასახავს. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ აუდიტის დასკვნაში ასახული სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტი ეფუძნებოდა დამკვეთის – ი. ხ-ის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს თავად აუდიტორის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ „დამკვეთის განცხადებით აღნიშნულ მისამართზე უძრავი ქონების საცხოვრებელი პირობების მოყვანის მიზნით ჩატარებულ იქნა შემდეგი სარემონტო სამუშაოები“. მოცემულ შემთხვევაში, ი. ხ-ეს უნდა დაედასტურებინა სათანადო მტკიცებულებებით სარემონტო სამუშაოების უშუალოდ მის მიერ ჩატარების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მომდევნო პრეტენზის, რომ სააპელაციო სასამართლოს რემონტთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას უნდა ეხელმძღვანელა მის მიერ დასახელებული მოწმეების ჩვენებით და არ უნდა დაყრდნობოდა სხვა დავის ფარგლებში დაკითხული მოწმეების ჩვენებას.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს ნინასწარ დადგენილი ძალა. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მტკიცებულება თანაბარი ძალისაა და არც ერთ მათგანს უპირატესობა არ ენიჭება. ყველა მტკიცებულება ერთობლიობაში უნდა შეფასდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებების შეფასებისას და შეუძლია არ გაიზიაროს რომელიმე მათგანი, თუმცა შესაბამისი მოსაზრებები უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორს, რომ ვინაიდან პ. კ-ე და ბ. ს-ე მოწმედ სხვა სასამართლო დავის ფარგლებში დაიკითხნენ, მათი ჩვენების მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენება დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს, რომ სასამართლო ვალდებულია, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება ერთობლიობაში შეაფასოს. ასევე ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული მოწმები, მართალია, სხვა დავის განხილვის პროცესში, მაგრამ სასამართლო წესით დაკითხნენ, შესაბამისად, გაფრთხილებული იყვნენ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თაობაზე და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაადასტურეს მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორე, ამდენად, სანდობის თვალსაზრისით, აღნიშნული ჩვენებები უშუალოდ განსახილველი დავის ფარგლებში დაკითხული მოწმეთა ჩვენების ტოლფასია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გ. და ვ. ა-მა ი. ა-ის სამკვიდრო მისი გახსნიდან კანონით დადგენილ ვადაში ფაქტობრივი ფლობით მიიღეს, რაც ნიშნავს იმას, რომ კასატორის მოწინაღმდეგე მხარეები გარკვეული ფორმით გამოხატვადნენ სადაც ბინაზე საკუთრების უფლების მოპოვების ნებას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, პრეიუდიციული ძალის მქონეა, რაც გამორიცხავს ი. ხ-ის მიერ დასახელებული მოწმების, მ. პ-სა და ქ. ა-ის ჩვენებების სარწმუნობას, ვინაიდან, მათი მითითებით, გ. და ვ. ა-ი მამიღის ბინაში არ ცხოვრობდნენ, იქ მისული არ უნახავთ და საერთოდ არ იცნობდნენ. გარდა ამისა, აღნიშნული მოწმეები რემონტან დაკავშირებით ინფორმაციას, საერთო ჯამში, ი. ხ-ან ფლობენ, რაც ასევე ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მათი ჩვენება გაზიარებული არ უნდა ყოფილიყო.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კონკრეტული სარემონტო სამუშაოების ი. ხ-ის მიერ ჩატარების ფაქტი მოწმეთა ჩვენებით ვერ დადასტურდება. პალატა მიიჩნევს, რომ დასკვნაში მითითებული თითოეული სამუშაოს შესრულება უნდა დასტურდებოდეს მტკიცებულებით, რომელიც დაადასტურებს ამ სამუშაოთა შესრულების ფაქტს იმ პირის მიერ, ვინც ამ თანხის ანაზღაურებას ითხოვს. ასეთი იურიდიული ფაქტი კი მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება.

რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი მის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლად და უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 987-ე მუხლი, ასევე, არასწორადა გამოყენებული საზიარო უფლების მომწესრიგებელი ნორმები, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, მოცემული დავა გადაწყდებოდა უსაფუძვლო გამდიდრების თუ საზიარო უფლების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელი წინაპირობაა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ი. ხ-ე უტყუარად უნდა ადასტურებდეს კონკრეტული სარემონტო სამუშაოების შესრულების ფაქტსა და მათ ღირებულებას. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რემონტი ი. ხ-ის მეუღლემ, გ. და ვ. ა-მა ერთობლივად ჩატარებს და კასატორის მიერ წარმოდგენილი შედაცება მოცემულ საკითხზე გაზიარებული ვერ იქნება. საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა ვერ ადასტურებს შეფასებული სარემონტო სამუშაოები უშუალოდ ვის მიერაა განხორციელებული. აღნიშნული საკითხი ექსპერტის/სპეციალისტის კვლევის საგანს საერთოდ არ წარმოდგენს. სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის სარემონტო სამუშაოები, რისი ღირებულების ანაზღაურებასაც ი. ხ-ე ითხოვს, მის მიერაა ჩატარებული, საქმეში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, კასატორის მითითებული არგუმენტი, დავის არსებითად გადაწყვეტაზე გავლენას არ ახდენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რემონტის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია და ძალაში უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. სარდაფის გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## იურიდიული ინტერესი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ას-318-304-2012

25 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. წ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხების: ქ. ფოთში, ლ-ას ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა ამხანაგობის, მ. და ზ. ი-ის მიმართ ამხანაგობის 2010 წლის 18 ნოემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. ფოთში, ლ-ას ქ. №5/2-ში მდებარე ბინის ქვეშ არსებულ ფართს 2002 წლიდან მოსარჩელე დაეუფლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამხედრო ნაწილის ნებართვით და მასში ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. თავდაცირველად, ფართი იყო შოუნესრიგებელი, თუმცა, ვინაიდან, ადმინისტრაციულმა ორგანომ მას მიანიჭა ფართის დაკავების ნება, მოსარჩელემ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები. ტექნიკუ-

რი ინვენტარიზაციის სამსახურმა ფართზე გასცა ტექნიკური პასპორტი. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ვ. ნ-ა წარმოადგენდა სადავო ფართის კეთილსინდისიერ მოსარგებლეს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოპასუხე ი-მა ვ. ნ-ას ნებართვის გარეშე, სადავო ფართი არაკანონიერად დაირეგისტრირეს თავიანთ სახელზე. სადავო კრების ოქმი არაკანონიერია. ამ ოქმით, ამხანაგობამ ფართი საკუთრებაში გადასცა მ. და ზ. ი-ს. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის საწინააღმდეგოდ, წარდგენილი მტკიცებულებების მხედვით, არ დასტურდება სადავო ფართზე მ. და ზ. ი-ის მფლობელობის საკითხი. ის ფაქტი, რომ შესაბამისი საფუძვლებით სადავო ფართის მფლობელობას ახორციელებდა ვ. ნ-ა, დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით: ტექნიკური პასპორტით; 2002 წლის 16 მაისის თანხმობით, რომლითაც სარდაფის ზემოთ მდებარე ბინის მესაკუთრემ თანხმობა განაცხადა ვ. ნ-ას მიერ სარდაფით სარგებლობისა და მასში რეკონსტრუქციის განხორციელებაზე; თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის №3 რეგიონალური ბაზის უფროსის მიერ 2002 წლის 31 ივნისს გაცემული წერილობით დოკუმენტით; სარდაფის რემონტის საფასურის დაანგარიშების შესახებ 2002 წლის 24 მაისის განცხადებით და „ე. ჰ. ჯ-ას“ მიმართ გადახდილი ქვითრებით; დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრებით; აუდიტორული ფირმა შპს „ა-ას“ მიმართ გადახდილი ქვითრებითა და შესაბამისი დასკვნით. 2010 წლის 18 ნოემბრის კრების ოქმი ხელმოწერილია მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ, რაც მიუთითებს კონკრეტულ შემთხვევაში ერთპიროვნული და არა ამხანაგობის წევრების გადაწყვეტილებაზე, მაშინ, როდესაც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციისას ამხანაგობას საჯარო რეესტრში უნდა წარედგინა კრების ოქმთან ერთად ნახაზი, რომლის მეშვეობითაც ხდება სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგენა. ასეთს მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამავე კანონის მე-3, მე-4 მუხლების მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ქონებას წარმოადგენს: სარდაფები, მზიდი კედლები, სხვენები და ა.შ, მაგრამ არა სართულები. „მშენებლობის გაცემის ნებართვის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 37-ე პუნქტის საწინააღმდეგოდ ვ. ნ-ას სარგებლობაში არსებული ფართი მისი პარამეტრების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს სარდაფს.

მ. და ზ. ი-მა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვეს:

მოპასუხები არიან სადაც ფართის ზემო სართულზე მდებარე ბინის მესაკუთრები, მოსარჩელე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს მათ კუთვნილ სარდაფს, რის გამოც 2011 წლის 12 ივლისს სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით კ. წ-ა გამოსახლებულ იქნა სარდაფიდან, ფართის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მ. და ზ. ი-ი ამავე ამხანაგობის წევრები არიან და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ სავსებით კანონიერად განკარგა მისი კუთვნილი სარდაფი, ამასთანავე, საყურადღებოა, რომ კ. წ-ა ამავე ამხანაგობის წევრი არ არის. თავად ამხანაგობის კრების ოქმი კანონიერია, რადგანაც მას ხელს ამხანაგობის თავმჯდომარე აწერს და კრებას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 2/3. ამ კრების ოქმისა და ნახაზის წარდგენა გახდა საკმარისი საფუძველი უძრავ ქონებაზე მხარის საკუთრების უფლების აღრიცხვისათვის. სადაც ფართი, ტექნიკური მახასიათებლებით არის სარდაფი, ეს გარემოება დადასტურებულია თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სადაც ფართის მესაკუთრე არასოდეს ყოფილა, ობიექტი სამინისტროს ბალანსზე არ ირიცხებოდა, ამასთანავე, ამ ქონებაზე პრეტენზია სახელმწიფოს არ განუცხადებია. მოპასუხებმა ასევე მიუთითეს ამავე მხარეებს შორის 2011 წლის 12 ივლისს ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული.

ამავე საფუძვლებით სარჩელი არ ცნო ქ.ფოთის ლ-ას ქ. №5-ის ამხანაგობაზე (თავმჯდომარე ლ. ქ-ა) და დამატებით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 2007 წლის 11 ივლისს მიღებულ იქნა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი და საბინაო ფონდი ქალაქს ფოთის საკრებულოს 2003 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით გადაეცა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს ფოთის №3 რეგიონალური ბაზის 2003 წლის 30 ივლისის წერილის თანახმად, სამხედრო უწყებამ თანხმობა განაცხადა საბინაო ფონდის გადაცემაზე და წარადგინეს გადასაცემი საცხოვრებელი სახლების ჩამონათვალი, მათ შორისაა სადაც სარდაფი. ამ დროიდან მოყოლებული ბინების არასაცხოვრებელი ფართების, მათ შორის სარდაფების განკარგვა ხორციელდება ამხანაგობის გადაწყვეტილებით, შესაბამისად, სადაც კრების გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, თავის მხრივ, კ. წ-ა არ წარ-

მოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. წ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და ვ. წ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ.ფოთის ლ-ას ქ. №-5-ში მდებარე ამხანაგობის 2010 წლის 18 ნოემბრის კრების ოქმი შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ ტექნიკური არიზაციის სამსახურის მასალებით, სადაცო ქონება აღრიცხული იყო სამხედრო ნაწილის სახელზე. 2002 წლის 24 მაისს ვ. წ-ამ განცხადებით მიმართა თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის №3 რეგიონალური ბაზის უფროს, ვიცე-პოლკოვნიკ გ. გ-ს და სთხოვა ამ ფართში საგაფრო ჯიხურის გახსნის ნებართვა. ბაზის უფროსმა განცხადებას დაადო რეზოლუცია: „თანახმა ვარ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე“ და ეს რეზოლუცია დაამონმა ხელმოწერითა და ბეჭდით. იმავე წლის 16 მაისს სადაცო სარდაფის ზემოთ მცხოვრებმა ვ. ხ-მა თანხმობა განაცხადა აპელანტის მიერ ქონებით სარგებლობაზე. სადაცო ქონებას ფლობს აპელანტი. 2003 წლის 17 ოქტომბერს საცხოვრებელი სახლი, სადაც მდებარეობს სადაცო ქონება, გადაცა ქ.ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მთავრობას. 2010 წლის 18 ნოემბერს ქ. ფოთში, ლ-ას ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა ამხანაგობამ სადაცო ქონება გადასცა მ. და ზ. ი-ს.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველ ნაწილისა და 312-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 1515-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეში ნარმოდგენილი ტექნიკური პასპორტის თანახმად, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში სადაცო ქონება, როგორც გამოყოფილი ფართი, აღრიცხული იყო სამხედრო ნაწილის სახელზე, ამდენად, სადაცო ქონების მესაკუთრე იყო სახელმწიფო, ხოლო მის ფუნქციებს ახორციელებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანახმად სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილისა. სადაცო ქონება ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში, ანუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებად, ამიტომ, როგორც 2007 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნა-

წილისა და 211-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა, ასევე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა სადაც ფართი იყო ინდივიდუალური საკუთრების საგანი და არა ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონება. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს ის, რომ სადაც ფართი წარმოადგენდა სარდაფს: ზემოხსენებული ნორმების თანახმად, ინდივიდუალური საკუთრების საგანი შეიძლება ყოფილიყო სარდაფიც, შესაბამისად, 2010 წლის 18 ნოემბერს ამხანაგობამ განკარგა სხვის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონება.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილება მიიჩნია ნების გამოვლენად, რომელიც მიმართული იყო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. შესაბამისად, იგი მრავალმხრივ წერილობით გარიგებად, ანუ ხელშექრულებად მიიჩნია. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, რადგან სადაც ხელშექრულებით ამხანაგობამ განკარგა ის ქონება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ეს გარიგება იყო მართლსაწინააღმდეგო და სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის ძალით მიიჩნეოდა ბათილად.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებულ კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტზე, ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ აპელანტი სადაც ფართს ფლობდა თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის №3 რეგიონალური ბაზის უფროსის, ანუ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე და ამიტომ, მას შეეძლო, დადგენილი წესით მოეთხოვა სადაც ქონების საკუთრებაში გადაცემა. ამხანაგობის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხო აპელანტის კანონით დაცულ უფლებებს, რაც ვ.წ.-ას მოთხოვნის უფლების მქონე პირად მიჩნევის წინაპირობას წარმოადგენდა.

არ იქნა გაზიარებული აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ აპელანტი სადაც ფართს დაეუფლა ვ. ხ-თან დადებული გარიგების საფუძველზე, რადგანაც ამის დამადას-

ტურქების მტკიცებულებები აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს არ წარუდგენია, მეტიც, იმავე მხარეებს შორის ფოთის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში სარჩელის ერთ-ერთი საფუძველი იყო სწორედ ის, რომ ვ. წ-ა სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა არც მ. და ზ. ი-ან და არც ვ. ხ-ან. მხოლოდ ვ. ხ-ის თანხმობა, სასამართლოს მტკიცებით, არ ადასტურებდა მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობას. სანინააღმდეგო ვითარებაშიც კი, სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ფართი ეკუთვნოდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფოს, ამიტომ, ვ. ხ-სა და აპელანტს სხვისი ქონება რომც განეკარგათ, ეს არც ამ გარიგებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევდა, არც სახელმწიფო არ დაკარგავდა საკუთრებას და არც აპელანტი – მოთხოვნის უფლებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩინორეს მ. და ზ. ი-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2002 წლის 29 ივლისს გაცემული ტექნიკური პასპორტით, სადაც ქონებაზე სახლომფლობელის გრაფაში აღნიშნული იყო სამხედრო ნაწილის უფრო ადრე, 2002 წლის 24 მაისს, ვ. წ-ამ მიმართა თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის №3 რეგიონალური ბაზის უფროს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების თხოვნით. სასამართლომ ისე დაასკვნა ამხანაგობის მიერ სხვის ინდიფიულურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ფაქტი, რომ საქმეში არ მოაპოვებოდა იჯარის არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება. ამდენად, სასამართლომ აპელანტი კანონიერ მოსარგებლედ მიიჩნია, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად. „ბინათმე-საკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2007 წლის 11 ივლისს და ამოქმედდა 2007 წლის 1 აგვისტოს. საბინაო ფონდი ქალაქს გადაეცა ქ.ფოთის საკრებულოს 2003 წლის 17 ოქტომბრის №17/99 დადგენილებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს ფოთის №3 რეგიონალური ბაზის 2003 წლის 30 ივლისს წერილის თანახმად, სამხედრო უწყებამ თანხმობა განაცხადა საბინაო ფონდის გადაცემაზე. მათ წარადგინეს საცხოვრებელი სახლების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა გადასცემოდა ქალაქს. მათ შორისაა, ლ-ას ქუჩაზე მდებარე სახლები. შემდგომში, 2007 წლის 1 აგვისტოდან, ბინების არასაცხოვრებელი ფართის, მათ შორის, სარდაფების დაკანონების შესახებ

გადაწყვეტილებას იღებდნენ ამხანაგობები. სადაც სარდაფის რეგისტრაციამდე ამხანაგობამ სხვა მობინადრეებსაც გადასცა სარდაფები. ამხანაგობამ „პინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად, სრულიად კანონიერად გადასცა სარდაფი მესაკუთრე მ. და ზ. ის-, რადგან ისინი წარმოადგენდნენ ამხანაგობის წევრებს, შესაბამისად, ბინის მესაკუთრეებს, როგორც ამხანაგობის წევრებს, შეეძლოთ, დაეკანონებინათ სარდაფი. ვ. წ.-ის ეს შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ იგი არ წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს, აქედან გამომდინარე, ტექნიკური პასპორტით ვ.ი წ.-ა ვერ დაარეგისტრირებდა საკუთრების უფლებას სარდაფზე იმ მიზეზით, რომ სადაც ქონება წარმოადგენდა არა სახელმწიფოს საკუთრებას, როგორც ეს გადაწყვეტილებაშია მითითებული, არამედ ამხანაგობის საკუთრებას. სადაც ქონება არ ყოფილა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრებად, ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ლ-ას ქ. №5-ში, ისევე როგორც სხვა საცხოვრებელ ბინებში, სარდაფზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ამხანაგობის კრების ოქმები და აზომვითი ნახაზები. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, ყველა სხვა შემთხვევაში კრების ოქმები გასაუქმებელია და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლებებიც უკანონოა. სააპლაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტზე და ჩათვალა, რომ არაპრივატიზებული ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება აქვს კანონიერ მოსარგებლეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, აპელანტი ასეთად მიჩნეულია რეგიონალური ბაზის უფროსის ნებართვის საფუძველზე, რაზე დაყრდნობითაც მას გააჩნია, დადგენილი წესით სადაც ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება. კასატორის მოსაზრებით, საკითხის ამგვარად შეფასება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველა კანონიერი მოსარგებლის განცხადება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში. სარდაფი წარმოადგენდა ამხანაგობის საკუთრებას და არა არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართობს, რომლის განკარგვასაც ახდენს აღმასრულებელი ორგანო, ამას-

თან, ვ. წ-ა ვერ წარადგენდა განცხადებას სარდაფის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, რადგან ალმასრულებელი ორგანო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა განცხადება და მისთვის გადაეცა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული სარდაფი. ამით ის დაარღვევდა ამხანაგობის კანონის მოთხოვნებს. საქასაციო საჩივარზე დართული თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის 2012 წლის 3 თებერვლის წერილის თანახმად, სარდაფების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ და მასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღება აღემატება თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის კომპეტენციას. გარდა ამისა, მხარეებ საჯარო რეესტრს მიმართა შეკითხვით: წარმოადგენს თუ არა ტექნიკური პასპორტი სარდაფზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს. 2012 წლის 3 თებერვლის წერილით მას განუმარტეს, რომ ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს უფლებათა რეესტრში უძრავ ნივთზე (სარდაფზე) საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტიდან გამომდინარე, ინფორასტრუქტურის №3 რეგიონალური ბაზის უფროსის ნებართვა არ შეძლება ჩაითვალოს სარდაფის საკუთრებში გადაცემის საფუძვლად. მსგავს დავასთან დაკავშირებით არსებობს უზრუნველისის სასამართლოს გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 24 აგვისტოს განჩინება, რომელშიც აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს №3 რეგიონალური ბაზის სახელზე ტექნიკური ბიუროდან გაცემული ცნობა არ ადასტურებს ნივთის მოდავე მხარის საკუთრებაში არსებობას. ასეთი ცნობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მესაკუთრეობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილია მხოლოდ ტექნიკური პასპორტი, რომელიც მით უმეტეს არ შეიძლება ჩაითვალოს მესაკუთრეობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკური პასპორტი გაცემულია არა ვ. წ-ას, არამედ სამხედრო ნაწილის სახელზე, აქედან გამომდინარე, ვ. წ-ას კანონიერი მოსარგებლეობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულებება არ გააჩნია. კასატორებმა მიუთითეს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, მე-4 მუხლზე და აღნიშნეს, რომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, 2003 წლიდან სამხედრო უწყების საბინაო ფონდი ქალაქს გადაეცა, შესაბამისად, მასში შემავალი სარდაფის გადაცემა, რომელიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმო

ადგენდა, მობინადრეთა კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს მხარეებმა დაურთეს მტკიცებულებები 10 ფურცლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინებით მ. და ზ. ი-ის საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დაუსწრებლად, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

2013 წლის 22 მაისს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოეცა კასატორთა განცხადება, რომელსაც ერთვის ახალი მტკიცებულებები 5 ფურცლად, მათ შორისაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი, რომ ვ. წ-ან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება ვერ იქნა მოძიებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 10 ივნისის განჩინებით ვ. წ-ას უფლება-მონაცემლედ მოცემულ დავაში ჩაბმულ იქნა ბ. წ-ა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, მ. და ზ. ი-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა დავის გადაწყვეტილისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ტექნიზენტრარიზაციის სამსახურის მასალებით, სადაცო ქონება აღრიცხული იყო სამხედრო ნაწილის ბალანსზე;

2002 წლის 24 მაისს ვ. წ-ამ განცხადებით მიმართა თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის №3 რეგიონალური ბაზის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ გ.გ-ს და სთხოვა ამ ფართში სავაჭრო ობიექტის გახსნის ნებართვა;

ბაზის უფროსმა განცხადებას დაადო რეზოლუცია: „თანახმა ვარ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე“ და ეს რეზოლუცია დაამონმა ხელმონერითა და ბეჭდოთ;

2002 წლის 16 მაისს სადაცო სარდაფის ზემოთ მცხოვრებმა ვ. ხ-მა თანხმობა განაცხადა ვ. წ-ას მიერ ქონებით სარგებლობაზე. სადაცო ქონებას ფლობს მოსარჩევე;

2003 წლის 17 ოქტომბერს საცხოვრებელი სახლი, რომელშიც მდებარეობს სადაცო ქონება, გადაეცა ქ.ფოთის ადგილობ-

რიცი თვითმმართველობის ორგანოს, მთავრობას;

2010 წლის 18 ნოემბერს ქ. ფოთში, ლ-ას ქ. №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა ამხანაგობამ სადავო ქონება გადასცა ამხანაგობის წევრებს: მ. და ზ. ი-ს (მოპასუხეებს).

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები, კასატორებს სადავოდ არ გაუხდიათ, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

მოცემულ დავაზე მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობაა, რომლითაც მოპასუხეებს სადავო სარდაფი გადაეცათ საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან აღძრულია აღიარებითი სარჩელი, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოცემული დავის საგნის პროცესუალურ მხარეზე და განმარტავს, რომ ბინაომესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნა, პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

აღიარებითი სარჩელის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესია, ანუ ის განმსაზღვრელი გარემოება, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს დავის გადაწყვეტაზე, საქმის განხილვისას მოწმდება მხარის იურიდიული ინტერესის კანონიერება. აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენს შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავლაში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ იგი სახელმწიფოსთან დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სადავო სარდაფს

და გააჩნია ამ ნივთის ფლობის მართლზომიერი უფლება.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი დასაბუთებულად მიიჩნია და ჩათვალა, რომ აპელანტი წარმოადგენდა მოთხოვნის უფლების მქონე პირს, ხოლო ამხანაგობის გადაწყვეტილება შეეხო მის კანონით დაცულ ინტერესებს. ამ კუთხით პალატამ მსჯელობა დაამყარა იმას, რომ ტექინგვენტარიზაციის სამსახურში სამხედრო ნაწილის სახელზე რიცხული ქონებით სარგებლობის უფლების თხოვნა თავდაცვის სამინისტროს ინფორასტრუქტურის №3 რეგიონალური პაზის უფროსმა დააკმიყოფილა რეზოლუციით: „თანახმა ვარ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე“ და ეს რეზოლუცია დაამონშმა ხელმონერითა და ბეჭდით, აღნიშნული სააპელაციო პალატამ საკმარის საფუძვლად მიიჩნია დასკვნისათვის, რომ მოპასუხემ ნივთზე უფლება მოიპოვა, რაც შეეხება საქმეში არსებულ ვ. ხ-ის წერილობით თანხმობას, პალატამ, ერთი მხრივ, ჩათვალა, რომ ვ. ხ-ი არ წარმოადგენდა ნივთის განცარგვაზე უფლებამოსილ პირს, ვინაიდან სარდაფი სახელმწიფოს ბალანსზე ირიცხებოდა და, მეორე მხრივ, თავად მოსარჩელე უარყოფდა ამ მტკიცებულების საფუძველზე ნივთის ფლობის უფლების წარმოშობას.

დადგენილად მიჩნეული მოსარჩელის მიერ სარდაფის ფლობის მართლზომიერი უფლების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნის (იურიდიული ინტერესი) ნამდვილობის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებულ კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტსა და ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე, აღნიშნულის გათვალისწინებით კი, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს შეეძლო დადგენილი წესით მოეთხოვა სადაცო ქონების საკუთრებაში გადაცემა, ამხანაგობის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაირღვა პირის ეს უფლება, რაც მოსარჩელის მოთხოვნის ნამდვილობას განაპირობებდა.

კასატორები არ ეთანხმებიან სასამართლოს მოსაზრებას სახელმწიფოს მიერ მოსარჩელისათვის ნივთის გადაცემის თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ საქმეში იჯარის ხელშეკრულება არ მოიპოვება, ამასთანავე, მიიჩნევენ, რომ სასამართლომ არას-

წორად იხელმძღვანელა პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით.

პალატა ამ არგუმენტების შემოწმებით მივიდა იმ დასკვნამ-დე, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 გათვალისწინებული და-საბუთებული შედავებაა, კერძოდ, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა არგუმენტს სახელმწიფოსა და მოსარჩელეს შორის იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი მტკიცებულების საქმეში არარსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსს 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების მიზნებიდან გამომდინარე, იჯარის ხელშეკრულების დადების და-მადასტურებელ მტკიცებულებად არ შეიძლება იქნას მიჩნეული მხოლოდ განცხადებაზე გაკეთებული რეზოლუცია. ამ თვალსაზ-რისით საკასაციო სასამართლო პირველ ყოვლისა, მიუთითებს მტკიცებულებაზე, რომელიც, მოსარჩელის მოსაზრებით, მასა და სახელმწიფოს (თავდაცვის სამინისტროს ინფრასტუქტურის №3 რეგიონალური ბაზა) შორის იჯარის სამართლებრივი ურთი-ერთობის არსებობას ადასტურებს. გასაჩივრებული გადაწყვე-ტილებით დადგენილია და ამ მტკიცებულების შესწავლით დას-ტურდება, რომ მოსარჩელემ საიჯარო ხელშეკრულების დადე-ბის თხოვნით თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს განცხადებით მიმართა 2002 წლის 24 მაისს. ამავე წერილზე რე-ზოლუცია დადებულია 2002 წლის 27 მაისს.

განცხადებით მიმართვის დროისათვის მოქმედი რედაქცი-ით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სახელ-მწიფოსთან დადებულ გარიგებას ადმინისტრაციულ გარიგებად მიიჩნევდა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციუ-ლი კოდექსის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციის მე-2 მუხ-ლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ადმინისტრაციული გა-რიგება განმარტებულია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინის-ტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსაბართლებრი-ვი გარიგება. ამავე კოდექსის 69-ე მუხლით კი დადგენილი იყო ადმინისტრაციული გარიგების ფორმა, კერძოდ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული გარიგება შე-იძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. მოცემულ შემ-თხვევაში ზემოაღნიშნული წესით დადებული გარიგების დამა-დასტურებელი მტკიცებულება საქმის მასალებში არ მოიპოვე-ბა, ამასთანვე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სადავო მტკიცებულების მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთი-ერთობის ჭრილში შეფასების შემთხვევაშიც კი, მართალია, არც

დღეს და არც 2002 წელს მოქმედი რედაქციით სამოქალაქო კოდექსი იჯარის ხელშეკრულებისათვის წერილობითი ფორმის აუცილებლობას არ ითვალისწინებდა, თუმცა ამ გარემოების დადასტურების მიზნით მოსარჩელე ვალდებული იყო, წარმოედგინა იმგვარი მტკიცებულებები (მაგალითად, საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები), რაც უტყუარად დაადასტურებდა სახელმწიფოს ნებას მისი კუთვნილი უძრავი ნივთის მოსარჩელის მფლობელობაში გადაცემის თაობაზე.

ამდენად, მოსარჩელეს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის №3 რეგიონალურ პაზასთან იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტი სათანადო მტკიცებულებით არ დაუდასტურებია.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებულ კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესზე მითითებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ წესის პირველი მუხლი დეტალურად არეგულირებს მისი მოქმედების ფარგლებს. ნორმატიული აქტით რეგულირებული ურთიერთობის სუბიექტს კი, მოსარჩელე არ წარმოადგენს, თუმცა, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კასატორის მოწინააღმდეგებები მხარე (უფლებამონაცვლების ბ. წ.-ა) ზემოაღნიშნული აქტით რეგულირებული ურთიერთობის სუბიექტად იქნება მიწნეული, სადაც ნივთის მფლობელობის ნამდვილი უფლების დაუდასტურებლობის გამო, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა არ იკვეთება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებაზე, რომ სახელმწიფომ მის ბალანსზე არსებული ქირის, მათ შორის სადაც სარდაფი, 2003 წლის 17 ოქტომბერს გადასცა ქ. ფოთის ადგილობრივ თვითმმართველობას, თუმცა საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება და არც სასამართლოს დაუდგენია მოსარჩელის მიერ სარდაფის ფლობის მართლზომიერი უფლების თვითმმართველობისაგან მიღების ფაქტი, ამასთანავე, ფოთის საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე უდაცოდ დადგენილად მიიჩნია, რომ გარდა სადაც სარდაფით სარგებლობისა, მოსარჩელეს რაიმე სამართლებრივი კავშირი ბინათმესაკუთრებთა ამხანაგობასთან არ გააჩნდა, კერძოდ, ის არ ყოფილა ამ-

ხანაგობის წევრი. საქალაქო სასამართლოს ეს დასკვნა მხარე-ებს სადაცოდ არ გაუხდიათ და მისი საწინააღმდეგო გარემოება არც სააპელაციო პალატას არ დაუდგენია გასაჩივრებული გა-დაწყვეტილებით. საკასაციო პალატის შეფასებით, ეს გარემო-ება სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გავლენას ახდენს მოსარჩელის იური-დიული ინტერესის ნამდვილობაზე, კერძოდ, ნივთზე პრეტენ-ზის განმცხადებელი პირის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას-თან სამართლებრივ ურთიერთობაში არყოფნა თავისთავად გა-მორიცხავს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქარ-თველოს კანონით გარანტირებულ ინდივიდუალური სარგებლო-ბის საცხოვრებელ ან არასაცხოვრებელ ფართზე უფლების მქო-ნე სუბიექტის უფლების დაცვის შესაძლებლობას – კრების ოქ-მის ბათილად ცნობის იურიდიულ ინტერესს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვა-ლისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპე-ლაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახ-ლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭი-რო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამი-სად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე არ წარმოადგენდა ბი-ნათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს, ამასთანავე, მან ვერ უზ-რუნველყო სადაცოდ ფართის ფლობის მართლზომიერების დამა-დასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, საკასაციო პალა-ტა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს (მის უფლებამონაცვლე პ.ნ-ას) აღიარებით სარჩელის დაკმაყოფილების ნამდვილი ინტერესი არ გააჩნია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხ-ლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სა-ფუძველია.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით საკასაციო პალა-ტა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწი-ლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებუ-

ლი იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა მ. ი-სა და ზ. ი-ას საკასაციო საჩივარი, ხოლო ვ. წ-ას უფლებამონაცვლე ბ. წ-ას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, პალატა თვლის, ვ. წ-ას უფლებამონაცვლე ბ. წ-ას კასატორების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 354 ლარი.

რაც შეეხება კასატორთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეთ მათ წარმომდგენთ, რადგანაც, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალური ფარგლები კანონით რეგლამენტირებულია და დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება (სსსკ 407.1), შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანხმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორ მ. და ზ. ი-ს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ საკასაციო საჩივარსა და №ა-1760-13 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 15 ფურცლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. მ. ი-სა და ზ. ი-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. ვ. წ-ას უფლებამონაცვლე ბ. წ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. ვ. წ-ას უფლებამონაცვლე ბ. წ-ას მ. ი-სა და ზ. ი-ას სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 354 ლარის ანაზღაურება.

5. მ. და ზ. ი-ს დაუბრუნდეთ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები 15 ფურცლად.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

### განხილვა

№ას-173-166-2013

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სარჩელის აღმდეგ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 27 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ლ-მა და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული, 2012 წლის №2/193 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების შეჩერება. განმცხადებლის განმარტებით, ქ.ქუთაისში, კ-ის ქ. №39-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი იყო მისი ბებიის, თ. მ-ის საკუთრება, რომელიც გარდაიცვალა 1997 წლის 3 ოქტომბერს და აღნიშნულ სახლს ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მისი მამა, თ. ლ-ი.

ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 2011 წლის 28 იანვარს. მისი პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ განმცხადებელი, თ. ლ-ი, მისი და – თ. ლ-ი და დედა – ც. ლ-ი. აღმოჩნდა, რომ ც. ლ-მა სხვა მემკვიდრეებისთვის შეტყობინების გარეშე მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს და არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე, უკანონოდ დაირეგისტრირა საკუთრებაში ზემოთხსენებული უძრავი ნივთი, რომელიც მოგვიანებით, კრედიტორ რ. ც-ის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთა და ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო, უზრუნველყოფილი ქონება დღეის მდგომარეობით მიქცეულია აღსასრულებლად. განმცხადებლის განმარტებით, ის აპირებს სარჩელის აღძრას, უკანონო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და სამკვიდროდან კუთვნილი წილის გამოყოფის მოთხოვნით, ვინაიდან, არსებობს საშიშროება იმისა, რომ შესაძლოა მისი კუთვნილი ქონება გასხვისდეს, მან მიმართა სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების შეჩერების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინებით თ. ლ-ის განცხადება სარჩელის აღძრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არ დაკმაყოფილდა, იმ მოტივით, რომ სამომავლო სარჩელის საგანს წარმოადგენდა ან გარდაცვლილი მამის თ. ლ-ის სამკვიდროდან წილის გამოყოფა და იმ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მოპასუხე ც. ლ-მა საკუთრებაში აღრიცხა სადაც უძრავი ქონება და არა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების გაუქმება, რომლის აღსრულების მიზნითაც გაცემული იყო სააღსრულებო ფურცელი.

აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა თ. ლ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და სამკვიდროდან წილის მისაღებად სარჩელის აღძრარის ერთ-ერთი შიზანია ც. ლ-სა და რ. ც-ეს შორის დადებული იპოთეკის ხელშექრულების ნაწილობრივ გაუქმება და მისგან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 იანვრის განჩინებით, თ. ლ-ის საჩივარი ცნობილ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა თ. ღ-ის საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაბუთებულად და დასაშვებად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დაგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. ღ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან, მიიჩნია, რომ სამომავლო საჩივრის საგანს წარმოადგენდა არბიტრაჟის გადაწყვეტილების და არა იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191.1-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. საჩივრის თანახმად, თ. ღ-ი აპირებს საჩივრის შეტანას სასამართლოში, რომლის დავის საგანი იქნება შპს „ლიფტსერვის ნიკე-

ას“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და სამკვიდროდან წილის გამოყოფა ფა. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშეც.

სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმაზე, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებასა და სამკვიდროდან წილის გამოყოფას თანამდევად მოჰყვება ც. ღ-სა და რ. ც-ეს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობა. იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობაზე დავაუნდა მოხდეს ხელშეკრულების ბათილად ცნობისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, ანუ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით, მხარემ უნდა იდავოს სასამართლო სამართლარმების გზით პირველი ინსტანციის სასამართლოში, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნით სარჩელის აღძვრამდე ან აღძვრის შემდეგ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს.

სამოქალაქო კოდექსის 356-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ზ) ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო განიხილავს არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ანუ ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი განიხილოს, იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით“ რომლის განხილვა მის კომპეტენციაში შედის. ვინაიდან, მხარეებს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ამ შემთხვევაში, არ არის სააპელაციო სასამართლოს განსახილველი საქმე და ის განიხილავს მხოლოდ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებულ დავას, ამ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, შესაძლებელია, სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერების გარეშეც.

აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო პალატა მიიჩნევს რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 დეკემბრის განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით. თ. ღ-ის საჩივარი სწორად იქნა დაუსაბუთებლად მიჩნეული და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხსლმდლვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197 ქ , 420-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. ღ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება**

### **განხილვა**

№ას-863-821-2013

27 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინებით შპს „დ-ის“ განცხადება სარჩელის ალექსანდრე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ნანილობრივ დაკმაყოფილდა, მ. კ-ს აეკრძალა, მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ჰ. ა-ის ქ. №12-ში მდებარე 124.35 კვ.მ ბინის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რაც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასმართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის განჩინებით.

შპს „დ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე მ. კ-ის, მის სასარგებლოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის 35 328.96 ლარისა და სააღსრულებო ხარჯის 1682.33 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით შპს „დ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. კ-ს დაეკისრა მოსარჩელე შპს „დ-ის“ სასარგებლოდ შპს „ბ. 2007“-ისათვის თანხის დაკისრების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 35 328.96 ლარის და სააღსრულებო ხარჯის 1682.33 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამინიჭალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მ. კ-ს შპს „დ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა აღსრულების ხარჯის 1682,33 ლარის ოდენობით და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „დ-ს“ უარი ეთქვა მ. კ-ე აღსრულების ხარჯის სახით დამატებით 1682,33 ლარის დაკისრებაზე, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება შპს „დ-ის“ სასარგებლოდ მ. კ-ე 35328,96 ლარის დაკისრების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2013 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2013 წლის 26 ნოემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „დ-ის“ დირექტორმა ა. ს-ემ და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე მ. კ-ს, თავის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის შედეგად, თავდაპირველი კრედიტორის (სს „ბ. ბ-ის“) მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ, დარჩენილი

(ნამეტი) 35 328.96 ლარის ნაწილში აეკრძალოს თანხის გამოყენება. განმცხადებლის მითითებით, 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინებით შპს „დ-ის“ განცხადება სარჩელის აღმვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მ. კ-ის საკუთრებაში არსებული სადაც ქონება დაყადაღებული იყო სს „პ. ბ-ის“ მიერ. აღნიშნულ ქონებაზე 2013 წლის 28 ნოემბერს ჩანიშნულია აუქციონი და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მითითებულ აუქციონზე გასხვისდება ქონება, რითაც ფაქტობრივად აზრს დაკარგავს საერთო სასამართლოში წრმოებული დავა მოპასუხე მ. კ-სა და შპს „პ. 2007-ის“ მიმართ.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დააკმაყოფილეს შპს „დ-ის“ სარჩელი და მ. კ-ს, მის სასარგებლოდ, დაეკისრა 35 328.96 ლარის გადახდა, რომლის საკუთრებაში არსებულ სადაც ქონებას ნარმოადგენს ქ. თბილისში, ჰ. ა-ის ქ. №12-ში მდებარე 124.35 კვ., მ ბინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე მ. კ-ს, თავის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის შედეგად, თავდაპირველი კრედიტორის (სს „პ. ბ-ის“) მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ დარჩენილ (ნამეტი) 35 328.96 ლარის ნაწილში აეკრძალოს თანხის გამოყენება, ვინაიდან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე თბილის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შეისწავლა საქმის მასალები, ნარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ შპს „დ-ის“ დირექტორ ა. ი-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად კი, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც

უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც, სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაპუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიებს გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამისათვის მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეექმნას რჩმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტისას, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. დასახე-

ლებულ ნორმაში, მართალია, საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინებით შპს „დ-ის“ განცხადება სარჩელის აღვრომადე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ნაწილობრივ დაქმაყოფილდა და მ. კ-ს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ჰ. ა-ის ქ. №12-ში მდებარე 124.35 კვ.მ ბინის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება ამყარებს სასამართლოს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც შპს „დ-ის“ განცხადებით ირკვევა, მ. კ-ის საკუთრებაში არსებული სადაცო ქონება დაყადაღებული იყო თავდაპირველი კრედიტორის სს „ბ. ბ-ის“ მიერ და 2013 წლის 28 ნოემბერს ჩანიშნული აუქციონის შედეგად არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნულ აქციონზე გასხვისდება ქონება, რითაც შპს „დ-ის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება.

„სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არსებულირებს გადახდევინებული თანხების განაწილებას კრედიტორთა შორის, კარძოდ, მითითებული კანონის 821-ე მუხლის 1-ლი ნანილის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალისათვის გადახდევინებული (მისი ქონების რეალიზაციიდან მიღებული) თანხით ჯერ დაიფარება საფასური და ამ კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აღსრულების ხარჯი, ხოლო დანარჩენი თანხა გაიცემა იმ კრედიტორთა მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად, რომელთა სასარგებლოდაც, განხორციელდა იძულებითი აღსრულება. ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა უბ-

რუნდება მოვალეს ან მას ედება ყადაღა სხვა კრედიტორის სა-სარგებლოდ. ამავე კანონის 822-ე მუხლის თანახმად: 1. თუ მო-ვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის კრე-დიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა კრედიტორთა შორის ნაწილდება ამ კანონის 823 მუხლით დადგენილი რიგის დაცვით. 2. ყოველი მომდევნო რიგის მოთ-ხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. 3. თუ გასანაწილებელი თანხა საკმა-რისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმა-ყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითო-ეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორცი-ულად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნა-წილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნ-ველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტის სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკ-რძალვა.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მ. კ-ის საკუთრებაში არ-სებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შედეგად, თავდა-პირველი კრედიტორ სს „ბ. ბ-ის“ დაკმაყოფილების შემდგომ, მ. კ-ის საკუთრებაში დარჩენილი სახსრების შემთხვევაში, მას უნ-და აეკრძალოს შპს „დ-ის“ სასარგებლოდ, სასამართლოს გადაწ-ყვეტილებით დაკისრებული – 35 328.96 ლარის ნაწილში თანხის გამოყენების უფლება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე, 199-ე მუხლე-ბით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დ-ის“ დირექტორ ა. ს-ის განცხადება სარჩელის უზ-რუნველყოფის ონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყო-ფილდეს.

2. მ. კ-ს აეკრძალოს, თავის საკუთრებაში არსებული, ქ. თბი-ლისში, ჰ. ა-ის ქ. №12-ში მდებარე 124.35 კვ.მ უძრავი ქონების

აუქციონზე რეალიზაციის შედეგად თავდაპირველი კრედიტორის (სს „ბ. ბა-ის“) დაკმაყოფილების შემდგომ, მის საკუთრებაში დარჩენილი სახსრების გამოყენება 35 328.96 ლარის ნაწილში;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება**

### **განხილვა**

№ას-1020-975-2013

19 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა:** თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. გ-ემ, თ. ფ-ემ, მ. გ-ემ და ა. ფ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს „კ. ს. ბ-ის“ მიმართ და ვალდებულების შესრულების გამო უძრავ ნივთებზე იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვეს.

მოპასუხებ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით თ. გ-ის, მ. გ-ის, თ. ფ-სა და ა. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა.

2013 წლის 4 სექტემბერს თ. გ-ემ, თ. ფ-ემ, მ. გ-ემ და ა. ფ-ემ განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, კერძოდ, აღსრულების შეჩერება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინებით წარდგენილი განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაზედაც განმცხადებლებმა საჩივარი წარადგინეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 სექტემბრის განჩინებით წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა საჩივარი საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოეგზავნა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „კ. ს. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „გ. 2008-ს“ სს „კ. ს. ბ-ის“ სასარგებლოდ 262 795.12 აშშ დოლარის, ასევე პირვასამტებლოს სახით ძირითადი თანხის-244 272.32 აშშ დოლარის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2010 წლის 17 აგვისტოდან სესხის სრულ დაფარვამდე გადახდა დაეკისრა; დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ასევე გადაწყდა დავალი-ანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს იპოთეკით დაცვირთული უძრავი ქონებები, მათ შორის თ. გ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება: საკადასტრო კოდი №..., მისამართი: რაიონი ხელვაჩაური, სოფელი უ-ი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, მასზედ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი და მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება.

დადგენილია რომ 2013 წლის 4 სექტემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა თ. გ-ის წარმომადგენელმა მ. ა-მა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში, 2013 წლის 9 ივლისს, A13042798 საქმეზე დაწყებული აღსრულების შეჩერება მოითხოვა.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინებით თ. გ-ის წარმომადგენლის, მ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა თ. გ-ებ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 სექტემბრის განჩინებით წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს საჩივარს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს. პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუ-

საბუთებელია და დამატებით განმარტა: სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანნილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც, სასამართლო დარწმუნდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება არის ის ერთადერთი აუცილებელი საშუალება, რომლის გამოყენებლობის შემთხვევაში, აზრი დაეკარგება გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, აღბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის აღბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, თ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სრულად შესრულების გამო, საჯარო რეესტრში, სს „კ.ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, მის კუთხით უძრავ ქონებაზე არსებული იპოთეკის რეგისტრაციის ჩანაწერის გაუქმება. ამ სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში, მართალია, გაუქმდება საჯარო რეესტრში არსებული სადავო ჩანაწერი, მაგრამ ეს გავლენას ვერ მოახდენს უკვე დაწყებულ სააღსრულებო პროცესზე, რადგან აღსრულება მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე და ეს გადაწყვეტილება სადავო არ არის. გარდა ამისა, მოსარჩელე სადავოდ არ ხდის არც გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ აღსრულების ღონისძიებებს. ე.ი. ამ დავაში სააღსრულებო პროცესის კანონიერება სადავო არ არის, კანონიერი აღსრულების შეჩერება კი არ შეიძლება. ეს ნიშნავს, რომ სააღსრულებო პროცესი გაგრძელდება და გადაწყვეტილება აღსრულდება, მიუხედავად იმისა, დაკმა-

ყოფილდება თუ არა თ. გ-ის სარჩელი.

პალატამ მიიჩნია, რომ თ. გ-ის წარმომადგენლის საჩივარი დაუსაბუთებელია, არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმის მასა-ლებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და თ. გ-ის სა-ჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემ-დეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწი-ლის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივა-რი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგე-ნილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერ-ძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმო-ებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებუ-ლი წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასა-ციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ:

ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპე-ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-ტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვე-ტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუ-თებას.

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 ივლისის გადაწყვეტი-ლებით თ. გ-ის, თ. ფ-ის, მ. გ-სა და ა. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყო-ფილდა.

თ. გ-ემ და თ. ფ-ემ განცხადებით მიმართეს თბილისის საა-პელაციო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ღო-ნისძიების გამოყენება მოითხოვეს, კერძოდ, აჭარისა და გური-ის სააღსრულებო ბიუროში 2013 წლის 9 ივლისს დაწყებული აღ-სრულების შეჩერება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 სექტემ-ბრის განჩინებით, განმცხადებლების მოთხოვნა არ დაკმაყო-ფილდა.

ზემოდასახელებულ განჩინებაზე თ. გ-ემ წარადგინა საჩი-ვარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ დასაბუთებით, რომ იპო-თეკით დატვირთული ქონების გასხვისება ქუთაისის სააპელა-ციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რითაც წარდგენილი

სარჩელი დაკმაყოფილდება აღუსრულებელს გახდის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საჩივრის ავტორის არგუმენტი პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც, სასამართლო დარწმუნდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება არის ის ერთადერთი საშუალება, რომლის გამოყენებლობის შემთხვევაში, აზრი დაკარგება გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა განმცხადებლების მოთხოვნა, არ იზიარებს სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში წარმოდგენილი განცხადებით დგინდება, რომ განმცხადებლების მოთხოვნა იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეიძლება იყოს: ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღმკრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს შემდეგს: იმისათვის, რომ გამოყენებული იქნეს ზემოდასახელებული უზრუნველყოფის ღონისძიების დონისძიება სახეზე უნდა იყო ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელი. განსახილველ შემთხვევები კი დგინდება, რომ საჩივრის ავტორები ითხოვდენენ ვალდებულების შესრულების გამო უძრავ ნივთებზე იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმებას, მათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლში მითითებული მოთხოვნით, რაც აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობაა სარჩელი (ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელი) არ აღუძრავთ, შესაბამისად მათი მოთხოვნა აღსრულების შეჩერების შესახებ დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 197, 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე  
მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

თ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2013 წლის 5 სექტემბრისა და 18 სექტემბრის განჩი-  
ნებები დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

## **სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება**

### **განვითარება**

№ას-460-434-2014

13 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**განმცხადებლის მოთხოვნა: უზრუნველყოფის ღონისძიე-  
ბის გამოყენება**

### **აღნერილობითი ნაწილი:**

ც. ჭ-მა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამარ-  
თლოს მოპასუხეების: ჯ. ფ-ის, ბ. ა-ს, ზ. ა-ს, მ. ს-სა და ც. გ-ის  
წინააღმდეგ და მოითხოვა: 1) ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამ-  
ზირის №14-ში მდებარე ც. ჭ-ის უძრავი ქონებიდან იპოთეკის  
მოხსნა, დადებული ბ. ა-სა და ზ. ა-ს შორის 2010 წლის 30 ივლი-  
სის სესხისა და იპოთეკის საფუძველზე; 2) ქ. ქუთაისში, ახალ-  
გაზრდობის გამზირის №14-ში მდებარე ც. ჭ-ის უძრავი ქონები-  
დან იპოთეკის მოხსნა, დადებული ბ. ა-სა და ჯ. ფ-ს შორის 2010  
წლის 31 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის საფუძველზე; 3) ქ.

ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №14-ში მდებარე ც. ჭ-ის უძრავი ქონებიდან იპოთეკის მოხსნა, დადებული ბ. ა-სა და მ. ს-ს შორის 2011 წლის 11 მარტის სესხისა და იპოთეკის საფუძველზე; 4) ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №14-ში მდებარე ც. ჭ-ის უძრავი ქონებიდან იპოთეკის მოხსნა, დადებული ბ. ა-სა და ც. გ-ს შორის 2011 წლის 17 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის საფუძველზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ც. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეჩერდა სააღსრულებო საქმე №13043652 ბ. ა-ს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე (ც. ჭ-ის სარჩელის განხილვამდე და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე).

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ჭ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მირებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის განჩინებით ც. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა (ც. ჭ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება).

2014 წლის 6 მაისს ც. ჭ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 192-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად, შეჩერდეს იმერეთის, რაჭა-ლეჩებუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული №14023616 სააღსრულებო საქმე, მოვალე ბ. ა-სა და კრედიტორ მ. ს-ს შორის, ც. ჭ-ის სარჩელის განხილვამდე და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შემდეგი დასაბუთებით:

განმცხადებლის განმარტებით, 2011 წლის 11 მარტს ბ. ა-სა და მ. ს-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც ბ. ა-მ უზრუნველყო, თაღლითური გზით (ყალბი მინდობილობით) თავის საკუთრებაში გადაფორმებული, ქ. ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირის №14-ში მდებარე, თავისი ბებიის – ც. ჭ-ის უძრავი ქონებით. ბ. ა-მ არ გადაიხადა თანხა, რის გამოც კრედიტრომა მიმართა სასამართლოს თანხის დაკის-

რებისა და უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა გადაწყვეტილებით და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სააღსრულებო წარმოების პროცესში, ც. ჭ-ისთვის ცნობილი გახდა პ. ა-ს თაღლითობის თაობაზე, რის გამოც მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დოკუმენტის გაყალბებისა და თაღლითობის ფაქტზე. ქუთაისის პროურატურამ შეაჩერა სააღსრულებო საქმის წარმოება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 2012 წლის 23 ოქტომბერს პ. ა-ს მიმართ დადგა გამამტუნებელი განაჩენი.

ც. ჭ-მა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში პ. ა-ს მიმართ და მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. 2013 წლის 4 მარტს ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მხარეთა მორიგების გამო შეწყვიტა საქმის წარმოება, რომლის თანახმადაც, ც. ჭ-ს აუნაზღაურდა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანი ნატურით, პ. ა-ს კი, დაევალა აღნიშნული ქონებები 2013 წლის 25 აპრილამდე გაეთავისუფლებინა მის მიერ დატვირთული იპოთეკარებისგან, რაც მან არ შეასრულა.

2014 წლის 30 აპრილის სააღსრულებო ბიუროს მიერ გაცემული ცნობიდან ირკვევა, რომ კრედიტორმა მ. ს-მ №2/857-12 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, დაიწყო სააღსრულებო წარმოება. იპოთეკით უზრუნველყოფილ ქონებაზე აუქციონი ამჟამად არ დაიწყო. სააღსრულებო საქმის წარმოებით ირგვევა ც. ჭ-ის კანონიერი უფლებები, ეკრძოდ, შესაძლოა გასხვისდეს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რაც გააძნელებს სარჩელის დაქმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ც. ჭ-მა მოითხოვა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსრულების საქმის წარმოების შეჩერება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა ც. ჭ-ის განმცხადება და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორ-

ციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მიმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი ონმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება ნარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ანესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ, ნინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს. კანონმდებლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის საგანს ნარმოადგენს უძრავი ქონების იპოთეკისგან გათავისუფლება. აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, სარჩელის საფუძვლიანობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს აზრით, არ იქმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 284-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ც. ჭ-ის განცხადება არ დაქმაყოფილდეს;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **დაუსრულებელი გადაწყვეტილება**

### **განჩინება**

№ას-651-619-2013

24 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

გ. ქ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. და თ. გ-ის მიმართ ზიანის, კერძოდ, სამედიცინო ხარჯების – 1034 ლარის, დაზიანებული ავტომანქანის აღსაღდენად – 800 ლარის, 3 თვის განაცდურისათვის – 1500 ლარისა და მორალური ზიანისათვის 500 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელე შეუთანხმდა ა. ა-ს თავისი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით გადაეყვანა მგზავრები.

დ. გ-ე განაწყენდა, რადგან გ. ქ-ე მას კონკურენციას უწევდა მგზავრების გადაეყვანაში, რის გამოც გადაწყვეტა, ეცემა და ავტომანქანა დაეზიანებინა მისთვის.

2011 წლის 10 იანვარს დაახლოებით 21.00 საათზე, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მოპასუხებმ თავისი კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობა გადაუკეტა გ. ქ-ეს, გადმოვიდა ავტომანქანიდან და თავის შვილ თ. გ-ან ერთად დააზიანა გ. ქ-ის კუთვნილი მიკროავტობუსი, რის გამოც,

გ. ქ-ეს მიადგა 800 ლარის ოდენობის ზიანი. ამასთანავე, დ. გ-ემ მოსარჩელეს მიაყენა სხეულის დაზიანება. გ. ქ-ე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობდა დიაგნოზით – გულ-მკერდის დაჟეჟილობა, ნეკნების დაზიანება, ქალატვინის დახურული ტრავმა და თავის ტვინის შერყევა.

ჩადენილი დანაშაულის გამო, 2011 წლის 4 მარტს არსებითი განხილვის გარეშე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ იქნა სისხლის სამართლის საქმე დ. გ-სა და თ. გ-ის მიმართ და ისინი ცნობილ იქნებ დამნაშავეებად. ჩადენილი დანაშაულის შედეგად გ. ქ-ემ განიცადა, როგორც ეკონომიური, ასევე, ფიზიკური და მორალური ზიანი, დარჩა უმუშევარი და შეერყა ჯანმრთელობა.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ მოსარჩელეს ზიანი სრულად აუნაზღაურეს. გარდა ავტომანქანის შეკეთების, მედიკამენტების შეძენისა და საავადმყოფოში მკურნალობისა, მოსარჩელეს დამატებით უხდიდნენ ყოველდღიურად 50 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. გ-ეს გ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 100 ლარისა და მატერიალური ზიანის – 250 ლარის ანაზღაურება, გ. ქ-ეს უარი ეთქვა 3131 ლარის დაკისრების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მონიცაალმდეგე მხარეების მიერ შესაგებლის ნარუდგენლობის გამო, რაზეც საჩივარი შეიტანეს დ. და თ. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, დ. და თ. გ-ს დაეგალათ გ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სასამართლოსათვის სააპელაციო პასუხის წარდგენა. მათვე განემარტათ, რომ სააპე-

ლაციო პასუხის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლოა, მათ წინააღმდეგ გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინებასთან ერთად და თ. გ-ს გაეგზავნათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

დასახელებული გზავნილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით და გ-ეს ჩაბარდა 2013 წლის 5 თებერვალს, თ. გ-ეს კი – 2013 წლის 10 თებერვალს.

დ. და თ. გ-ს გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარზე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ წარუდგენიათ.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 387-ე, 232<sup>1</sup> მუხლებით და მიუთითა, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუ პელანტის მონინააღმდეგე მხარე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით სააპელაციო საჩივარზე შესაგებელს არ წარადგენს. აღნიშნული განპირობებულია, ერთის მხრივ, სასამართლოს ვარაუდით, რომ მხარემ საქმის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგა, მეორე მხრივ კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელმაც სასამართლოს დავალება უგულებელყო და მის მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედება არასაპატიო მიზეზით არ შეასრულა. კონკრეტულ შემთხვევაში შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზად საჩივრის ავტორები მიუთითებენ მათ მიერ საპროცესო კანონმდებლობის არცოდნას, ფინანსური მდგომარეობის გამო კი, იმის შესაძლებლობის არქონას, რომ საქმე სასამართლოში ეწარმოებინათ წარმომადგენლის მეშვეობით.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საჩივრის ავტორების დასახელებული არგუმენტები და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე წარუდგენლი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამდლვრებს. პალატამ მიიჩნია, რომ დ. და თ. გ-ს შეეძლოთ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოედგინათ პირადად შედგენილი შესაგებელი და გაექარნყლებნათ მათ მიმართ წარდგენილი პრეტენზიები მსგავსად მათ მიერ წარმოდგენილი საჩივრებისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, შესაგებლის წარმოდგენისათ-

ვის დადგენილ ვადაში ერთ-ერთ მოწინააღმდეგე მხარეს სასა-მართლოსათვის საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით მაინც მიემართა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება, გახდეს მხოლოდ ისეთი გარემოების დადასტურება, რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარმოდგენის შეუძლებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის დროულად შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც დადგინდა, საჩივრის ავტორებმა ვერ დაადასტურეს შესაგებლის სასამართლოში წარმოუდგენლობის შეუძლებლობის საპატიო გარემოების არსებობა, რაც შეიძლებოდა, გამხდარიყო სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების თაობაზე დ. გ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო აპელანტების მიერ კანონმდებლობის არცოდნით. კასატიონის ოჯახი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა პაზაშია რეგისტრირებული და დ.გ-ეს ადვოკატის აყვანა, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო. ამასთან, საკასაციო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დაკვნას, რომ, მხარემ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დავის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძლები, შეამონმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩინა, რომ დ. გ-ის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დად-

გენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლის მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

კანონის დასახელებული დანარჩენის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლომ მოპასუხესათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნისას თავისი განჩინებით უნდა განუსაზღვროს მას ვადა შესაგებლის წარსადგენად; მითითებული განჩინება და სარჩელის ასლი მოპასუხეს უნდა ჩაბარდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების დაცვით, თუმცა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარემ შესაგებელი ობიექტურად არასაპატიო მიზეზით არ უნდა წარადგინოს. ამგვროულად, დაუსწრებელი გადაწყვეტილები მიღებამდე სასამართლო გამორკვევს, ამართლებს თუ არა სარჩელში მითითებული გარემოებანი სასარჩელო მოთხოვნას. უფრო ზუსტად თუ განვმარტავთ, მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობა (როგორც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ისე ამ ვადის გასვლის შემდეგაც) სასამართლოს მხრიდან აღიქმება, როგორც მხარის მიერ დავისადმი იურიდიული ინტერესის დაკარგვად და სარჩელში მითითებული გარემოებანი დადგენილად მიიჩნევა ისე, რომ მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად დასახელებული გარემოებების კანონით დადგენილი წესით მტკიცების ტვირთისაგან თავისუფლდება. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა დაადგინოს, კანონის ძალით დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგად დასტურდება თუ არა კონკრეტული სადაც ურთიერთობის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობის არსებობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ზემოხსენებული წესები ვრცელდება სააპელაციო პალატის მიმართაც, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები არეგულირებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძ

ლებლობას საქმის განხილვაზე აპელანტისა და მოწინააღმდეგებების მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ და თ. გ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაეგზავნათ გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინებასთან ერთად, რომლითაც აპელანტის მოწინააღმდეგებები მხარე გაფრთხილებულ იქნა 7 დღის ვადაში სააპელაციო პასუხის ნარდგენის ვალდებულებასა და ნარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილია შეტყობინების ბარათები, რომლებითაც დასტურდება, რომ დ. გ-ის ოჯახის წევრ (მეუღლე) მ. ბ-ქეს სასამართლო გზავნილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა 2013 წლის 5 თებერვალს, ხოლო თ. გ-ეს – პირადად, 2013 წლის 10 თებერვალს.

აღნიშნულის მიუხედავად, გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარზე დ. გ-ეს არც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და არც შემდეგ შესაგებელი არ წარუდგენია, რის საპატიო მიზეზად მან მიუთითა საპროცესო კანონმდებლობის არცოდნაზე, ფინანსური მდგომარეობის გამო კი, საქმის კვალიფიციური წარმომადგენლის დახმარებით წარმოების შესაძლებლობა, მისი განმარტებით, მხარეს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო საგესებით ეთანხმება სააპელაციო პალატის დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამდლვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. გ-ემ სასამართლოს მიერ დავალებული საპროცესო მოქმედების – სააპელაციო შესაგებლის შეტანის განუხორციელებლობის საპატიო გარემოების არსებობა ვერ დაასაბუთა.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ მიზეზს

(კანონის მოთხოვნათა არცოდნას), სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

ამდენად, გასაზიარებელია გასაჩივრებული განჩინების და-საბუთება, რომ დ. გ-ეს შეეძლო, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოედგინა პირადად შედგენილი შესაგებელი, უარეს ან გაექარნყლებინა მის მიმართ წარდგენილი პრეტენზიები ისევე, როგორც მან განახორციელა დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა დადგენილად გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2011 წლის 10 იანვარს დ. გ-ემ ფიზიკური შეურაცხოფა მიაყება გ. ქ-ეს, რის შედეგადაც გ. გ-ემ მიიღო გულ-მერდის დაუკულობა, ნეკნების დაზიანება, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა და თავის ტვინის შერყევა.

აღნიშნული ინციდენტის დროს მოპასუხეებმა – დ. გ-ემ და თ. გ-ემ დააზიანეს გ. ქ-ის კუთვნილი მიკრო ავტობუსი. მიკრო ავტობუსისათვის მიყენებული დაზიანებების აღმოფხვრისათვის აუცილებელი თანხა შეადგენს 800 ლარს.

გ. ქ-ის მიერ მკურნალობისათვის განეულმა ხარჯმა შეადგინა 1034 ლარი. ამასთან, გ. ქ-ე ენერდა სამენარმეო საქმიანობას, მიკროავტობუსით გადაპყვავდა მგზავრები და მისი საშუალო შემოსავალი შეადგენდა საშუალოდ 500 ლარს. მიკროავტობუსის დაზიანების გამო, შეუძლებელი გახდა მისი გამოყენება სამი თვის განმავლობაში, რის გამოც მიუღებელი შემოსავლის სახით გ. ქ-ეს მიადგა 1500 ლარის ოდენობით ზიანი.

გ. ქ-ეს ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენეს საჯაროდ, მან მიიღო სხეულის დაზიანებები, ამდენად, აპელანტმა განიცადა მძიმე სულიერი ტკივილი, რითაც მოპასუხე დ. გ-ემ მას მიაყენა მორალური ზიანი 500 ლარის ოდენობით.

გ. ქ-ემ ადვოკატის მომსახურებისათვის გადაიხადა 300 ლარი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებანი იურიდიულად ამართლებს გ. ქ-ის მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 992-ე, 413-ე მუხლებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესებიდან

გამომდინარე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და გ. ქ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების, შესაბამისად, არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე განჩინების გაუქმების საფუძვლის არსებობა კასატორმა ვერ დაადასტურა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2013 წლის 24 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### განხილვა

№ას-778-738-2013

5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: თ. თოლდია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** დავალიანების გადახდის დაკისრება და იპო-  
თეკის საგნის რეალიზაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ბ 2002-ს“,  
გ. ა-ის, კ. და ნ. დ-ის მიმართ დავალიანების გადახდის დაკისრე-  
ბისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით შემდეგი  
საფუძვლებით:

2010 წლის 28 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და შპს „ბ 2002-ს“ შო-  
რის გაფორმდა №510811 საკრედიტო ხაზით მომსახურების  
ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ბ 2002-ს“ გაეხსნა საკრედი-  
ტო ხაზი 10 წლის ვადით 250 000 ლარის ერთიანი საკრედიტო  
ლიმიტით.

2010 წლის 28 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და კ. დ-ს შორის  
№510811 ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში მოქმედ ხელ-  
შეკრულებათა უზრუნველსაყოფად გაფორმდა №510811-ა იპო-  
თეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა  
ქ.მარნეულში, ა-ის ქ. №19-ში მდებარე ბ-3 კ. დ-ის კუთვნილი  
უძრავი ქონება.

2010 წლის 28 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და ბ. დ-ს შორის  
№510811 ხელშეკრულების და მის ფარგლებში მოქმედ ხელშეკ-  
რულებათა უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ.მარ-  
ნეულში, სოფელ ო-ი მდებარე ბონდო დ-ის უძრავი ქონება.

2010 წლის 28 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და ნ. დ-ს შორის  
№510811 ხელშეკრულების და მის ფარგლებში მოქმედ ხელშეკ-  
რულებათა უზრუნველსაყოფად გაფორმდა იპოთეკის ხელშეკ-  
რულება №510811-გ, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა ქ.თბი-  
ლისში, ვ-ი-3-ის, მე-3 მიკრორაიონში, 304ა კორპუსში მდებარე  
ნ. დ-ის უძრავი ქონება.

2010 წლის 29 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და შპს „ბ 2002-ს“ შო-

რის გაფორმდა №510811 ხელშეკრულების შემადგენელი №510811-8329 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ბ 2002-ზე“ გაიცა 70000 ლარი 24 თვის ვადით.

2010 წლის 29 დეკემბერს საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად პ. დ-ს, ნ. დ-ს, გ. ა-სა და სს „ს. ბ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება სოლიდარული თავდებობის შესახებ, რომლითაც თავდებმა პირებმა სრული პასუხისმგებლობა იკისრეს შპს „ბ 2002-ს“ მიერ ბანკის მიმართ ვალდებულებების შესრულებაზე. მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც წარმოეშვა დავალიანება და, ბანკის მხრიდან არა ერთი წერილობითი თუ ზეპირი გაფორთხილების მიუხედავად, მოპასუხეებს არსებული საკრედიტო დავალიანება არ დაუფარავთ.

მოპასუხებმა სარჩელი ნაწილობრივ ცნეს და მიუთითეს, რომ სს „ს. ბ-ა-ს“ გაფორმდა ხელშეკრულებები, თუმცა მოსარჩელის წარმომადგენელს ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები დეტალურად არ აუხსნია. იპოთეკის ხელშეკრულების 6.9. მუხლი არის უკანონო და ენინააღმდეგება სამართლის ნორმებს. ხელშეკრულებების გაფორმებისას სს „ს. ბ-ა“ თავის სასარგებლოდ გამოიყენა მოპასუხეთა გამოუცდელობა, რითაც ისინი ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტებლოს დაკისრებისა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიცევის ნაწილშიც.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ბ 2002-ს“, ნ. დ-სა და გ. ა-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ ძირითადი თანხის – 36 128.81 ლარის, პროცენტის – 3 720.22 ლარისა და პირგასამტებლოს – 814 ლარის, სულ – 40 663.03 ლარის სოლიდარულად გადახდა, დავალიანების დაფარვის მიზნით, სარეალიზაციოდ მიეცა ქ.თბილისში, ვ-ი-3-ის დასახლების მე-3 მიკრორაიონის 304ა კორპუსში, მე-9 სართულზე მდებარე სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული 52-ე ბინა, ნ. დ-ის საკუთრებაში არსებული მარნეულის რაიონში, სოფელ ოჯავნიკიძეში მდებარე უძრავი ქონება, ქ.მარნეულში, ა-ის ქ. №19-ში კ. დ-ის საკუთრებაში არსებული 3-ე ბინა, სს „ს. ბ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც აღსარულება უნდა მომხდარიყო შპს „ბ 2002-ის“, ნ. დ-სა და გ. ა-ის სხვა ქონებათა რეალიზაციის გზით, თუ იპოთეკის საგანთა რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი მოთხოვნის უზრუნველ-

საყოფად. გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – მოსარჩელემ, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოპასუხემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით შპს „ბ 2002-ის“, კ. დ-ის, ნ. დ-სა და გ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით კი, სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი, მოწინააღმდეგი მხარეების მიერ შესაგებლის ნარმოუდგენლობის გამო, დაკმაყოფილდა, რაზეც შპს „ბ 2002-მა“, კ. დ-მა, ნ. დ-მა და გ. ა-ემ შეიტანეს საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის განჩინებით აპელანტის მოწინააღმდეგ მხარეებს – შპს „ბ 2002-ს“, კ. დ-ს, ნ. დ-სა და გ. ა-ეს დაევალათ, სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში ნარმოუდგინათ სააპელაციო პასუხი, ამასთან, განემარტათ, რომ სააპელაციო პასუხის ნარმოუდგენლობის შემთხვევაში შესაძლოა, მათ წინააღმდეგ გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი ნარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ ნარმოუდგენია არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 წაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები, რაც სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) ნარმოსადგენად დადგენილი ვადის გაგრძელების საფუძველი გახდებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ნ. დ-ს შესაძლებლობა ჰქონდა, წარედგინა სააპელაციო პასუხი გზავნილის ჩაბარებიდან – 2013 წლის 23 თებერვლიდან 7 დღის ვადაში – 2013 წლის 4 მარტის ჩათვლით (2-3 მარტი დაემთხვება შაბათ-კვირას, არასამუშაო დღეებს).

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარი გაეგზავნა თავად მხარეთა მიერ მითითებულ მისამართებზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა იმ სუბიექტებს, რომელთათვის ჩაბარებაც, საპროცესო სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, მხარისათვის ჩაბარებად მიიჩნევა.

სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება, რომ შესაგებლის წარსადგენად განსაზღვრული 7-დღიანი ვადა არ იყო გონივრული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი შესაგებლის წარმოსადგენად ვადის მინიმალურ ზღვარს არ ითვალისწინებს და მხოლოდ უთითებს, რომ ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის საგნისა და საქმის განმხილველი სასამართლო ინსტანციის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული 7-დღიანი ვადა შესაგებლის წარმოსადგენად იყო საკმარისი და გონივრული. აღნიშნულ ვადაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმე იხილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, სადაც მხარები იცნობენ ერთმანეთის პოზიციებს, ამდენად, შესაგებლის შესავსებად და წარმოსადგენად არ არის საჭირო დიდი დრო, რომელმაც, თავის მხრივ, საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება შეიძლება, გამოიწვიოს.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ ნ. დ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი დასაბუთებით:

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ კასატორისათვის (ცნობილი გახდა, რომ სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარზე, შესაგებლის წარუდგენლობის გამო, სასამართლომ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტიდან და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სს „ს. ბ-ის“ სარჩელი, შესაბამისად, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკის საგანთა რეალიზაციით მიღებული თანხის არასაკმარისად მიჩნევის შემთხვევაში მოთხოვნა აღსრულდება შპს „ბ 2002-ის“, ნ. დ-სა და გ. ა-ის სხვა ქონების რეალიზაციით.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონოა. სა-

სამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზი საპატიო იყო. სააპელაციო საჩივარი 6. დ-ის ოჯახის წევრებმა ჩააბარეს. შპ „ბ 2002-ის“ დირექტორს კ. დ-ს, გზავნილი არ ჩაბარებია, ვინაიდან იგი იმყოფებოდა რუსეთში, ხოლო გ. ა-ემ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ მოახერხა დადგენილ ვადაში შესაგებლის მომზადება.

მოპასუხები ელოდნენ კ. დ-ის მოსკოვიდან ჩამოსვლას, რადგან სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარმოდგენას ერთობლივად აპირებდნენ. ამასთან, შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა არაგონივრული იყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ 6. დ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლის მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთანავე, მოსამართლე დაკამაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

კანონის დასახელებული დანაწესის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლომ მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნისას თავისი განჩინებით უნდა განუსაზღვროს ვადა შესაგებლის წარსადგენად; მითითებული განჩინება და სარჩელის ასლი მოპასუხეს უნდა ჩაბარდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების დაცვით, თუმცა, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარემ შესაგებელი ობიექტურად არასაპატიო მიზეზით არ უნდა წარად-

გინოს. ამავდროულად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო გამოარკვევს, ამართლებს თუ არა სარჩელში მითითებული გარემოებანი სასარჩელო მოთხოვნას. უფრო ზუსტად თუ განვმარტავთ, მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სასამართლოს მხრიდან შეფასდება, როგორც მხარის მიერ დავისადმი იურიდიული ინტერესის დაკარგვა და სარჩელში მითითებული გარემოებანი დაფგენილად მიიჩნევა ისე, რომ მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად დასახელებული გარემოებების კანონით დადგენილი წესით მტკიცების ტვირთისაგან თავისუფლდება. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა დაადგინოს, კანონის ძალით დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგად დასტურდება თუ არა კონკრეტული სადაცო ურთიერთობის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობის არსებობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ზემოხსენებული წესები ვრცელდება სააპელაციო განხილვაზეც, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები არეგულირებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საქმის განხილვაზე აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოიცხადებლობისას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. დ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაეგზავნა სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს 2014 წლის 4 იანვრის განჩინებასთან ერთად, რომლითაც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე გაფრთხილებულ იქნა 7 დღის ვადაში სააპელაციო პასუხის წარდგენის ვალდებულება-სა და წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილია შეტყუბინების ბარათი, რომლითაც დასტურდება, რომ ნ. დ-ს სასამართლო გზავნილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით

2014 წლის 23 თებერვალს პირადად.

აღნიშნულის მიუხედავად, სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარზე ნ. დ-ს არც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და არც შემდეგ შესაგებელი არ წარუდგენია. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარსა და საკასაციო საჩივარში მხარემ შესაგებლის წარუდგენლობა მიიჩნია საპატიოდ, კერძიდ, განმარტა, რომ სასამართლო გზავნილი გადაეცა თავისი ოჯახის წევრებისაგან და შესაგებლის წარსადგენად გონივრული ვადა არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო სავსებით ეთანხმება სააპელაციო პალატის დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამდლვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. დ-მა სასამართლოს მიერ დავალებული საპროცესო მოქმედების – სააპელაციო შესაგებლის შეტანის განუხორციელებლობის საპატიო გარემოების არსებობა ვერ დაასაბუთა.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მითითება, რომ მას გონივრული ვადა არ მიეცა სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარსადგენად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი ადგენს შესაგებლის შედგენისა და სასამართლო-სათვის წარდგენის მაქსიმალურ ვადებს – 14 დღეს, ხოლო რთულ საქმეებზე – 21 დღეს. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია, თავად შეაფასოს აღნიშნული ვადის ხანგრძლივობა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სავსებით გონივრული ვადა მისცა მოპასუხებს სადაც შესაგებლის წარსადგენად. ამასთან, მითითებული ვადის არასაკმარისად მიჩნევისას ნ. დ-ს შეეძლო, ეშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ვადის გაგრძელების თაობაზე, რაც მას არ განუხორციელება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა დადგენილად სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2010 წლის 28 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და შპს „ბ 2002-ს“ შორის დადებული №510811 საკრედიტო ხაზით მომსახურების

ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტით განისაზღვრა შემდეგი: იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა ბანკის მოთხოვნას, ბანკი უფლებამოსილი იქნებოდა, აღსრულება მიექცია მსესხებლის სხვა ქონებაზე, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით. იგივე წესი ვრცელდება სოლიდარულად ვალდებულ პირებზე, ანუ სოლიდარულ თავდებებზე – 6. დ-სა და გ. ა-ე.

ამდენად, სასამართლომ ზემოხსენებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე, მართებულად დააკმაყოფილა სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნა და იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს ბანკის მოთხოვნას, მოსარჩევეს უფლებამოსილება მიენიჭა, აღსრულება მიაქციოს მსესხებლისა და თავდები პირების სხვა ქონებაზე, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების, და არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე განჩინების გაუქმების საფუძვლის არსებობა კასატორმა ვერ დაადასტურა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. დ-ის საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2013 წლის 18 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსცნებელი გადაწყვეტილება

### განხილვა

№ას-84-80-2014

5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი  
ვალდებულების შესრულება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ჯ. ე-მა“ სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ი-ის“ მი-  
მართ მოპასუხისათვის 64 903,03 ლარის დაკისრების მოთხოვ-  
ნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკ-  
რულების საფუძველზე, შპს „ი-ს“ შეკვეთილი ჰარტე-  
რული ავიარეისები ეგვიპტის მიმართულებით, რომლებიც შპს „ჯ. ე-მა“ შეასრულა მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკით,  
თუმცა შპს „ი-ს“ ჩარტერული რეისების ლირებულება სრულად  
არ აუნაზღაურებია. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნუ-  
ლი ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილია შპს „ი-ის“ მიერ  
და ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება ავიაკომპა-  
ნიის მიმართ შეადგენს სწორედ 64 903,03 ლარს.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-  
რის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან მოსარჩელის მიერ არასწო-  
რად არის დათვლილი დავალიანება, სარჩელიდან არ ირკვევა  
მოთხოვნილი თანხის წარმოშობის საფუძველი, ასევე არ არის  
მითითებული კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომელიც სასარ-  
ჩელო მოთხოვნას დაადასტურებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2013 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ჯ. ე-  
ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ი-ს“ შპს „ჯ. ე-ის“ სასარ-  
გებლოდ დაეკისრა 64 903,03 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა მოპასუხებ მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკ-  
მაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატამ 2013 წლის 20 ივნისს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ი-ის“ შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილა, ხოლო აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, ასევე არ დააკმაყოფილა შპს „ი-ის“ სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის ზეპირი განხილვისას, 2013 წლის 20 ივნისს, გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ჯ. ე-ის“ წარმომადგენელი გ. დ-ი, არ გამოცხადდა აპელანტი, რომელსაც ეცნობა სხდომის დღისა და ადგილის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. შპს „ი-ის“ წარმომადგენელმა მ.ყ-მა 2013 წლის 20 ივნისს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადება, რადგან ვერ შეძლებდა მონაწილეობის მიღებას აღნიშნული სამოქალაქო დავის განხილვაში იმ საფუძვლით, რომ მონაწილეობას იღებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში იმავე დროს დანიშნულ სხვა პროცესზე.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და ჩათვალა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგანაც ამავე კოდექსის 215-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, მასში მითითებული საფუძველი შპს „ი-ის“ წარმომადგენლის (ადვოკატის) პროცესში მონაწილეობის – შეუძლებლობის თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო და არ დასტურდებოდა მტკიცებულებებით, რაც აპელანტის გამოუცხადებლად მიჩნევის წინაპირობას წარმოადგენდა.

პალატამ მიუთითა მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობაზე, რომლითაც იგი, აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, მოითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმასა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას, შესაბამისად, სასამართლომ იხელმძღვანელა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 27 ნოემბრის განჩინებით კი, შპს „ი-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 241-ე მუხლის თანახმად, მიუთითა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებზე, ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 20 ივნისს, 17:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე, ასევე გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით აპელანტი სათანადო წესით იყო გაფრთხილებული, კერძოდ, სასამართლო უწყება 2013 წლის 20 მაისს სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით ჩაბარდა შპს „ი-ის“ წარმომადგენელ მ. ყ-ს, რაზედაც შედგა სათანადო აქტი. საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულების საფუძველზე, მ. ყ-ი იცავდა შპს „ი-ის“ ინტერესებს ყველა ინსტანციის სასამართლოში და სარგებლობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით წარმომადგენლისათვის მინიჭებული ყველა ძრითადი უფლებით. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გზავნილის მ. ყ-ის ჩაბარება სასამართლომ შპს „ი-ის“ ჩაბარებად მიიჩნია. 2013 წლის 20 ივნისს, 17:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რომელსაც ეცნობა სხდომის დღისა და ადგილის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ამავე კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყილებაზე უარის თქმის შესახებ.

პალატამ მიუთითა საჩივრის ავტორის განმარტებაზე, რომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით და არ იქნა გაზიარებული მხარის ეს არგუმენტი. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო სამართალნარმობება ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეები თავადვე განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, რა მტკიცებულებებით უნდა დაადასტურონ მტკიცების საგანმი შემავალი მათვების სასურველი ფაქტები.

საქმეში წარმოდგენილი იყო აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ წარმომადგენელი, სხვა სასამართლო პროცესში მოწინალეობის გამო, ვერ ცხადდებოდა მოცემული საქმის განხილვაზე, თუმცა, სასამართლოს შეფასებით, შუამდგომლობა არ იყო დასაბუთებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით დადგენილი წესით.

აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისი სხდო-მაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – სხვა პროცესზე დასწრებით, თუმცა მას არ წარუდგენია აღნიშ-ნულის დამადასტურებელი მტკიცებულება. პალატის შეფასე-ბით კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო გარემოებაზე მარტო-დენ მითითება, არ ათავისუფლებს მხარეს ამ გარემოების მტკი-ცების ტვირთისაგან. მხარე ვალდებულია, რომ განცხადებაში მითითებული გარემოება დაადასტუროს შესაბამისი მტკიცებუ-ლებით, რაც აპელანტს არ განუხორციელებია, შესაბამისდ, შუ-ამდგომლობა ვერ გახდებოდა პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის საფუძველი მისი შესაბამისი მტკიცებულე-ბით გაუმყარებლობის გამო.

ამასთანავე, პალატამ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ და-უსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგაც საჩივ-რის ავტორს სასამართლოსათვის არ წარუდგენია საპატიო მი-ზეზის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები, რაც საფუძველი გახდებოდა პროცესზე გამოუცხადებლობის საპა-ტიოდ მიჩნევისა, ამდენად, არ არსებობდა სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 233-ე მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემაკავებელი წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილე-ბა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩი-ნება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ი-მა“, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა შემდეგი საფუძვლე-ბით:

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისს წერილო-ბით ეცნობა აპელანტის წარმომადგენლის გამოცხადების შე-უძლებლობის თაობაზე, ვინაიდან იგი საქალაქო სასამართლო-ში სხვა პროცესში იღებდა მონაწილეობას, რომელიც იმავე დროს იყო დანიშნული. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწი-ნა ეს გარემოება და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხო-ლო 2013 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ძალაში დატოვა იგი. სასამართლომ მსჯელობა დაამყარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილებზე და მი-იჩნია, რომ არ არსებობდა სხდომის გადადების თაობაზე წარ-დგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი. პა-ლატის მსჯელობა და 215-ე მუხლზე მითითება კი, არსებულ ვი-თარებას არ შეესაბამება, რადგანაც აპელანტის წარმომდგე-ნელს არც ახლო ნათესავის გარდაცვალების და არც ავადმყო-ფობის ფაქტზე არ მიუთითებია, მან გარკვევით აღნიშნა, რომ

სხვა სასამართლო სხდომაზე ყოფნის გამო ვერ მიიღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც მისთვის წინასწარ იყო ცნობილი ობიექტური გარემოების – მხარის საპატიო მიზეზით გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და არა 215-ე მუხლით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის განჩინებით შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნიღლისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებოთად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ი-ის“ ინტერესებს, საქმეში წარმოდგენილი მინდობილობის საფუძველზე, იცავდა ადვოკატი მ. ყ-ი.

სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, აპელანტის უფლებამოსილ წარმომადგენელს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, 2013 წლის 20 მაისს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა სასამართლო სხდომის დრო და ადგილი, ასევე განემარტა გამოუცხადებლობის შედეგები.

2013 წლის 20 ივნისს, მ. ყ-მა განცხადებით მიმართა თბილის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სასამართლო

სხდომის სხვა დროისათვის გადადება იმ მიზეზით, რომ 2013 წლის 20 ივნისს, იმავე საათზე, მას ასევე მონაწილეობა უნდა მიეღო პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე სხვა საქმის განხილვაში.

შპს „ი-ის“ წარმომადგენელს არც მოგვიანებით და არც საჩივრის განხილვის ეტაპზე, სასამართლოსთვის არ წარუდგენია შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლო 2013 წლის 20 ივნისს გამართულ სხდომაზე არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე და მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო შემდგომ, განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

საკავალი სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების წესები არეგულირებენ მხარეთა გამოიუცხადებლობის შედეგებს (მუხლი 387, პირველი და მე-2 ნაწილები). ამასთან, 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს დათქმას, რომლის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ამდენად, იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც სპეციალური ნორმით, ხოლო ის საკითხები, რაც ამ ნორმით არ არის მოწესრიგებული, უნდა მოწესრიგდეს ზოგადი ნორმებით და პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მარეგულირებელი ნორმებით.

საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასა-მართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ყველა ელემენტი: ა) აპელანტის გა-მოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამასთან, სააპელაციო სა-სამართლომ მიიჩნია, რომ სხდომის გადადების თაობაზე აპე-ლანტის წარმომადგენლის განცხადება არ აკმაყოფილებდა საპ-როცესო კოდექსის 215-ე და 216-ე მუხლებით დადგენილ მოთ-ხოვნებს, ასევე სახეზე არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 233-ე მუხლით გათვალისწინებული, დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები.

კასატორის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, ად-გილი ჰქონდა 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ისეთ ვითარებას (სხვა სასამართლოში მიმ-დინარე საქმეზე მონაწილეობის მიღება), რომელმაც ხელი შე-უძალა წარმომადგენელს დასწრებოდა 2013 წლის 20 ივნისს სა-აპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომას. კასატორი მი-იჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი და მის ნაცვლად უნდა გამოიყენებინა ამავე კოდექსის 233-ე მუხლი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 216-ე მუხლზე, რომლითაც დარეგულირებულია სასა-მართლო სხდომის გადადების საკითხი. ალნიშნული მუხლის პირ-ველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საქმის გან-ხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწი-ნებულ შემთხვევებში. რაც შეეხება მხარის შუამდგომლობის განხილვის მარეგულირებელ საფუძვლებს, ალნიშნული მოცე-მულია ამავე კოდექსის 215-ე მუხლში და ნორმის პირველი ნა-ნილი იმპერატიულად ადგენს შუამდგომლობის დასაბუთებუ-ლობის აუცილებლობას, ხოლო მე-3 ნაწილით კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათ-ვის საპატიო მიზეზის შემთხვევებს, რომელთაც განეკუთვნე-ბა: ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა გან-საკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისგან და-მოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პრო-ცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადე-ბის წარდგენას. რიგ შემთხვევაში (მაგ. ავადმყოფობა), კანონი პირდაპირ ადგენს დასაშვებ მტკიცებულებათა ჩამონათვალს.

საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს სააპელაციო სასა-მართლოს დასკვნას და მიიჩნევს, რომ სხდომის გადადების შე-

სახებ აპელანტის შუამდგომლობა მართებულად იქნა შეფასებული საპროცესო კოდექსის 215-ე და 216-ე მუხლებთან შესაბამისობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი თითოეულ მხარეს აკისრებს ვალდებულებას, სათანადო მტკიცებულებით დაასაბუთოს მოთხოვნა, თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრულია მხარის უფლება, თავადვე განსაზღვროს სადაცო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების დასაბუთებას იმის შესახებ, რომ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, თავის მხრივ, მხარეს საკასაციო საჩივარში არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ლ ა:**

1. შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2013 წლის 27 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსცნებელი გადაწყვეტილება

### განხილვა

№ას-1199-1144-2013

4 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სასესხო ვალდებულების დადგენა

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „...“ სარჩელი აღძრა სასამართლოში 6. მ-ის მიმართ მო-  
სარჩელება და შპს „პ +-ს“ შორის არსებული სასესხო დავალია-  
ნების, რომლის მოთხოვნის უფლებაც 6. მ-ეს შპს „პ +-ან“ და-  
დებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებიდან გამომდი-  
ნარე გააჩნდა, 14670 ლარით განსაზღვრის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321 მუხლის თა-  
ნახმად, მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის შეუ-  
ტანლობის გამო, 2013 წლის 11 აპრილს მიიღო დაუსწრებელი  
გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ შპს „...“ დარჩე-  
ნილი სასესხო ვალდებულება 6. მ-ის მიმართ შეადგენს 14 670  
აშშ დოლარს. ამავე სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის დამა-  
ტებითი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „...“ განცხადე-  
ბა და 6. მ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანას-  
კრელის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარ-  
ჯის – 968.22 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე  
საჩივარი წარადგინა მოპასუხებ მისი გაუქმებისა და საქმის წარ-  
მოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2013 წლის 20 ივნისის განჩინებით 6. მ-ის საჩივარი  
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარ-  
მოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება,  
დამატებითი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გა-  
დაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა 6. მ-ემ, რომლითაც მათი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ამავე სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის დამატებითი გადაწყვეტილება და საქმე წერილობითი შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადის განსაზღვრის სტადიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 9 ოქტომბერს სარჩელით მიმართა შპს „...“ წარმომადგენლმა მ. ფ-მა მოპასუხების: შპს „პ +-ის“ დირექტორ გ. ბ-სა და 6. მ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხე გ. ბ-ის ინფორმაციის გაცემის დავალდებულება იმის შესახებ, რომ მან ჯ. ა-ეს სესხად მისცა 87 000 აშშ დოლარი და მოსარჩელემ მას სულ გადაუხადა 98 873 აშშ დოლარი; ასევე 6. მ-ის მიმართ დარჩენილი სასესხო ვალდებულების 12 670 აშშ დოლარის ოდენობით დადგენა.

2012 წლის 12 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა შპს „...“ და მოითხოვა სასესხო ვალდებულების დადგენა 14 670 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საუბნო სამსახურს დაევალა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება ნ. მ-ის მისამართზე: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №23.

2013 წლის 6 ივნისს საქმის მასალები ჩაბარდა ნ. მ-ის ძმას, ლ. მ-ეს. სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ასლზე ლ. მ-ის მიერ გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, მას ჩაბარდა შემდეგი დოკუმენტები: განჩინება სამ ფურცლად და სარჩელი 17 ფურცლად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 74-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხე ნ. მ-ეს გაეგზავნა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №23-ში და ჩაბარდა ძმას, ლ. მ-ეს. ნ. მ-ის რეგისტრაციის მისამართი სწო-

რედ ქ.თბილისი, მ-ის ქ. №23 იყო. არ იქნა გაზიარებული აპე-ლანტის განმარტება, რომ მითითებული მისამართი არ იყო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რადგანაც დადგენილი იყო, რომ 6. მ-ის რეგისტრაციის მისამართს სწორედ ქ.თბილისი, მ-ის ქ. №23 წარმოადგენდა. სასამართლოს განმარტებით, ფიზიკური პირის რეგისტრაციის მისამართი და ძირითადი მისამართი, შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. კონკრეტულ შემთხვევაში, კორესპონდენცია გაიგზავნა რეგისტრაციის მისამართის მიხედვით და გზავნილი ჩაპბარდა მოპასუხის ძმას, რომელსაც განცხადება იმის შესახებ, რომ 6. მ-ე მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა, არ გაუკეთებია. მტკიცებულება იმის შესახებ, რომ 6. მ-ის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი იყო არა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №23, არამედ სხვა მისამართი, აპელანტს არ წარუდგენია, რაც გამორიცხავდა აპელანტის იმ არგუმენტის გაზიარების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მისამართი არასწორი იყო, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა.

სააპელაციო პალატამ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 232<sup>1</sup> მუხლით, 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და აღნიშნა, რომ 6. მ-ის ძმას ჩაბარდა განჩინება 3 ფურცლად და სარჩელი 17 ფურცლად, მხარისათვის გზავნილის ჩაბარება საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი წინაპირობებია, რომ მოპასუხეს ეცნობოს საპროცესო ვადა შესაგებლის წარსადგენად, გაფრთხილებული იყოს მის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შესახებ და შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყოს არასაპატიო მიზეზით, ასევე სარჩელში მითითებული გარემოებები უნდა ამართლებდეს მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, საქმის განხილვისათვის მომზადების მიზნით განუსაზღვროს მოპასუხეს საპროცესო ვადა სარჩელით მის მიმართ წარდგენილი პრეტენზიებისათვის პასუხის გასაცემად – წერილობითი შესაგებლის შესადგენად. მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ მოპასუხეს არ ჩაბარებია გზავნილი, სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის არ ყოფილა ცნობილი საპროცესო ვადა შესაგებლის წარსადგენად, ასევე არ ყოფილა გაფრთხილებული სარჩელთან დაკავშირებით შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც ადასტურებდა

იმას, რომ მხარეს კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ეს გარემოება კი, სასამართლოს განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილისა და 241-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „....“ (დირექტორი ჯ. ა-ე), მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე განჩინების უცვლელად დატოვება შემდეგი დასაბუთებით:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეს არ ჩაბარდა სასამართლო გზავნილი და დანართი, აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონიერებისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. ნ. მ-ეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდებულიყო. საყურადღებოა, რომ მოპასუხე თავს არიდებდა სასამართლო შეტყობინების ჩაბარებას, რის გამოც სასამართლო იძულებული გახდა, აღნიშნულის განხორციელება პოლიციისათვის დაევალებინა, ამ უკანასკნელმა შეტყობინება ჩააბარა მოპასუხეს მმას, რომელმაც ხელმოწერით დაადასტურა სასამართლო გზავნილის, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების ფაქტი, საქმეში წარმოდგენილი სასამართლო გზავნილის შესწავლით ირკვევა, რომ ის არის ასლი და მასზე ადრესატის ხელმოწერა შესრულებული არ არის ისფერი მელნით, აღნიშული გარემოება ადასტურებს იმას, რომ მოპასუხეს სწორედ გზავნილის დედანი ჩაბარდა, ხოლო საქმეში წარმოდგენილი ამ დოკუმენტის ასლი, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა. სააპელაციო საჩივარს ნ. მ-ემ სადაცომ მტკიცებულება არ დაურთო, ხოლო სასამართლო სხდომაზე არ მოხდა საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა. გარდა იმისა, რომ საქმეში სადაცო დოკუმენტი ასლის სახითაა წარმოდგენილი, მისი დედნის ადრესატისათვის ჩაბარება დაადასტურა ასევე პოლიციის შესაბამისმა განყოფილებამ. სააპელაციო სასამართლომ საქმე მიკერძოებულად განიხილა, იმგარად, რომ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია არ გაუზიარებია. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნ. მ-ემ მოთხოვნის დათმობის გზით კასატორისაგან თან-

ხის გადახდის მოთხოვნის უფლება მოიპოვა მას შემდეგ, რაც მოვალეს თანხის დიდი ნაწილი გადახდილი ჰქონდა, ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დასტურდება, რომ ნ. მ-ეს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დამტკაცებული მორიგების აღსრულებაზე. კასატორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ განსხვავებით საპელაციო საჩივრის მოთხოვნისაგან, მისი სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივრარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწნეული იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნიღილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შპსნავლა საქმის მასალები, შპს „...“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეამონმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივრარი საფუძვლიანია და უხდა დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების კანონიერების შემონმება.

ამ კუთხით სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „...“ წარმომადგენელმა მ. ფ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხების: შპს „პ + -ის“ დირექტორ გ. ბ-სა და ნ. მ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დაეკისროს ინფორმაციის გაცემა მოპასუხე გ. ბ-ეს მასზედ, რომ მან ჯ. ა-ეს სესხად მისცა 87 000 აშშ დოლარი და მოსარჩელემ მას სულ გადაუხადა 98 873 აშშ დოლარი; დადგინდეს დარჩენილი სასესხო ვალდებულება ნ. მ-ის მიმართ 12 670 აშშ დოლარის ოდენობით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 დეკემბერს დაზუსტებული სარჩელით მიმართა შპს „...“ და მოითხოვა სასესხო ვალდებულების დადგენა 14 670 აშშ დოლარის ოდენობით;

ბით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საუბნო სამსახურს დაევალა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება ნ. მ-ის მისამართზე: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №23;

მოპასუხე ნ. მ-ის რეგისტრაციის მისამართია ქ.თბილისი, მ-ის ქ. №23;

კონკრეტულ შემთხვევაში, კორესპონდენცია გაიგზავნა რეგისტრაციის მისამართის მიხედვით და 2013 წლის 6 ივნისს გზავნილი ჩაპარდა მოპასუხის ძმას, რომელსაც განცხადება იმის შესახებ, რომ ნ. მ-ე მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა, არ გაუკეთებია;

სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ასლზე ლ. მ-ის მიერ გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, მას ჩაბარდა შემდეგი დოკუმენტები: განჩინება 3 ფურცლად და სარჩელი 17 ფურცლად.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოალნიშნული გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, მათ წინამდებარე საქმეზე სავალდებულო ძალა გააჩნიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

შპს „....“ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას იმ საფუძვლით მოითხოვს, რომ სასამართლომ არასანორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ გზავნილს, რომელიც საქმის მასალების მოპასუხისათვის ჩაბარებას ადასტურებს და თვლის, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით დადგენილად მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, კერძოდ, მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ანუ სახეზე იყო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 241-ე მუხლის შემადგენლობა. პალატის ეს დასკვნა ემყარება შემდეგას:

მოპასუხის რეგისტრაციის მისამართზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სუბიექტს, ადრესატის ძმას ჩაბარდა განჩინება 3 ფურცლად და სარჩელი 17 ფურცლად რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილ გზავნილ

ზე მისი მიმღების ხელმოწერით, თუმცა მხარისათვის გზავნილის ჩაბარება საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიზნებისათვის კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა მოპასუხეს ინფორმირება შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადისა და მისი არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შედეგების შესახებ, ამასთანავე სარჩელში მითითებული გარემოებები უნდა ამართლებდეს მოთხოვნას. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საწინააღმდეგოდ, პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეს არ ჩაბარებია გზავნილი, შესაბამისად, მისთვის არ ყოფილა ცნობილი საპროცესო ვადა შესაგებლის წარსადგენად, ასევე არ ყოფილა გაფრთხილებული სარჩელთან დაკავშირებით შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო პალატა საცვებით იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების შესახებ, და აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის შეტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ არსებობს კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობები. საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე, შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობაა დადგენილი:

1. მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე;

2. მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა;

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ინვენტარიზაციის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის არასათანადო ინფორმირება სააპელაციო პალატამ კანონის (სსსკ 70-ე და 74-ე მუხლების) არასწორ განმარტებას დაუკავშირა, რის თაობაზეც სამართლიანად მიუთითა კასატორმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითავა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

განსახილეველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სასამართლო მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილი, სადაც განსაზღვრულია შესაგებლის წარდგენის 10-დღიანი ვადა და ამომწურავადა გახმარტებული არასაპატიო მიზეზით მისი წარუდგენლობის შედეგები. სწორედ ეს დოკუმენტი შეიცავს ადრესატის (უფლებამოსილი ოჯახის წევრის) ხელმოწერასა და მითითებას სარჩელისა და განჩინების ჩაბარების თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, სასამარლო ვალდებულია, მხარეს გადასცეს სასამართლო გზავნილის ასლი სხვა დოკუმენტებთან ერთად, თუმცა ის გარემოება, რომ უფლებამოსილმა პირმა სწორედ ამ გაფრთხილებაზე ხელმოწერით დაადასტურა სარჩელისა და განჩინების ჩაბარების ფაქტი, მას წარმოუშობდა დოკუმენტის გაც-

ნობის ვალდებულებას, შესაბამისად, არსებობს პრეზუმუცია იმისა, რომ მოპასუხე (ოჯახის ქმედუნარიანი წევრი), რომელიც ხელს აწერს დოკუმენტს, ვალდებულია გაეცნოს მის შინაარსს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გზავნილი არ შეიცავს მითითებას მისი (ამ გზავნილის) მხარისათვის გადაცემის თაობაზე, ვერ გახდება იმის დადასტურების საფუძველი, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 74-ე მუხლების ან ამავე კოდექსის 2011-ე მუხლის სანინააღმდეგოდ, მხარე არ იყო ინფორმირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, ამდენად, ეს საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა ვერ გახდება. ამასთანავე, სასამართლო შეტყობინების ჩაბარებაზე ხელმომწერი პირის სხვაგვარ ვალდებულებას ზემოაღნიშნული ნორმების სწორი განმარტება არ ითვალისწინებს.

მითითებული მსჯელობა გამორიცხავს ასევე სააპელაციო პალატის იმ დასკვნის გაზიარების შესაძლებლობას, რომ მხარეს არ შეეძლო დადგენილ ვადაში წარედგინა შესაგებელი სასამართლოში, ამასთანავე, პალატა ყურადღებას ამაცეილებს მოპასუხის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებებზე: მისი პასპორტის ასლსა და „GEORGIAN AIRWAYS-ის“ ელექტრონულ ამონანერზე, რომელთა შესწავლითაც დასტურდება, რომ ნ. მ-ე საქართველოში 2013 წლის 23 თებერვლიდან 2013 წლის 9 მარტამდე არ იმყოფებოდა, ეს გარემოება გამორიცხავს შესაგებლის საპატიო მიზეზით წარუდგენლობას, ვინაიდან მოპასუხეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფლება ჰქონდა, შესაგებელი სასამართლოში 2013 წლის 18 მარტის 24:00 საათამდე წარედგინა.

ამ გარემოებების ერთობლივად არსებობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლო 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სავსებით მართებულად მიიჩნია დადგენილად სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოები:

– 2007 წლის 17 სექტემბერს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება შპს „...“ და შპს „პ + -ს“ შორის, რომლის თანახმადაც „პ + -ს“ მოსარჩელისათვის უნდა გადაეცა 100 000 აშშ დოლარი 5 წლის ვადით 2012 წლის 17 სექტემბრამდე;

– მხარეებმა ხსენებული ხელშეკრულება ხელმოწერით დაადასტურეს იმის მიუხედავად, რომ გამსესხებელს მსესხებლისათვის შეპირებული თანხა არ ჰქონდა გადაცემული. ხელშეკრულების დადების შემდგომ, რამდენიმე თვის განმავლობაში, შპს „პ + -ს“ დირექტორმა გ. ბ-ემ მოსარჩელეს სესხად გადასცა 87 000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი 13 000 აშშ დოლარი აღარ

გადაუცია;

– მოსარჩელე ყოველთვიურად კეთილსინდისიერად იხდიდა თითქმის გაორმაგებული ოდენობის გადასახადს, სესხის სარგებელს 23%-ს, ნაცვლად 17%-ისა;

– 2010 წლის 4 ივნისს გ. ბ-მ იპოთეკის მოთხოვნის უფლება დაუთმო მოპასუხე 6. მ-ეს სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე. ახალ იპოჟეარს „პ.ჯ-ის“ 2010 წლის 17 ივნისამდე უნდა გადახადა 59 200 აშშ დოლარი, რაც არ გადაუხდია;

– მოსარჩელე შპს „პ +-ს“ სულ გადაუხადა 98 873 აშშ დოლარი, სადაც 24 543 აშშ დოლარი შესადგენს პროცენტს, ხოლო 74 329 აშშ დოლარი – ძირითად თანხას;

– მოსარჩელეს გადასახდელი დარჩა 14 670 აშშ დოლარი.

საკასაციო პალატა დადგენილად მიჩნეული გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, ასევე იზიარებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასკვნას, რომ სარჩელში მითითებული და სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე, მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას და საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაქმაყოფილების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძვლები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ დადგენილი გარემოების სამართლებრივი შეფასება წარმოადგენს, ამასთანავე არ არსებობს საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების წინაპირობები, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინების სრულად გაუქმებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და 2013 წლის 20 ივნისის (ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ) გან-

ჩინების უცვლელად დატოვებას მოითხოვს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, 2013 წლის 23 აპრილს საქალაქო სასამართლომ, შპს „...□ განცხადების საფუძველზე გამოიტანა დამატებითი გადაწყვეტილება და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯი. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით, ბუნებრივია, სააპელაციო სასამართლომ ასევე გააუქმა ზემოაღნიშნული დამატებითი გადაწყვეტილება, თუმცა, ვინაიდან კასატორს ამ დამატებითი გადაწყვეტილების თაობაზე არც ფაქტობრივი პრეტენზია და არც საკასაციო განცხადი არ წარმოუდგენია, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს აღნიშნულზე, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონებოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა, ხოლო, ამავე კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინება და უცვლელად დარჩეს ამავე საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის განჩინება.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ

მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასამარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი დადგენილია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საკასაციო სასამართლოს ნინამდებარე განჩინებით ძალაში დარჩა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, პალატა მიიჩნევს, რომ არც სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილების ნაწილში არსებობს მისი გაუქმებისა და სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის ხელახლა განაწილების ნინაპირობა, ხოლო, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა, მონინააღმდეგე მხარე ნ. მ-ეს კასატორის სასარგებლოდ ასევე უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1237,27 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეთ მის მიერ 2014 წლის 17 იანვრის №ა-124-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 6 ფურცლად და 2014 წლის 12 თებერვლის №ა-507-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 5 ფურცლად, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე უარის

თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუპრონდეს მის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინება და უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2013 წლის 20 ივნისის განჩინება.
3. 6. მ-ეს (პ/...) შპს „...“ (ს/...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1237,27 ლარის ანაზღაურება.
4. კასატორს დაუპრონდეს №ა-124-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულება 6 ფურცლად და №ა-507-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულება 5 ფურცლად.
5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაცევეფილების გაუქმების საფუძვლები

### განჩინება

№ას-1446-1364-2012

26 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათაძაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. როინიშვილი,  
პ. ალავიძე**

**დავის საგანი:** ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ქონების ყადაღისაგან გა-  
თავისუფლების მოთხოვნით სარჩელით მიმართეს დ. ბ-ემ და ჯ.  
ე-მა მოპასუხების – შემოსავლების სამსახურისა და ინდმე-  
ნარმე ი. ნ-ის მიმართ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის და ჯ.  
ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გა-  
თავისუფლდა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღ-  
მასრულებელ ი. ხ-ს 2011 წლის 16 დეკემბრის ქონებაზე ყადა-  
ღის დადების შესახებ აქტით აღწერილი და დაყადალებული შემ-  
დეგი მოძრავი ნივთები: 1. 15 ცალი ხის მაგიდა; 2. 60 ცალი სკა-  
მი; 3. 1 ცალი კონდინიციონერი; 4. მუსიკალური ინსტრუმენტი  
„იმახა“ – 1.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარ-  
ჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასა-  
ჩივრა შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა აღნიშ-  
ნულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-  
ტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინებით დ. ბ-ის და ჯ. ე-  
ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შემოსავლების სამსახურის  
სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია,  
რომ 2012 წლის 26 სექტემბერს 14.00 საათზე სააპელაციო სასა-  
მართლოში დანიშნული პროცესის თაობაზე კანონით დადგენი-  
ლი წესით ეცნობათ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს, მათ

შორის, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელს. კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ პპელანტის წარმომადგენელს უწყების შინაარსი განემარტა ტელეფონის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, აპელანტი სასამართლოს მთავარს ხელმისაწვდომად არ გამოცხადდა. ამასთან, მოწინააღმდეგ მხარის წარმომადგენელმა რ. ი-ემ არ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მან უარი განაცხადა საქმის განხილვის გადადებაზე და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საპელაციო საჩივრის განხულველად დატოვების თაობაზე, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკითხოს.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 78-ე მუხლებით, 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

დასახელებულ განჩინებაზე შემოსავლების სამსახურმა შეიტანა კერძო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა ამ განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, ტელეფონის მეშვეობით. მართალია, შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილია სატელეფონო აქტი აღნიშნულ სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის ტექნიკური საშუალებით დაბარების თაობაზე, მაგრამ იგი შედგენილ იქნა არასწორად. აქტში სასამართლო სხდომის დროდ დაფიქსირებულია 2012 წლის 26 სექტემბრის 14.00 საათი, ნაცვლად დროისა: 2012 წლის 16.00 საათი. სინამდვილეში, მოსამართლის თანაშემწე ხ. კ-ემ აპელანტი ორგანიზაციის წარმომადგენელ მ. გ-ეს სხდომის დაწყების დროდ მიუთითა სწორედ 16.00 საათი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა 2012 წლის 26 სექტემბრის 15.45 საათზე, რა დროსაც მოსამართლის თანაშემწე ხ. კ-ისაგან შეიტყო, რომ სხდომა დანიშნული იყო 14.00 საათზე, იგი ჩატარდა და მიღებულ იქნა განჩინება შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. კერძო საჩივრის ავტორმა მის მიერ მითითებული გარემოების დასადასტურებლად საჩივარს თან დაურთო სააპელაციო სასამარ-

თლოდან გამოთხოვილი შესაბამისი სატელეფონო საუბრის ჩანერი, რომელიც განთავსებულია CD დისკზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ერთერთი ასეთი გარემოებაა, სასამართლო სხდომაზე მხარის მოუწვევლობა კანონით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა და მოწინააღმდეგე მხარის შეუძლებელის მიერ შედგენილ აქტს მხარისათვის ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ, რომლის თანახმადაც, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი მ. გ-ე მიწვეულ იქნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2012

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე აპელანტის წარმომადგენელს ეცნობა კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო სასამართლო მოხელის (მოსამართლის თანაშემზნის) მიერ შედგენილ აქტს მხარისათვის ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ, რომლის თანახმადაც, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი მ. გ-ე მიწვეულ იქნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2012

წლის 26 სექტემბერს, 14.00 საათზე.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ზემომითითებული აქტის სისწორეს და აღნიშნავს, რომ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელ მ. გ-ეს მოსამართლის თანაშემნებ სატელეფონო შეტყობინებით აცნობა სხდომის დრო – 2012 წლის 26 სექტემბერი, 16.00 საათი, თუმცა სასამართლო მოხელის მიერ შედგენილ აქტში შეცდომით მიეთითა 14.00 საათი. ამ გარემოების დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა 2012 წლის 23 ოქტომბრის სატელეფონო საუბრის ტექნიკური ჩანაწერის ასლი, რომლითაც ირკვევა, რომ მოსამართლის თანაშემნებ აპელანტის წარმომადგენელს ტელეფონით ნამდვილად აცნობა მოცემულ საქმეზე სასამართლოს მთავარი სხდომის დრო, თუმცა, მან წარმომადგენელს განუმარტა, რომ სხდომა გაიმართებოდა 2012 წლის 26 სექტემბერს, 16.00 საათზე და არა 14.00 საათზე, როგორც ეს აქტშია დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ 14.00 საათზე დანიშნულ სხდომაზე აპელანტი არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ამ განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაცევეფილების გაუქმების საფუძვლები

### განჩინება

№ას-362-344-2013

10 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათაძაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკის-  
რი ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 4 ივლისის  
გადაწყვეტილებით:

1. სს „კ. ს. ბ-ის“ სარჩელი დაქმაყოფილდა;
2. დ. ხ-ს, დ. მ-სა და 6. გ-ს 2010 წლის 13 აგვისტოს საბანკო  
კრედიტის №6262802 ხელშეკრულებიდან და 2010 წლის 13 აგ-  
ვისტოს თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სს „კ.  
ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 7177.88 ლა-  
რის გადახდა, მათ შორის, სესხის ძირი თანხა – 6881.51 ლარი,  
პროცენტი – 353.27 ლარი და პირგასამტკებლო – 43.1 ლარი;
3. დ. ხ-ს სს „კ. ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ოვერდრაფ-  
ტიდან გამომდინარე დავალიანების – 2034.67 ლარის გადახდა,  
მათ შორის, ძირი თანხა – 1870 ლარი, პროცენტი – 67.77, ხოლო  
პირგასამტკებლო – 96.9 ლარი;
4. დ. ხ-ს, დ. მ-ს და 6. გ-ს 2010 წლის 13 აგვისტოს საბანკო  
კრედიტის №6262802 ხელშეკრულებიდან და 2010 წლის 13 აგ-  
ვისტოს თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სს „კ.  
ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ პირგასამ-  
ტებლო, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული  
დარჩენილი ძირითადი თანხის 0.05% ოდენობით, ყოველ ვადა-  
გადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 15 მარტიდან სესხის დაფარ-  
ვამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით ნაწი-  
ლობრივ გაასაჩივრა დ. ხ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2013 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინებით დ.

ხ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში იმსჯელა სხდომის გადადების შესახებ დ. ხ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე, რომელშიც პროცესზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზად მითითებული იყო ავადმყოფობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს არ წარუდგენია სხდომაზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა მისი ავადმყოფობის ფაქტს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისა და სასამართლო სხდომის გადადების საფუძველი, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლითანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ხ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესზე აპელანტის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით, რის თაობაზეც სასამართლოს ეცნობა კანონით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლოს ეცნობა ისიც, რომ ცნობა ავადმყოფობის შესახებ წარედგინებოდა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასამართლო ტოვებს საქმეს განუხილველად სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის პირობებში, მაგრამ საქმის განუხილველად დატოვება არ შეიძლება, თუ ეს გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით. კერძო საჩივრის ავტორმა მისი ავადმყოფობის ფაქტის დასადასტურებლად სასამართლოს წარმოუდგინა 2013 წლის 4 მარტის სამედიცინო ცნობა №45.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ხ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამ:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილ-ველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამარ-თლოს 2013 წლის 26 მაისის სხდომაზე აპელანტის გამოუცხა-დებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძერე-ლი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინა-აღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მო-პასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო-ტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილ-ველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატო-ვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გა-მოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანხმაა, სარჩელი განუხილ-ველად იქნეს დატოვებული.

ზემოაღნიშნულ ნორმათა მიხედვით, სააპელაციო სასამარ-თლოში საქმის ზეპირი განხილვისას აპელანტის გამოუცხადებ-ლობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსი-ლია განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივრი, თუ მო-წინააღმდეგე მხარე ამის წინააღმდეგი არ არის და, თუ აპელან-ტი კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილ-ვაში და არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივ-რებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ აპელანტი სხდომის დღეს იყო ავად (ჰერნიატიკული ჭვალი), ამიტომ ვერ შეძლო სასამართლოში გამოცხადება. ამასთან, სა-სამართლო სხდომის დაწყებამდე მან წარადგინა განცხადება, რომლითაც ავადმყოფობის გამო ითხოვა პროცესის სხვა დრო-ისათვის გადადება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გა-დასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაც-ვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილე-

ბის გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია აპელანტის განცხადება, რომლითაც იგი შუამდგომლობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე 2013 წლის 26 თებერვლის სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე მისი ავადმყოფობის გამო. განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაბამისი ცნობა სასამართლოს მოგვიანებით წარედგინებოდა. კერძო საჩივარს თან ერთვის სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც პაციენტი დ. ხ-ს 2013 წლის 25 თებერვალს დაუდგინდა თირკმლის ჭვალის დიაგნოზი, რის გამოც მას დაენიშნა წოლითი რეჟიმი. აღნიშნული ცნობის შინაარსი, მასში მითითებული სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ აპელანტს გააჩნდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო სხდომამდე აპელანტმა შეასრულა თავისი საპროცესო ვალდებულება, კერძოდ, სასამართლოს წერილობით აცნობა სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, შესაბამისად, მითითებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

- დ. ხ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

## განჩინება

№ას-535-509-2013

24 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქ-  
მის ბათილად ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

ნ. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. მ-ის, ბმა „ც-ას“, მ.  
ხ-ას, ა. ჭ-ის მ. ლ-სა და დ. ნ-ის მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამ-  
ხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი  
საფუძვლებით:

ქ.თბილისში, ხ-ის ქ. №4-ში ჩამოყალიბდა ბინათმესაკუთრე-  
თა ამხანაგობა „ც-ა“, რომელშიც განევრიანდა აღნიშნულ მისა-  
მართზე მდებარე ბინის მესაკუთრეები. მოსარჩელეს არ მიუ-  
ლია მონაწილეობა ამხანაგობის შექმნასა და შემდგომ საქმია-  
ნობაში, რადგან იგი ხ-ის ქ. №4-ში არსებული ბინის მესაკუთრეს  
არ წარმოადგენს.

ნ. ს-ის ცნობილი გახდა, რომ ამხანაგობის კრების ოქმის სა-  
ფუძველზე მოსარჩელის კუთვნილი 20 კვ.მ ფართი საკუთრე-  
ბის უფლებით გადაეცა მ. ხ-ას დამხმარე ფართის სახით.

ფაქტობრივად, ამხანაგობის კრება არ ჩატარებულა. ამხა-  
ნაგობის წევრთა მოწვევის გარეშე მიღებულ იქნა გადაწყვეტი-  
ლება ისეთ საკითხზე, რომლითაც შეილახა მოსარჩელის ინტე-  
რესი მრავალბინიან სახლში მდებარე მის მიერ დაკავებულ ფარ-  
თთან დაკავშირებით. ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, მო-  
სარჩელის სარგებლობაში არსებული 20 კვ.მ გადაეცა მ. ხ-ის.  
სადაც ფართი მოსარჩელეს გადაეცა ლენინის რაიონის სახალ-  
ხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1981  
წლის 4 დეკემბრის ორდერით.

მოპასუხე მ. ხ-ამ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მის სა-  
კუთრებაში არსებული ფართი შეადგენს 20.04 კვ.მ-ს, ხოლო მო-  
სარჩელეს ორდერით მიღებული აქვს 23 კვ.მ სულ სხვა ფართი.

6. ს-ი არასოდეს ყოფილა სადაცო ფართის მესაკუთრე და, ამ-დენად, არის არასათანადო მოსარჩევე.

მოპასუხევებმა დ. მ-მა, ა. ჭ-ემ, გ. ლ-ემ და დ. ნ-მა სარჩელი ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით 6. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ც-ის“ 2010 წლის 8 ნოემბრის №1 კრების ოქმი ბათილად იქნა ცნობილი, რაც მ. ხ-ამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, 6. ს-ის მიერ შესაგებლის ნარუდგენლობის გამო, მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და 6. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 6. ს-მა სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი პალატის მიერ მიცემულ ვადაში არ წარადგინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარში მითითებულ შემდეგ გარემოებებზე:

საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელე 6. ს-ი წარმოადგენს ბმა „ც-ას“ წევრს, რადგან, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ის წარმოადგენს ქ.თბილისში, ხ-ის ქ. №4-ში მდებარე ბინის მესაკუთრეს, მაგრამ არა ბმა „ც-ას“ ამხანაგობის წევრს.

საჯარო რეესტრში მ. ხ-ას სახელზე აღრიცხულ სადაცო 20 კვ-მ-ზე 6. ს-მა მფლობელობა მოიპოვა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით იქ ადრე მცხოვრები დედა-შვილის, გ. ც-სა და ქ. ი-ის გარდაცვალების შემდეგ, როგორც უპატრონოდ დარჩენილი, მაგრამ 6. ს-მა დაკარგა აღნიშნულ ნივთზე ჯერ პირდაპირი მფლობელობის სტატუსი 1998 წლის 5 ოქტომბრიდან, როდესაც მან აღნიშნული ფართი მიაგირავა მ. ხ-ას და მის მეუღლეს. აღნიშნულის შემდეგ აპელანტი გახდა ამ ფართის პირდაპირი მფლობელი, კეთილსინდისიერად ფლობს და განკარგავს დღემდე, ვინაიდან 6. ს-მა არ დაუბრუნა მისთვის მიცემული გირაოს თანხა – 1000 აშშ დოლარი, რისი ყოველთვიური 3% პირგასამტებლო 2012 წლის 6 მაისამდე შეადგენს 89383.04 აშშ დოლარს.

საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ბ.შ. ძე ე-ს გადაეცა ქ. თბილისის ლენინის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1981 წლის 23 სექტემბრის №846 გადაწყვეტილებით 23.00 კვ.მ ფართის გამოთავისუფლებული ორი ოთახი. 23 კვ.მ (2 ოთახი: №7-2.50 კვ.მ და №63 – 20.92 კვ.მ) წარმოადგენდა 6. ს-ის საკუთრებას, მაგრამ ბმა „ც-ას“ 2010 წლის 8 ნოემბრის №1 კრების ოქმით საჯარო რეესტრში მ. ხ-ას სახელზე აღირიცხა 20 კვ.მ (3 ოთახი: №56 – 56 – 2/7 კვ.მ, №78 – 7.54 კვ.მ და №77 – 9.49 კვ.მ). მ. ხ-ას მიკუთვნებული ფართი წარმოადგენს სულ სხვა ფართს, რომელიც არც კი ესაზღვრება 6. ს-ის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას.

სააპელაციო პალატამ დამტკიცებულად ჩათვალა ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ 6. ს-ის სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის მითითებით, საჩივრის ავტორშა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით სასამართლო გზავნილი არ ჩაბარებია, რის გამოც მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარდგენა ვერ შეძლო.

საქმის მასალებით სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. მოწინააღმდეგე მხარე 6. ს-ს გაეგზავნა ზემოაღნიშნული განჩინების, მ. ხ-ას სააპელაციო საჩივრისა და დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის ასლები, განესაზღვრა 10-დღიანი საპროცესო ვადა და დაევალა სააპელაციო საჩივარზე სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა.

პალატამ ასევე დაადგინა, რომ მ. ხ-ას სააპელაციო საჩივრის ასლი და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ 2012 წლის 4 მაისის განჩინების ასლი 6. ს-ს გაეგზავნა 2012 წლის 17 მაისს და მას 2012 წლის 19 მაისს სარჩელში მითითებულ მისამართზე პირადად ჩაბარდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შეტყობინების დასტურზე გზავნილის მიმღე-

ბი პირის სახელი და გვარი მითითებულია, როგორც გარკვევით, ისე ადრესატის შტრიხული ხელმოწერის სახით. გარკვევითაა მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი და ადრესატის პირადი ნომერი, რომელიც ემთხვევა საქმეში წარმოდგენილ პირადობის მოწმობის ასლში მითითებულ 6. ს-ის პირად ნომერს. ამდენად, დადგენილია, რომ 6. ს-მა სასამართლო გზავნილი კანონით დადგენილი წესით ჩაიძარა, თუმცა შესაგებლის წარდგენა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ვერ შეძლო.

სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მსჯელობა, რომ, ჯანმრთელობის გამო, მას შეზღუდული აქვს ნათევამის დამოუკიდებლად გაანალიზებისა და შინაარსის გაგების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარს ერთვის ჯანმრთელობის ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ 6. ს-ი პენიონერია, მისი დაიგნოზია ცენტრალური კატარაქტა, ორმხრივი სმენაჩლუნგობა, რაც შეეხება პაციენტის ქმედულნარობას, ასეთი სახის ინფორმაციას საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობა არ შეიცავს.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის ეტაპზეც იმავე მისამართზე სასამართლო უწყება კვლავ პირადად ჩაიბარა 6. ს-მა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია 2012 წლის 18 ივლისის 6. ს-ის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლითაც დგინდება, რომ 6. ს-მა პირადად გამოხატა ნება რწმუნებულების გაფორმებაზე და სანოტარო აქტზე პირადად მოაწერა ხელი.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნია, რომ 6. ს-ის მიერ სააპელაციო პასუხის წარდგენის ვადის ათველა დაიწყო 2012 წლის 20 მაისიდან და ამიონურა 2012 წლის 29 მაისს. ამ ვადაში შესაგებელი 6. ს-ს არ წარმოუდგენია და არც სასამართლოსათვის მისი წარუდგენლობის რაიმე საპატიო მიზეზის შესახებ არ უცნობებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 31 მაისს შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით მართებულად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების თაობაზე 6. ს-მა

გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო საჩივარი თანდარული საბუთებით გაიგზავნა №4-ში, სადაც ცხოვრობს კასატორის ფსიქიურად დაავადებული რძალი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნ. ს-ს აქვს სმენისა და მხედველობის პრობლემები. ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნულის დასადასტურებლად კასატორი მტკიცებულების წარმოდგენას ვერ შეძლებდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამონება გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების ოურიდიული დასაბუთება და მიაჩინა, რომ ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ნ. ს-ის მიმართ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და ნ. ს-ის სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

სსენებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა გახდა მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარზე ნ. ს-ის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წანამდლვრები როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებში, რა დროსაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები არეგულირებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საქმის განხილვაზე აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორ-

მები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოპასართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოპასართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაიშვება თუ: ა) მოპასუხე (მონინააღმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით იქნა ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით ჩაბარდა სარჩელი (სააპელაციო საჩივარი) და თანდართული მასალები და ამომწურავად განემარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგები; ბ) მოპასუხებ (მონინააღმდეგე მხარემ) ბრალეულად დაარღვია შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა; გ) სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო (სააპელაციო) მოთხოვნას. აღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემონმებას, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და საქმის

არსებითად განხილვის აუცილებლობას, იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგი მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკენისა, რომ მ. ხ-ას სააპელაციო საჩივრის ასლი და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ 2012 წლის 4 მაისის სასამართლო განჩინების ასლი ნ. ს-ს კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა 2012 წლის 17 მაისს და 2012 წლის 19 მაისს სარჩელში მითითებულ მისამართზე პირადად ჩაბარდა. მხარეს შესაგებლის წარდგენა შეეძლო 10 დღის განმავლობაში, თუმცა სააპელაციო შესაგებლით სასამართლოს მიმართა 2012 წლის 30 მაისს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ეს გარემოება, თავის მხრივ, განაპირობებს სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევის წინაპირობას, თუმცა ისმის კითხვა იმის შესახებ, რამდენად ამართლებდა სააპელაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიებისააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

აპელანტი დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიუთითებდა შემდეგ ფაქტობრივ უსწორობებზე:

ნ. ს-ი ბმა „ც-ას“ წევრს არ წარმოადგენს, ის არის ქ.თბილისი, ხ-ის ქ. №4-ში მდებარე ბინის მესაკუთრე.

მ. ხ-ას საკუთრებად რიცხულ სადაცო 20 კვ. მეტრ ფართზე ნ. ს-მა მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვების გზით მოიპოვა ბინაში ადრე მცხოვრები დედა-შვილის გარდაცვალებისა და ქონების უპატრონოდ დარჩენის გამო, თუმცა 1998 წლის 5 ოქტომბრიდან ნ. ს-მა ნივთზე პირდაპირი მფლობელის სტატუსი დაკარგა ქონების აპელანტისა და მისი გარდაცვლილი მეუღლისათვის გირავნობის უფლებით გადაცემის გამო.

მ. ხ-ა ნივთზე მფლობელობას ახორციელებს კანონიერად, რადგანაც მოსარჩელეს მისთვის არც თანხა და არც პროცენტი არ დაუბრუნებია, რომელიც 2012 წლის 6 მაისის მდგომარეობით 89384,04 აშშ დოლარს შეადგენს, ამდენად, ნ. ს-ს მისი, როგორც მესაკუთრისა და მფლობელის უფლებები ნებაყოფლობით გასხვისებული ჰქონდა აპელანტზე. ამ გარემოების საწინააღმდეგოდ, მ. ხ-ა ასევე მიუთითებს საქალაქო სასამართლოს მიერ იმ ფაქტის არასწორად დადგენაზე, რომ ბ. შ. ძე ე-ის ხუთსულიანი ოჯახისათვის 23 კვ.მ ფართზე გაცემული ორდერის

საფუძველზე, სადაც ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ფიქსირდება მოსარჩელე, 20 კვ.მ ბინაზე ამხანაგობის გადაწყვეტილებით აპელანტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციით შეიღავა ნ. ს-ის უფლება, რადგანაც სასამართლოს მიერ მითითებული 23 კვ.მ ფართი, მართალია, წარმოადგენს ნ. ს-ის საკუთრებას, თუმცა ბრძან „ც-ას“ 2010 წლის 8 ნოემბრის №1 კრების ოქმის საფუძველზე მ. ხ-ას საკუთრებად რეგისტრირებული 20 კვ.მ ფართი წარმოადგენს არა მოსარჩელის კუთვნილ, არამედ სულ სხვა ფართს, რომელიც არც კი ესაზღვრება ნ. ს-ის ბინას.

მოსარჩელე ბინის გასხვისების შემდეგ ელექტროენერგიის გადასახადს აღარ იხდიდა, რის შედეგადაც დაგროვდა დავალი-ანება და აპელანტს შეუწყდა ელექტროენერგიით მომარაგება, მ.ხ-ა ელექტროენერგიის გადასახადს იხდის ნ. ს-ის სახელზე.

ნ. ს-ის მიერ ბინის დაბრუნების მოთხოვნის შემდეგ, მ. ხ-ამ ითხოვა მისგან გირაოს თანხის პროცენტებიანად დაბრუნება, რაზეც სასამართლომ არ იმსჯელა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების გზით, საკასაციო პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ისინი აპელანტის მოთხოვნას არ ამართლებენ, რადგანაც მხარე, ერთის მხრივ, მიუთითებს, რომ მოსარჩელე არ არის ამხანაგობის წევრი, ხოლო, მეორეს მხრივ, ადასტურებს, რომ ქ.თბილისში, ხ-ის ქ.№4-ში მას გააჩნია საკუთრება. ამასთან, ერთის მხრივ აპელანტი ადასტურებს ამხანაგობის გადაწყვეტილებით მისთვის გადაცემული ფართის იდენტურობას მოსარჩელისათვის ბინის ორდერით გადაცემულ ფართთან, ხოლო მეორეს მხრივ აპელანტი მიუთითებს, რომ მოსარჩელის კუთვნილი ფართი არ წარმოადგენს სადაცო კრების ოქმით გასხვისებულ ობიექტს. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში გაურკვეველია ასევე მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა, რადგან მ. ხ-ა, როგორც საკუთარ თავს, ისე მოსარჩელს მიიჩნევს ქძრავი ქონების მესაკუთრედ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში ამტკიცებს, რომ ნ. ს-ს ნივთზე მფლობელობის უფლება გააჩნია, ხოლო იმავდროულად უთითებს მისი საკუთრების უფლების წარმოშობაზე გირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრში მოყვანილი ფაქტების ურთიერთგამომრიცხაბისათვალი არ გამოუკლევია, სასამართლომ იმსჯელა და დადგენილად მიიჩნია მხოლოდ რამდენიმე გარემოება და ჩათვალა, რომ არსებობდა

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკმარისი საფუძველი, რაც არ გამომდინარეობს სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას, სხვა მოპასუხეებთან ერთად, მ. ხ-ამ აღიარა ის ფაქტი, რომ ამ-სანაგობის კრება, რომლის გადაწყვეტილებითაც მან სადავო ფართზე საკუთრების უფლება დაირეგისტრირა, არ ჩატარებულა. აღნიშნული გარემოება, წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებას, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ საკმარისად მიიჩნია და ერთ-ერთ საფუძვლად დაუდო მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს აღიარების გამაქარნებულ რამე თუნდაც ფორმალურ მითითებას (სსსკ 133-ე მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით, სააპელაციო პალატამ მხარეთა დასწრებით უნდა განხილოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-

ლაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გა-  
დაწყვეტილება, 2013 წლის 28 მარტის განჩინება და საქმე და-  
უბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## გადაცევეფილების განვითარება

### განვითარება

№ას-1203-1148-2013

5 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სასამართლო განჩინების განმარტება

#### აღნერილობითი ნაწილი:

თ. ნ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარ-  
ჩელის აღდვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-  
ყენება, კერძოდ, აეკრძალოს მოპასუხე შპს „მ. ტ-ს“ ხელშეკ-  
რულებებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა  
ან უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედოს მოპასუხე კო-  
მანდიტური საზოგადოება „ს. ე.ს ე-ის“ სახელზე რიცხულ 52,5%  
წილს შპს „მ-ის“ კაპიტალში, ყადაღა დაედოს მოპასუხე შპს „მ.  
ტ-ის“ მოძრავ ქონებას და საბანკო ანგარიშებს, ყადაღა დაე-  
დოს დავით კეზერაშვილის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებებს;  
აეკრძალოს მოპასუხე შპს „მ. ტ-ს“ 2003 წლის 19 ივლისის საი-  
ჯარო კონტრაქტის №2 დამატებით და 2011 წლის 18 მარტის  
ხელშეკრულებებით მისი უფლებების მესამე პირებისთვის გა-  
დაცემა ან უფლებრივად დატვირთვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თ. ნ-ე შპს „მ-ში“ ფლობდა  
52,5% წილს. საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენდა ფო-  
თის საზღვაო ნავსადგურში სხვადასხვა სახის ტვირთების დატ-  
ვირთვა-გადატვირთვის სამუშაოების წარმოება და ნაგმისად-  
გომების ოპერირება.

2003 წლის 19 ივლისს სს „კ. ფ. ს.ნ-სა“ და შპს „მ.“ შორის დაიდო საიჯარო კონტრაქტი, რის საფუძველზეც შპს „მ.ს“ იჯარით გადაეცა ფოთის საზღვაო ნავსადგურის №5 ტერმინალი. 2005 წლის 8 თებერვალს მხარეთა შორის შედგა დამატებითი შეთანხმება, რომლითაც ცვლილება შევიდა 2003 წლის 19 ივლისის კონტრაქტში.

2010 წლის ზაფხულში თ. ნ-ის მიმართ დაიწყო მიზანმიმართული დევნა და დაშინება დ. კ-ის მხრიდან. თ. ნ-ე იძულებული გახდა, დაეთმო 52,5% წილი საზოგადოების კაპიტალში კომანდიტური საზოგადოება „ს. ე. ე-ის“, რომელიც წარმოადგენს მომავალ მოპასუხე დ. კ-ან დაკავშირებულ კომპანიას.

განმცხადებელმა განმარტა, რომ აპირებს სარჩელით მიმართოს სასამართლოს შპს „მ-ის“, შპს „მ. ტ-ის“, კომანდიტური საზოგადოება „ს. ე. ე-ის“, სს „კ. ფ. ს. ნ-სა“ და დ. კ-ის მიმართ წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, წილის მესაკუთრედ ალიარების, იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზინის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით თ. ნ-ეს უარი ეთქვა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რაზეც განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 22 მარტის განჩინებით თ. ნ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც თ. ნ-ეს უარი ეთქვა კომანდიტური საზოგადოება „ს. ე. ე-ის“ სახელზე რიცხულ 52,5 % წილზე შპს „მ-ში“ ყადაღის დადებაზე, თ. ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო კომანდიტური საზოგადოება „ს. ე. ე-ის“ (OC360690) კუთვნილ 52,5 % წილს შპს „მ-ში“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...), ხოლო საქმე განსახილველად გაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა, 2013 წლის 11 მარტის განჩინება გაუქმდა დ. კ-ის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის ნაწილში, შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის ნაწილში, შპს „მ. ტ-ის“ იჯარის ხელშეკრულებებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემასა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი განჩინების მიღებით ამ ნაწილში თ. ნ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მდებარე: ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში,

სხვენი 203.10 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სართული 8. ფართი 201.16 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელი დ-ა (ბ-ის ტერიტორია) (ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფალტობი: 1200.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ... (საკადასტრო კოდი: №...)). ასევე, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში შემდეგ საბანკო დაწესებულებებში: სს ბანკი „რესპუბლიკა“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ტაოპრივატბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „პირველი ბრიტანული ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს კომერციული ბანკი „ბაზისბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „ბანკი ქართუ“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბითიერი ბანკი“, სს „ინვესტ ბანკი“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“, თ.რ. სს „ზირაათ ბანკი“, სს „კავკასიის განვითარების ბანკი“, სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“, სს „პროგრეს ბანკი“, სს „ეორ სტანდარტ ბანკი“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „ბანკი კონსტანტია“, შპს „მ. ტ-ს“ აეკრძალა 2011 წლის 17 მარტს დადებული, 2003 წლის 19 ივლისის სს „კ. ფ. ს. ნ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის ფოთის საზღვაო ნავსადგურის №5 ტერმინალის საიჯარო კონტრაქტის დამატება №2-ით და 2011 წლის 18 მარტს შპს „მ-სა“ და შპს „მ. ტ-ს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებით მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა.

შპს „მ. ტ-ის“ წარმომადგენელმა ი. ბ-მა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თ. ნ-ის მომავალი სარჩელის დავის საგნის ლირებულება სავარაუდოდ შეადგენს 2 500 000 ლარს. შესაბამისად, როდესაც სასამართლო ვადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ ყადაღა უნდა დაედოს შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს, ხოლო შემდეგ სასამართლო ადგენს, რომ ყადაღა უნდა დაედოს შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში, არ არის დაკონკრეტებული და ბუნდოვანია ის გარემოება, დაედო თუ არა ყადაღა სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებასა და საბანკო ანგარიშებს, აგრეთვე მეორე მოპასუხის, დავით კეზერაშვილის მოძრავ ქონებას ერთობლივად 2 500 000 ლარის ფარგლებში, ვინაიდან სწორედ აღნიშნული თანხა მიიჩნია სასამართლომ მომავალი სარჩელის დავის საგნად.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი საჭიროებს შემდეგ განმარტებას: წარმოადგენს თუ არა განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული თანხა – 2 300 000 ლარი შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონების ღირებულების, მის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხისა და მეორე მოპასუხის, დ. კ-ის დაყადალებული უძრავი ქონების ჯამს ერთობლიობაში; შეიძლება თუ არა აღმატებოდეს განჩინებით მოპასუხე შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონებისა და მის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი თანხის, აგრეთვე, მეორე მოპასუხის, დ. კ-ის დაყადალებული უძრავი ქონების ღირებულების ჯამი ერთობლიობაში 2 500 000 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინებით შუამდგომლობა განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს. ასევე, ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2300 000 ლარის ფარგლებში.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განმარტა, რომ გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების შინაარსი ბუნდოვანია და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. მოცემულ საქმეზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებულია ნათლად და იგი არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, რის გამოც არ საჭიროებს განმარტებას. შესაბამისად, განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „მ. ტ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაპრუნება იმავე სასამართლოსათვის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განსამარტად შემდეგი საფუძლებით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში რამდენჯერმეა ხაზგასმული, რომ ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ოდენობით. შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხასთან ერთად, ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაყადალებას დაექვემ-

დებარა შპს „მ. ტ-ის“ 1408110,92 ლარად შეფასებული მოძრავი ქონება, რომ აღარაფერი ვთქვათ მეორე მოპასუხე დ. კ-ის საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებაზე, რომელსაც იმავე განჩინებით დაედო ყადაღა, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო სარჩელის დავის საგნის ლირებულებაზე ორჯერ უფრო მეტი ლირებულების უძრავ-მოძრავ ქონებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით შპს „მ. ტ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით შპს „მ. ტ-ის“ ნარმომადგენლის, ი. ბ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები განიმარტა იმგვარად, რომ თ. ნ-ის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ერთობლიობაში 2 300 000 ლარის უზრუნველსაყოფად:

1. ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე: ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სხვენი 203.10 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სართული 8. ფართი 201.16 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელი და-ა (ბ-ის ტერიტორია) (ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1200.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: ... (საკადასტრო კოდი: №...)).

2. ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს;

3. ყადაღა დაედო შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს შემდეგ საბანკო დაწესებულებებში: სს ბანკი „რესპუბლიკა“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ტაოპრივატბანკი“, სს „საქართველოს ბანკი, სს „პირველი ბრიტანული ბანკი“, სს „ლიბერტი ბანკი“, სს კომერციული ბანკი „ბაზისბანკი“, სს „გითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „ბანკი ქართუ“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბითიეი ბანკი“, სს „ინვესტ ბანკი“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“, თ.რ. სს „ზირაათ ბანკი“, სს „კავკასიის განვითარების ბანკი“, სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“, სს „პროგრეს ბანკი“, სს „კორსტანდარტ ბანკი“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „ბანკი კონსტანტა“;

4. ერთობლიობაში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 2 300 000 ლარს.

გასაჩივრებული განჩინების თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის ანგარიშებზე ყადალის დადებით, ხელი არ უნდა შეეშალოს მოვალის, როგორც მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ანგარიშზე ყადალის დადება დაუშვებელია. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია ან არასაკემარისაა, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადალის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, სწორედ აღნიშნულ პრინციპის გათვალისწინებით განსაზღვრავს გამოსაყენებელი უზრუნველყოფის ღონისძიების თანმიმდევრობასა და ოდენობას, კერძოდ, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის სავარაუდო ღირებულებად 2 500 000 ლარი მიიჩნია, გადაწყვიტა, რომ აღნიშნული მოთხოვნის ადეკვატური უზრუნველყოფის ღონისძიება იქნებოდა დ. კის უძრავი ქონების დაყადალება, ასევე შპს „მ. ტ-ის“ მოძრავი ქონების დაყადალება და საპანკო ანგარიშებზე ყადალის დადება, ერთობლიობაში, 2 300 000 ლარის ოდენობით. პალატამ მიიჩნია, რომ ზარალის სავარაუდო ოდენობის გამოთვლისას უზრუნველყოფის ფარგლები არ უნდა გასცდენოდა 2 300 000 ლარს, ვინაიდან ზიანი გამოთვლილ იქნა, სავარაუდოდ, 2 500 000 ლარის ფარგლებში, შესაბამისად, სასამართლოს მიხედულობით, ზიანის ოდენობის გამოთვლის „სავარაუდობის“ გათვალისწინებით, დაუშვებელია ზიანის ოდენობის ცდომილებით მოპასუხეებისათვის ზიანის მიყენება. შესაბამისად, ზიანის სავარაუდო ოდენობის გამოთვლისას უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო ნაკლები ოდენობის ფარგლებში, რათა იმ რისკით, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების მომ

თხოვნმა პირმა გასწია ზიანის ოდენობის მიუთითებლობით, დაუშვებლად არ შეილახოს მოპასუხეთა უფლებები. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ზიანის სავარაუდო ოდენობა 2 500 000 ლარი იყო, ამიტომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა ყოფილიყო 2 300 000 ლარზე მეტი, აქვე გასათვალისწინებელია ის თანმიმდევრობა, რომელიც სასამართლომ მითითებული განჩინებით დაადგინა, კერძოდ, ყადაღა დაედოს: 1. დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, მდებარე: ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სხვენი 203.10 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №...); ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №7-ში, სართული 8. ფართი 201.16 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №....); ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელი და (ბ-ის ტერიტორია) (ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1200.00 კვ.მ. ნაკვეთის ნინა ნომერი: ... (საკადასტრო კოდი: №...)). 2. შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებებს. 3. შპს „მ. ტ-ის“ საპანკო ანგარიშებს შემდეგ საპანკო დაწესებულებებში: სს ბანკი „რესპუბლიკა“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ტაოპრიგაზანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „პირველი ბრიტანული ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს კომერციული ბანკი „ბაზისბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „ბანკი ქართუ“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბითიეი ბანკი“, სს „ინვესტ ბანკი“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“, თ.რ. სს „ზირაათ ბანკი“, სს „კავკასიის განვითარების ბანკი“, სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო“, სს „პროგრეს ბანკი“, სს „კორსტანდარტ ბანკი“, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, სს „ბანკი კონსტანტა“, ერთობლიობაში, 2 300 000 ლარის ოდენობით. ბალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული თანმიმდევრობა ემსახურება შემდეგ მიზანს: გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს 2 300 000 ლარი, ამასთან, აღნიშნული მიზნით ჯერ ყადაღა უნდა დაედოს დ. კ-ს ქონებასა და შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებას, ხოლო 2 300 000 ლარის უზრუნველსაყოფად ზემოთ მითითებული უძრავ-მოძრავი ქონების არასაკმარისობის შემთხვევაში, დარჩენილ თანხის ფარგლებში – საპანკო ანგარიშებს, ამასთან, ერთობლიობაში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 2 300 000 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. ნ-ემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით სააპელაციო სასამართლო გასცდა გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს. გადაწყვეტილების განმარტების საგალდებულო პირობაა სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ხელს უშლის ამ გადაწყვეტილების აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო საუბრობს

პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებებზე და საერთოდ არ უთითებს, რაში გამოიხატება სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება. გადაწყვეტილების განმარტების ასევე სავალდებულო პირობაა, რომ სარეზოლუციო ნაწილი არ უნდა შეიცვალოს. სასამართლომ ეს მოთხოვნაც დაარღვია და 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3-მე-4 პუნქტები იმგავარდ განმარტა, რომ მათი შინაარსი შეცვალა, კერძოდ უზრუნველყოფის განჩინებით ყადაღა დაედო 1. დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, 2. შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებას, 3. შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს 2300 000 ლარის ფარგლებში. განმარტების შედეგად კი ყადაღა დაედო 1. დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, 2. შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებას, 3. შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს, ამასთან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ჯამი განისაზღვრა არა უმეტეს 2 300 000 ლარისა.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით დაშვებულია გადაწყვეტილების განმარტება, თუ ის ჯერ არ აღსრულებულა. გასაბითივრებული განჩინებით კი, უკვე აღსრულებული გადაწყვეტილება განიმარტა, რომლის საფუძველზე გარკვეული პროცესუალური შედეგი იყო დამდგარი, კერძოდ, ყადაღა დაედო დ. კ-ის უძრავ ქონებას, შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებასა და მის საბანკო ანგარიშებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაბითივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონბების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ნ-ის კერძო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს გასცდა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მენარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის ანგარიშებზე ყადაღის დადგებით, ხელი არ უნდა შეეშალოს მოვალის, როგორც მენარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამარ-

თლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. თუმცა, აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ანგარიშზე ყადალის დადება დაუშვებელია. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია ან არა-საკმარისია, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მენარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადალის სახით, უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებებით სასამართლომ უნდა იხელ-მძღვანელოს სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების დროს. ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინება გამოტანილია, თუნდაც უზრუნველყოფის კონკრეტული საშუალება სასარჩელო მოთხოვნას-თან შედარებით შეუსაბამო იყოს, გადაწყვეტილების განმარტების გზით ამ ვითარების გამოსწორება შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

შესაბამისად, მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი – მისი აღსრულების უზრუნველყოფას; ამასთან ერთად, გადაწყვეტილების განმარტების სავალდებულო პირობაა, რომ განსამარტი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს აღსრულებული, ვინაიდან ასეთ დროს აღარ არსებობს განმარტების მიზანი – აღსრულების ხელშეწყობა და განმარტების შედეგად არ უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილება უკვე ჩამოყალი-

ბებული სარეზოლუციო ნაწილის ფარგლებში უნდა განიმარტოს, იმ შედეგის შეუცვლელად, რაც ამ გადაწყვეტილებით დგება. დაუშვებელია განმარტების შედეგად იმგვარი დებულების ასახვა, რაც იმთავითვე არ ენერა და გამომდინარეობდა განსამარტი გადაწყვეტილებიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ გადაწყვეტილების განმარტება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ აღსრულებულა, ამასთან ერთად, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კერძო საჩივრის ავტორის წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 2013 წლის 22 აპრილის განჩინება ნაწილობრივ აღსრულებული იყო მისი განმარტების მომენტისათვის. იმავე მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კერძო აღმასრულებელმა მიმართა განჩინებაში დასახელებულ ბანკებს შპს „მ. ტ-ის“ ანგარიშებზე ყადაღის დადგების მიზნით, მაგრამ არ დასტურდება ის გარემოება, რომ აღნიშნული მოთხოვნა შესრულდა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება ამ ნაწილში ასევე აღსრულდა. ვინაიდან, განმცხადებლის მითითებით, განმარტების საკითხი უნდა ყოფილიყო სწორედ ის გარემოება, რომ 2 300 000 ლარი იყო მთლიანი უზრუნველყოფის მოცულობა თუ მხოლოდ საბანკო ანგარიშებს შექებოდა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, რადგან არ დასტურდება საბანკო ანგარიშების ასევე დაყადაღების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების უკვე აღსრულების საფუძვლით განმარტებაზე უარის თქმა შესაძლებელი არ არის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ ვინაიდან ზიანი გამოითვლილ იქნა, სავარაუდოდ, 2 500 000 ლარის ფარგლებში, შესაბამისად, სასამართლოს მიხედულობით, ზიანის ოდენობის გამოთვლის „საგარაუდობის“ გათვალისწინებით, დაუშვებელია ზიანის ოდენობის ცდომილებით მოპასუხებისათვის ზიანის მიყენება, ამდენად, ზიანის სავარაუდო ოდენობის გამოთვლისას უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო ნაკლები ოდენობის ფარგლებში, რათა იმ რისკით, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნმა პირმა გასწია ზიანის ოდენობის მიუთითებლობით, დაუშვებლად არ შეილახოს მოპასუხეთა უფლებები. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ზიანის სავარაუდო ოდენობა 2 500 000 ლარი იყო, ამიტომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა ყოფილიყო 2 300 000 ლარზე მეტი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს სარჩელის უზრუნველყო-

ფის შესახებ განჩინებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით ყადაღა დაედო დ. კ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას, ხოლო მე-4 პუნქტით ყადაღა დაედო ა) შპს „მ. ტ-ის“ მოძრავ ქონებას ბ) შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში, შესაბამისად, ნათელია, რომ 2 300 000-ლარიანი შეზღუდვა შეეხება მხოლოდ საბანკო ანგარიშებს და არ წარმოადგენს მთლიანად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მოცულობას. იგივე დასკვნა გამომდინარეობს ამავე განჩინების სამოტივაციო ნაწილიდან, ვინაიდან სასმართლო ცალკე მსჯელობს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების გზით სარჩელის უზრუნველყოფის მიზანშეწონილობაზე და უთითებს: „გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში მისაღები გადაწყვეტილება ასევე უზრუნველყოფილია მოვალეთა უძრავი და მოძრავი ქონებით. შესაბამისად, უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა უნდა დაედოს შპს „მ. ტ-ის“ საბანკო ანგარიშებს ერთობლიობაში 2 300 000 ლარის ფარგლებში“, შემდეგ სასამართლო ჩამოთვლის შესაბამის საბანკო დაწესებულებებს, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2 300 000 ლარიანი შეზღუდვა მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე ვრცელდებოდა. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით, განმარტა რა, რომ ეს ოდენობა იყო მთლიანად უზრუნველყოფის მოცულობა, შეცვალა განსამარტი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საკითხი, ფაქტობრივად, ხელახლა გადაწყვიტა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ ყადაღა გულისხმობს განკარგვის აკრძალვას. ისეთ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება მოიცავს ყადაღის დადებას უძრავ ნივთზე, შედეგის მომტანი ვერ იქნება განჩინებაში მითითება, თუ რა ღირებულების ფარგლებში უნდა დაედოს ყადაღა ამ ნივთს. უძრავი ნივთის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ იგი განუყოფელია, თუ სასამართლო უთითებს დასაყადაღებელ ობიექტად მთლიან ნივთს და თან უთითებს ღირებულებას, რომლის ფარგლებშიც უნდა გავრცელდეს ყადაღა, ამგვარი დანაწესი აღსარებულებელია, ვინაიდან უძრავი ნივთი ან მთლიანად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩელს, ან მხოლოდ მისი კონკრეტული წილი, რის შესახებაც განჩინებაში უნდა მიეთითოს. ამ

გარემოების გათვალისწინებით, ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მთლიანი უზრუნველყოფის მოცულობაა 2 300 000 ლარი, მაშინ, როდესაც, უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიება არის დ. კ-ს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლითგათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს, ამასთან, ვინაიდან საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, შპს „მ. ტ-ის“ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 411-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. 6-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინება;
3. შპს „მ. ტ-ის“ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

№ას-235-220-2014

1 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

ააიპ „თბილისის ზოოლოგიურმა პარკმა“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. ო-ის მიმართ საიჯარო თანხის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ააიპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხება ნ. ო-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5557,5 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 იანვრის განჩინებით ნ. ო-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.11.2013წ. გადაწყვეტილებაზე განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 26.11.2013 წელს. სხდომას ესწრებოდა ნ. ო-ი და მისი ნარმომადგენელი; ამდენად, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღე არის 26 დეკემბერი. მხარეს შეეძლო 26 დეკემბრამდე სასამართლოში გამოცხადება და გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ნ. ო-ს არ ჩაუბარებია გადაწყვეტილება. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 27 დეკემბერს (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს და ამონწურა 09.01.2014 წელს. სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარდგენილია 10.01.2014 წელს. ამასთან, სააპელაციო საჩივარს არ ერთვის მისი ფოსტით გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

აღნიშნული განჩინება ნ. ო-მა საჩივრით (თავისი არსით კერძო საჩივრით) გაასაჩივრა. მისი მითითებით, სააპელაციო საჩივრი მომზადდა 2014 წლის 9 იანვრისათვის, მაგრამ სასამართლოსათვის მისი ჩაბარება ვერ მოახერხა ოჯახური მდგომარეობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ მ. კ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივარი ერთადერთ გარემოებას ემყარება: ნ. ო-ი განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივარი მომზადდა 2014 წლის 9 იანვრისათვის, მაგრამ სასამართლოსათვის მისი ჩაბარება ვერ მოახერხა ოჯახური მდგომარეობის გამო. კერძო საჩივრის ავტორი ამ მიზეზით ითხოვს, რომ ვადის გადაცილება საპატიოდ ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და კრძალავს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას ან გაგრძელებას, მიუხედავად იმისა, ვადის დარღვევა საპატიო მიზეზითაა გამოწვეული თუ არა.

ვინაიდან ნ. ო-ი კერძო საჩივარში სხვა გარემოებებზე არ მიუთითებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი საჩივარი უსაფუძვლოა და რა უნდა დაკმაყოფილდეს.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ი ა:**

1. 6. ო-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 იანვრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

### **განრიცხვა**

№ას-232-217-2014

2 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

6. გ-ემ სარჩელი აღწრა სასამართლოში ც. ც-ის მიმართ 2012 წლის 21 დეკემბერს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, სადავო ქონების მესაკუთრედ 6. გ-ის ცნობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებით დაფარული გარიგების იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებად აღიარების მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 12 ნოემბრის სასამართლო სხდომას, როდესაც გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ესნრებოდა კ. ჯ-ა, რომელიც ნ. გ-ის ინტერესებს იცავდა 2013 წლის 24 სექტემბერს სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულების საფუძველზე. წარმომადგენელს სხვა საპროცესო უფლებებთან ერთად გააჩნია სასამართლო აქტის გასაჩივრების უფლებაც. საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი კ. ჯ-ამ ჩაიბარა 2013 წლის 17 დეკემბერს. სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 2013 წლის 30 დეკემბერს.

პალატამ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და განმარტა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, რომელიც ესწრება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 30 დღისა და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლებზე, რომლებითაც დადგენილია საპროცესო ვადის დენის დაწყებისა და დასრულების წესი და აღნიშნა, რომ ნ. გ-ე (ან კ. ჯ-ა) ვალდებული იყო, გადაწყვეტილების ასლის ჩასაბარებლად, ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებულიყო და მიეღლო გადაწყვეტილება არა უგვიანეს 2013 წლის 12 დეკემბრისა, რადგან ეს არ მომხდარა, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო სწორედ 2013 წლის 12 დეკემბრიდან. აპელანტს არ ნარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების ჩაბარება კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს ბრალეულობით არ მოხდა, რის გამოც ნ. გ-ის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2013 წლის 25 დეკემბრის 24:00 საათზე, ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ 2013 წლის 30 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. გ-ემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორი წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ონკოლოგიური დაავადების გამო, საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების გამოცხადებას ის თავად არ ესწრებოდა. ნ.გ-ის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლით, ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უჭირს გადაადგილება, ის კარგავს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების უფლებას, რომელიც დაემყარება მხარეთა თანამდებობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს.

ნინამდებარე კერძო საჩივარს ნ. გ-ემ დაურთო ასევე ცნობა, რომლის თანახმადაც იგი მიეკუთვნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კატეგორიას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის განჩინებით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნ. გ-ე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო ნინამდებარე კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის სხდომას, რომელზეც

გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, ესწრებოდა 6. გ-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი კ. ჯ-ა;

წარმომადგენლის უფლებამოსილება დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით დადასტურებული მიზდობილობით;

საქალაქო სასამართლოს, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით, მოსარჩელის უფლებამოსილმა წარმომადგენლმა მიმართა 2013 წლის 17 დეკემბერს და ამავე დღეს ჩაბარდა მას გადაწყვეტილება;

გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე შედგენილი ხელწერილი არ შეიცავს რაიმე მითითებას მოსარჩელის წარმომადგენლის 2013 წლის 17 დეკემბრამდე მიმართვისა და სასამართლოს ბრალით გადაწყვეტილების ჩაბარების შეუძლებლობის თაობაზე, ამასთან, ამგარი შინაარსის არც სხვა დოკუმენტი მოიპოვება საქმეში;

საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის თანახმად, 6. გ-ის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბერს მიმართა;

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლად მიიჩნია აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევა, რასაც არ ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორი და მიჩნევს, რომ მის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და ოდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით კი დადგენილია ქცევის შემდეგი წესი: თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრებს უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოც-

ხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენას უკავშირებს გარკვეულ წინაპირობებს, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირისათვის ცნობილია სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დღე, მხარე ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა და ხელზე ჩაბაროს გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროცესო ვადის დენა დაიწყება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, ნ. გ-ე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არის აკად და დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ამ გარემოების დადასტურების მიზნით კი, წარმოადგინა სამედიცინო დაწესებულების ცნობა, თავის მხრივ, შესაძლებლობის შეზღუდვის ფაქტზე მითითებული იყო ასევე სააპელაციო საჩივარში, სწორედ ამ საფუძვლიდან გამომდინარე ვერ გამოცხადდა იგი საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დღეს, რაც, მისი შეფასებით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ უნდა გახდეს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მხარის ამ არგუმენტს და ყურადღებას გამახავილებს კერძო საჩივარზე დართულ ცნობაზე, რომლის თანახმადაც მხარეს შესაძლებლობის შეზღუდვა დადგენილი აქვს მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხით და ირკვევა, რომ პირველადი შემოწმების თარილი (ანუ სტატუსი განისაზღვრა) 2014 წლის 23 იანვარს, მას შემდეგ, რაც სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გავიდა, ამდენად, როგორც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების, ისე სააპელაციო საჩივრის წარდგენის ეტაპზე პირი კანონით დადგენილი წესით არ წარმოადგენდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი პირველი პუნქტის

„მ“ ქვეპუნქტის სუბიექტს, რაც ამ კანონის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილისა და 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გაგზავნის აუცილებლობას წარმოუშობდა, შესაბამისად, უდავოდ დასტურდება, რომ 6. გ-ე წარმოადგენს 259<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილის სუბიექტს, რომლის მიმართაც დადგენილი სასამართლოში არა უგვიანეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 30-ე დღეს გამოცხადების ვალდებულება.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან დადგენილ ვადაში არც უშეუალოდ მოსარჩელე და არც მისი უფლებამოსილი წარმომადგენლი არ გამოცხადდნენ საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადებიდან 30-ე დღეს – 2013 წლის 12 დეკემბერს, რომელიც ამავდროულად საჩივრის წარდგენის პირველ დღეს წარმოადგენს და ამოიწურა 23 დეკემბერს, მხარემ კი, სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2013 წლის 30 დეკემბერს, რის გამოც არ არსებობდა მისი განსახილელად დაშვების წინაპირობა.

ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეს ჰყავდა წარმომადგენელი, რომლის მეშვეობითაც ანარმოებდა წინამდებარე დავას, თუმცა მისი არარსებობის პირობებშიც კი, თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარება, ვერ გახდება საფუძველი იმისა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გაშვება საპატიოდ იქნას მიჩნეული თანხმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილისა და 59-ე მუხლის მე-4 ნაწილისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა და სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. 6. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლო-

ბის გამო.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისა-გან გათავისუფლებულია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

## გადაცევატილების აღსრულების ხადაზმულობის ვადა

### განჩინება

№33/1266-02

4 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
თ. თოფრია

განიხილა ა. დ-ის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გა-  
ცემის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლის სამოქალაქო, სამე-ნარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 19 დე-კემბრის განჩინებით ა. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილ-და და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამე-ნარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად. ა. დ-ს და-უბრუნდა საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალში სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლოს ანგარიშზე ჩარიცხული 227 ლარი და 85 თეთრი.

2013 წლის 3 ივნისს ა. დ-მა საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მითითებულ განჩი-ნებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მომართა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. დ-ს სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

აღნიშნული ვადის დენა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან იწყება. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოსამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და კანონირ ძალაში გამოცხადებისთანავე, ანუ 2002 წლის 19 დეკემბერს შევიდა. განცხადება კი, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2013 წლის 3 ივნისასა შემოსული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ა. დ-მა გაუმგა გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნისათვის კანონით დადგენილი 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი უნდა ეთქვას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. დ-ის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საარბიტრაჟო შეთანხმება

### განვითარება

№ას-1192-1052-2010

17 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის  
შესახებ განცხადების დასაშვებობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2010 წლის 3 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. ჭ-ძემ.  
განმცხადებელმა მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნ-  
ველყოფის მიზნით ყადაღის დადება მოპასუხე მ. დ-იას საკუთ-  
რებაში არსებულ, ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე 315 კვ.მ მი-  
ნის ნაკვეთსა და 79.10 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (საკადასტრო  
კოდი – № ....).

განცხადების თანახმად, 2008 წლის 10 ივლისს მ. ჭ-ძესა და  
მ. დ-იას შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულე-  
ბა, რომლითაც მ. ჭ-ძემ მ. დ-იას ასესხა 15000 აშშ დოლარი სამი  
თვის ვადით ყოველთვიური 3% სარგებლის დარიცხვით. ეს ხელ-  
შეკრულება დამოწმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. სესხის დაბ-  
რუნება უზრუნველყოლია იპოთეკით, რომლის საგანს ნარ-  
მოადგენს მ. დ-იას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება –  
ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე 315 კვ.მ მინის ნაკვეთი 79.10  
კვ.მ შენობა-ნაგებობასთან ერთად. ხელშეკრულებით განსაზ-  
ღვრულია, რომ თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვე-  
ვაში მესაკუთრე იპოთეკარს გადაუხდის პირგასამტებლოს სეს-  
ხის თანხის 3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღე-  
ზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე  
ნებისმიერი დავა უნდა გადაწყვიტოს კერძო არბიტრაჟმა ერთ  
არბიტრის მონაწილეობით, რომლის გადაწყვეტილება საპოლო-  
ოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. მოპასუხებ, განმცხა-  
დებლის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ შეასრულა ვალ-  
დებულება, რის გამოც ამ უკანასკნელმა საარბიტრაჟო სარჩე-

ლით მიმართა კერძო არბიტრაჟს – სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟ „მედიატორს“. აღნიშნული არბიტრაჟის თავმჯდომარის 2010 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით მ. ჭ-ძის საარბიტრაჟო სარჩელით განსახილველ საქმეზე დაინცო წარმოება. ქ.თბილისში, ... ქ.№9-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი № ..... ) ირიცხება მ. დ-იას სახელზე, რომელსაც განმცხადებლის მოსაზრებით, შეუძლია გაასხვისოს (გაყიდოს, გააჩუქროს და ა.შ.) იგი. აღნიშნული გარემოება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. განმცხადებლის მითითებით, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის სახით უძრავ ნივთზე ყადაღის დადება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს აუცილებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინებით მ. ჭ-ძეს უარი ეთქვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები. ამავე კოდექსის 356<sup>14</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჭ-ძეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ შპს „სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟ – მედიატორში“ წარდგენილი აქვს საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხე მ. დ-იას მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. საარბიტრაჟო მოთხოვნა ემყარება 2008 წლის 10 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს კერძო არბიტრაჟმა, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ

იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებული საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორშერივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეცვეტისაკენ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება ასევე წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შინაარსობრივად ურთიერთობანმხვედრი ნების გამოვლენას (გარიგებას), რომელიც უნდა აგმაყოფილებდეს ნების გამოვლენის ნამდვილობის ყველა წინაპირობას. კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას. შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. პათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზოგადი დათქმა დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო შეთანხმებად, ვინაიდან მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების არსებით პირობაზე – კონკრეტულ არბიტრაჟზე, რომლის კომპეტენციასაც აღიარებს ორივე მხარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დასკვნა, რომ მხარეები არ შეთანხმებულან მუდმივ-

მოქმედ არბიტრაჟ შპს „სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟ – მედიატორში“ დავის განხილვის თაობაზე, რის გამოც იგი არ იყო უფლებამოსილი განეხილა მ. ჭ-ძის საარბიტრაჟო სარჩელი მ. დის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. მ. ჭ-ძეს დარღვეული უფლების დაცვის მიზნით უფლება ჰქონდა მიემართა განსაჯადი სასამართლოსათვის საერთო სასამარჩელო წარმოების წესების დაცვით და ასევე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამყენების შუამდგომლობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჭ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში არსად არ არის აღნიშნული, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შეიცავდეს საქმის განმხილველი არბიტრაჟის დასახელებას. ასეთი მოთხოვნა არ არსებობდა არც 2008 წლის 10 ივლისს, როდესაც მხარეებს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჭ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, მ. ჭ-ძეს შპს „სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟ – მედიატორში“ წარდგენილი აქვს საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხება მ. დის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. საარბიტრაჟო მოთხოვნა ეფუძნება მხარეთა შორის 2008 წლის 10 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ერთმა კერძო არბიტრაჟმა, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე მხარე.

მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მ. ჭ-ძის განცხადების წარმოებაში მიღებაზე სააპელაციო სასამართლოს უარი დასაბუთებულია იმით, რომ

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ შეთანხმებულან კონკრეტულ არბიტრაჟზე, რის გამოც შპს „სამოქალაქო საქმეთა არბიტრაჟი – მედიატორი“ არ იყო უფლება-მოსილი განეხილა მ. ჭ-ძის საარბიტრაჟო სარჩელი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მ. ჭ-ძეს დარღვეული უფლების დაცვის მიზნით შეუძლია მიმართოს განსჯად სასამართლოს საერთო სასარჩელო წარმოების წესების დაცვით და ასევე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სა-სამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის მოტივებს.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს, რომ არც მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების დროს (2008 წლის 10 ივლისის მდგომარეობით) მოქმედი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და არც ამჟამად მოქმედი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონები არ ითვალისწინებენ მხარეთა შეთანხმებაში კონკრეტულ არბიტრაჟზე მითითების ვალ-დებულებას.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონის (გაუქმდა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონით) პირველი მუხლის შესაბამისად, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს; შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) იდება წერილობით.

„არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას შათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას.

კანონის დასახელებული ნორმების შინაარსი ცხადყოფს,

რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შე-თანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნე-ბის გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტუ-ლი არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობა-ზე. როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს არ-ბიტრაჟმა და არა სასამართლომ, იმუფროულად ისინი გამოხა-ტავენ ნებას, რომ თანახმა არიან მათ დავაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს საარბიტრაჟოში განხილვის წესით, რაც მნიშ-ვნელოვნად განსხვავდება საერთო სასამართლოებში სამოქა-ლაქო საქმის განხილვის წესისაგან. ასეთ შემთხვევაში მხარე-თა გადაწყვეტილებას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს ნდო-ბა მუდმივმოქმედი თუ კონკრეტული კერძო არბიტრაჟისადმი. შესაბამისად, მხარეთა ნება დავის ამგვარი წესით განხილვის შესახებ ემყარება მათ ნდობას შერჩეული არბიტრაჟისადმი, რომელიც კანონის თანახმად შეიძლება იყოს როგორც მუდმივ-მოქმედი, აგრეთვე დროებითი, კონკრეტული დავისათვის სა-განგებოდ შექმნილი.

ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება – ესაა კერძო-სამარ-თლებრივი შეთანხმება საპროცესო ურთიერთობების ფორმის არჩევის შესახებ. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუ-კიდებლად, ასევე წარმოადგენდეს მხარეთა შორის დადებული სახელშეკრულები ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას. ნებისმი-ერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსე-ბული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნ-და შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტ-რაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საარ-ბიტრაჟო შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა ირკვეოდეს მხარეთა სურვილი, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურ-თიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს შესაბამის არბიტრაჟს და არა საერთო სასამართლოს. ამ შეთან-ხმებით ასევე ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამარ-თლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განი-ხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრა-ჟის იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა. ბა-თილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არ-ბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედ-ვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტ-რაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომ-დინარეობდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც შემთხვევაში 2008 წლის 10 ივნისს მ. ჭ-ძესა და მ. დ-იას შორის დადებულ სესხისა და იპოთეკის ხელ-შეკრულებაში არსებული დათქმა ვერ მიიჩნევა კონკრეტულ არ-ბიტრაჟზე შეთანხმებად. შესაბამისად, განმცხადებელს სწორად ეთქვა უარი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შე-სახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ჭ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საარბიტრაჟო შეთანხმება**

#### **განვითარება**

№ას-569-536-2010

17 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენეველი),  
ნ. კვანტალიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო შეთანხმების პათილად ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 2 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართაუ. ჭ-იამ (წარ-მომადგენელი დ. ფ-ია) მოპასუხეցდის: მ. კ-ძის, ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელის, მ. ბ-შეილისა და დ. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა

2003 წლის 16 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების მე-14 პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით უ. ჯ-იას სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2002 წლის 10 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით უ. ჯ-იამ ა. მ-ოვისაგან ისესხა 2 400 აშშ დოლარი, ხოლო გ. ხ-ოვისაგან – 4 920 აშშ დოლარი 2 თვის ვადით. ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა თბილისში, ... ქ. №3-ში მდებარე №7 ბინა;

სესხის ვადის გასვლის შემდეგ, გ. ხ-ოვმა უ. ჯ-იასაგან მოითხოვა 4 920 აშშ დოლარის დაბრუნება, რაც უ. ჯ-იამ ვერ შესძლო. 2002 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება 2002 წლის 10 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ, რომლის მიხედვითაც იპოთეკარ გ. ხ-ოვს ხელშეკრულებაში ჩაენაცვლნენ დ. კ-ძე და ნ. ბ-ძე. ხელშეკრულებით გ-ზღვრა სესხის თანხის რდენობა, კერძოდ, უ. ჯ-იას ნ. ბ-ძემ ასესხა 5 800 აშშ დოლარი, ა. მ-ოვმა – 2 500 აშშ დოლარი, დ. კ-ძემ – 1 240 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით თვეში 2% სარგებლის დარიცხვით. ხელშეკრულება დამონმდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ;

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ხელშეკრულების მხარეებად დარჩნენ უ. ჯ-ია (მსესხებელი), ერთი მხრივ, ა. მ-ოვი, დ. კ-ძე და ნ. ბ-ძე (იპოთეკარები), მეორე მხრივი;

2003 წლის 16 ივნისს მხარეებმა გააუქმეს 2002 წლის 12 დეკემბერს დადებული შეთანხმება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ;

2003 წლის 16 ივნისს, ერთი მხრივ, უ. ჯ-იას (გამყიდველი) და, მეორე მხრივ, ნ. ბ-ძეს, ლ. დ-ელსა და მ. ბ-შვილს (მყიდველები) შორის, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ნ. ბ-ძემ, ლ. დ-ელმა და მ. ბ-შვილმა იყიდეს თბილისში, ... ქ. №3-ში მდებარე ბინა №7 12 840 აშშ დოლარად. ხელშეკრულება დამონმდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ;

ნასყიდობის ხელშეკრულების მე-14 პუნქტით გ-ზღვრა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულებიდან ნარმოშობილი დავა უნდა განეხილა შპს „საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს“ (მდებარე თბილისი, ... ქ. №7-ში, მე-5 სართულზე) ერთი არბიტრის

შემადგენლობით, რომელსაც ნიშნავდა არბიტრაჟი, ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება (დათქმა) იყო ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

ხელშეკრულების მე-18 პუნქტის თანახმად, მხარეებმა ნაიკითხეს ხელშეკრულება, რის შემდეგაც მოაწერეს მას ხელი, ხოლო ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს;

შპს „საქართველოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა“ 2003 წლის 10 სექტემბერს განიხილა მხარეთა შორის დავა და მიიღო გადაწყვეტილება უ. ჯ-იას ბინიდან გამოსახლების შესახებ, რაზეც იმავე დღეს გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე, უ. ჯ-იას მეუღლე დ. ხ-ავამ 2004 წლის იანვარში აღძრა სარჩელი ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელის, მ. ბ-შვილისა და თავისი მეუღლე უ. ჯ-იას წინააღმდეგ – მათ შორის 2003 წლის 16 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების, სამკიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ხ-ავა ცნობილ იქნა ბინის ნაწილის მესაკუთრედ;

6. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 9 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ხ-ავას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დ. ხ-ავამ შეიტანა საჩივრი, რაც არ დაკმაყოფილდა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით. ამაზე დ. ხ-ავამ წარადგინა საკასაციო საჩივრარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც საქმის განხილვის დროს – 2005 წლის 4 თებერვალს მხარეები მორიგდნენ. მორიგების პირობების თანახმად, უ. ჯ-იასა და დ. ხ-ავას 2 თვის ვადაში უნდა გადაეხადათ 20 000 აშშ დოლარი ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიცემოდა სააღსრულებო ფურცელი ბინიდან მათი გამოსახლების შესახებ;

ამდენად, მხარეთა მორიგების პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო აღსრულებული არბიტრაჟის 2003 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება;

2005 წლის 18 აპრილს უ. ჯ-იამ განცხადებით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს, რათა შეჩრებულიყო შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2003 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულება ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ, რაც 25 აპრილს დაკმაყოფილი იყო.

ფილდა იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობდა გამოძიება ლ. ჭ-ძის (შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ თავმჯდომარე), ნ. ბ-ძისა და დ. კ-ძის მიმართ;

ამდენად, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების საფუძველზე უ. ჯ-იამ და მისმა მეუღლე დ. ხ-ავამ იყისრეს ვალდებულება 2005 წლის 4 აპრილამდე ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილისათვის 20 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, 2005 წლის 18 აპრილს (მორიგებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ) უ. ჯ-იამ პარალელურად მიმართა სასამართლოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მოთხოვნით.

2005 წლს 25 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი ... ქ. №3-ში მდებარე №7 ბინიდან დ. ხ-ავასა და უ. ჯ-იას გამოსახლების თაობაზე, ვინაიდან მათ დაარღვიეს მორიგების პირობები და არ გადაიხადეს 20 000 აშშ დოლარი ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილის სასარგებლოდ;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა და არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა ერთსა და იმავე დღეს – 2005 წლის 25 აპრილს.

2005 წლის 21 და 31 დეკემბერს, 2006 წლის 9 თებერვალს ნ. ბ-ძის, დ. კ-ძისა და მ. კ-ძის მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმებები, გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენები, რომელთა მიხედვითაც მათ მსჯავრი დაედოთ უ. ჯ-იას საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლებაში. განაჩენებით მიჩნეულ იქნა, რომ 2002 წლის 12 დეკემბერს ნ. ბ-ძემ და დ. კ-ძემ გადაუხადეს 4 920 აშშ დოლარი გ. ხ-ოვს, ჩაენაცვლნენ მას იპოთეკის ხელშეკრულებაში, რა დროსაც ახალ ხელშეკრულებაში მოტყუებით დააფიქსირეს, რომ 1 240 აშშ დოლარი უ. ჯ-იას ასესხა დ. კ-ძემ, ხოლო 5 800 აშშ დოლარი – ნ. ბ-ძემ 3 თვის ვადით 2% სარგებლის დარიცხვით. 2003 წლის ივნისში ნ. ბ-ძემ და დ. კ-ძემ უ. ჯ-იას ვალის გასტუმრება მოსთხოვეს, რის შემდეგაც შესთავაზეს თითქოსდა ახალი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება 12 840 აშშ დოლარზე, მაგრამ ნაცვლად სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებისა, 2003 წლის 16 ივნისს ნოტარიუს მ. კ-ძესთან მოტყუებით, თვალომაქცურად, რათა არ დარღვეულიყო სამოქალაქი კოდექსის 302-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, ჯერ გააფორმეს შეთანხმება 2002 წლის 12 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება.

ბის შესახებ, ხოლო იმავე დღეს, იმავე ნოტარიუსის მეშვეობით მოტყუებით გააფორმეს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უ. ჯ-იას ბინა იყიდეს ნ. ბ-ძემ, ლ. დ-ელმა და მ. ბ-შვილმა 12 840 აშშ დოლარად. შპს „საქართველოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა“ განიხილა და დაკმაყოფილა იპოთეკარების მოთხოვნა უ. ჯ-იას ბინიდან გამოსახლების შესახებ, რითაც ისინი მოტყუებით დაეუფლნენ უ. ჯ-იას 50 000 ლარად ლირებულ ბინას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყო ჩვეულებრივი ხელშეკრულება (გარიგება), რომელზეც ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები გარიგების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სარბიტრაჟო შეთანხმება (დათქმა) იყო ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, იგი განხილული უნდა ყოფილიყო არა ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად, არამედ, როგორც დამოუკიდებელი გარიგება (ხელშეკრულება), რის გამოც არ შეიძლებოდა, მასზე ე.წ. თანამდევ შედეგად გავრცელებულიყო სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტები და გარემოებები ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგინდა მ. კ-ძის, ნ. ბ-ძისა და დ. კ-ძის მიერ უ. ჯ-იას 50 000 ლარად ლირებული საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლების გარემოება (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული), ხოლო უშუალოდ სარბიტრაჟოშეთანხმების, როგორც ცალკე აღებული გარიგების მოტყუებით დადგების ფაქტობრივი გარემოება ამ განაჩენით დადგენილი არ იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიუხედავად მ. კ-ძის, ნ. ბ-ძის და დ. კ-ძის მიერ უ. ჯ-იას ბინის თაღლითურად დაუფლებისა, უ. ჯ-იას გამოხატული ჰქონდა წება – ხასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე, სანინააღმდეგო გარემოება კი, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უ. ჯ-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინებით უ. ჯ-იას სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-

ის 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე, მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტი სადაც საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას ითხოვდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება კანონსაწინააღმდეგო დაიდო მისი ბინის მისაკუთრების განზრახვით. შესაბამისად, რომ არა აღნიშნული ვითარების დაფარვა, უ. ჯ-ია არ დადებდა საარბიტრაჟო შეთანხმებას. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარეები მოქმედებდნენ კანონსაწინააღმდეგო გზით აპელანტის ბინის ხელში ჩადების მიზნით, მაგრამ აღნიშნული გარემოება ვერ გახდებოდა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთადერთი ფუნქციია, რომ განსაზღვროს დავის განხილვაზე უფლებამოსილი სუბიექტი საარბიტრაჟო სასამართლოს სახით. ის არ მოიცავს დავის განხილვის შესაძლო შედეგებს და, შესაბამისად, ვერ გახდებოდა მოწინააღმდეგე მხარეთა კანონსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევის საშუალება.

რაც შეეხებოდა აპელანტის მითითებას საარბიტრაჟო სასამართლოს დანაშაულებრივ კავშირზე მოწინააღმდეგე მხარეებთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული შეიძლებოდა გამხდარიყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და არა შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა უ. ჯ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორმა საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამძღვრებზე მიუთითა:

1. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა არა იმაზე, ბათილად უნდა იქნეს თუ არა ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულების მე-14 პუნქტი საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ, რაც სინამდვილეში წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, არამედ თავად ამ ხელშეკრულების კანონიერებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენდა მოტყუებით დადებულ გარიგებას. მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად უ. ჯ-იამ დროულად მიმართა ფინანსურ პოლიციას, რომელმაც დაადგინა, რომ იგი ნამ-

დვილად მოატყუეს. სასამართლო განაჩენით ნოტარიუს მ. კ-ძესა და იპოთეკარებს მის სასარგებლოდ დაეკისრათ თაღლი-თურად დაუფლებული ბინის მთლიანი ღირებულების – 50 000 აშშ დოლარის გადახდა;

2. მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ნოტარიუს მ. კ-ძის აღიარება იმის თაობაზე, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშექრულების გაფორმებისას იგი ყოველთვის ავტომატურად უთითებდა შესაძლო დავის განმხილველ ორგანოდ საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს;

3. სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა;

4. 2003 წლის 16 ივნისის ნასყიდობის ხელშექრულების მე-14 პუნქტი არ არის დამოუკიდებელი გარიგება, არამედ წარმოადგენს ხელშექრულების ერთ-ერთ პირობას იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მიმართონ მხარეებმა დავის წამოჭრის შემთხვევაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ უ. ჯ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

2002 წლის 10 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშექრულებით უ. ჯ-იამ ა. მ-ოვისაგან ისესხა 2 400 აშშ დოლარი, ხოლო გ. ხ-ოვისაგან – 4 920 აშშ დოლარი 2 თვის ვადით. ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა თბილისში, ... ქ. №3-ში მდებარე №7 ბინა;

სესხის ვადის გასვლის შემდეგ, გ. ხ-ოვმა უ. ჯ-იასაგან მოითხოვა 4 920 აშშ დოლარის დაბრუნება, რაც უ. ჯ-იამ ვერ შესძლო. 2002 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა ხელშექრულება 2002 წლის 10 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშექრულების პირობების შეცვლის შესახებ, რომლის მიხედვითაც იპოთეკარ გ. ხ-ოვს ხელშექრულებაში ჩანაცვლნენ დ. კ-ძე და ნ. ბ-ძე. ხელშექრულებით განესაზღვრა სესხის თანხის ოდენობა, კერძოდ, უ. ჯ-იას ნ. ბ-ძემ ასესხა 5 800 აშშ დოლარი, ა. მ-ოვმა – 2 500 აშშ დოლარი, დ. კ-ძემ – 1 240 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით თვეში 2% სარგებლის დარიცხვით. ხელშექრულება დამონმდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ;

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ხელშეკრულების მხარეებად დარჩნენ უ. ჯ-ია (მსესხებელი), ერთის მხრივ, ა. მ-ოვი, დ. კ-ძე და ნ. ბ-ძე (იპოთეკარები), მეორე მხრივ;

2003 წლის 16 ივნისს მხარეებმა გააუქმეს 2002 წლის 12 დეკემბერს დადგებული შეთანხმება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ;

2003 წლის 16 ივნისს, ერთი მხრივ, უ. ჯ-იას (გამყიდველი) და, მეორე მხრივ, ნ. ბ-ძეს, ლ. დ-ელსა და მ. ბ-შვილს (მყიდველები) შორის, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ნ. ბ-ძემ, ლ. დ-ელმა და მ. ბ-შვილმა იყიდეს თბილისში, ... ქ. №3-ში მდებარე ბინა №7 12 840 აშშ დოლარად. ხელშეკრულება დამონმდდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ;

ნასყიდობის ხელშეკრულების მე-14 პუნქტით გ-ზღვრა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა უნდა განეხილა შპს „საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს“ (მდებარე თბილისი, უ. შარტავას ქ. №7-ში, მე-5 სართულზე) ერთი არბიტრის შემადგენლობით, რომელსაც ნიშნავდა არბიტრაჟი, ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება (დათქმა) იყო ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

ხელშეკრულების მე-18 პუნქტის თანახმად, მხარეებმა წაიკითხეს ხელშეკრულება, რის შემდეგაც მოაწერეს მას ხელი, ხოლო ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს;

შპს „საქართველოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა“ 2003 წლის 10 სექტემბერს განიხილა მხარეთა შორის დავა და მიიღო გადაწყვეტილება უ. ჯ-იას ბინიდან გამოსახლების შესახებ, რაზეც იმავე დღეს გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე, უ. ჯ-იას მეუღლე დ. ხ-ავამ 2004 წლის იანვარში აღძრა სარჩელი ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელის, მ. ბ-შვილისა და თავისი მეუღლე უ. ჯ-იას წინააღმდეგ – მათ შორის 2003 წლის 16 ივნისს დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების, სამკითხოებრივ მოწმობაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ხ-ავა ცნობილ იქნა ბინის ნაწილის მესაკუთრედ;

ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 9 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ხ-ავას სარჩელის დაკმაყოფილდა;

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დ. ხ-ავამ შეიტანა საჩი-

ვარი, რაც არ დაკმაყოფილდა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით. ამაზე დ. ხ-ავამ წარადგინა საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც საქმის განხილვის დროს – 2005 წლის 4 თებერვალს მხარეები მორიგდნენ. მორიგების პირობების თანახმად, უ. ჯ-იასა და დ. ხ-ავას 2 თვის ვადაში უნდა გადაეხადათ 20 000 აშშ დოლარი ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიცემოდა სააღსრულებო ფურცელი ბინიდან მათი გამოსახლების შესახებ;

ამდენად, მხარეთა მორიგების პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო აღსრულებული არბიტრაჟის 2003 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება;

2005 წლის 18 აპრილს უ. ჯ-იამ განცხადებით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს, რათა შეჩერებულიყო შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2003 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულება ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ, რაც 25 აპრილს დაკმაყოფილდა იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობდა გამოძიება ლ. ჭ-ძის (შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ თავმჯდომარე), ნ. ბ-ძისა და დ. კ-ძის მიმართ;

ამდენად, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების საფუძველზე უ. ჯ-იამ და მისმა მეულე დ. ხ-ავამ იკისრეს ვალდებულება 2005 წლის 4 აპრილამდე ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილისათვის 20 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, 2005 წლის 18 აპრილს (მორიგებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ) უ. ჯ-იამ პარალელურად მიმართა სასამართლოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მოთხოვნით.

2005 წლს 25 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი ... ქ. №3-ში მდებარე №7 ბინიდან დ. ხ-ავასა და უ. ჯ-იას გამოსახლების თაობაზე, ვინადან მათ დაარღვიეს მორიგების პირობები და არ გადაიხადეს 20 000 აშშ დოლარი ნ. ბ-ძის, ლ. დ-ელისა და მ. ბ-შვილის სასარგებლოდ;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა და არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა ერთსა და იმავე დღეს – 2005 წლის 25 აპრილს.

2005 წლის 21 და 31 დეკემბერს, 2006 წლის 9 თებერვალს ნ. ბ-ძის, დ. კ-ძისა და მ. კ-ძის მიმართ დამტკიცდა საპროცესო

შეთანხმებები, გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენები, რომელთა მიხედვითაც მათ მსჯავრი დაედოთ უ. ჯ-იას საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლებაში. განაჩენებით მიჩნეულ იქნა, რომ 2002 წლის 12 დეკემბერს 6. ბ-ძემ და დ. კ-ძემ გადაუხადეს 4 920 აშშ დოლარი გ. ხ-ოვს, ჩაენაცვლნენ მას იპოთეკის ხელშეკრულებაში, რა დორსაც ახალ ხელშეკრულებაში მოტყუებით დააფიქსირეს, რომ 1 240 აშშ დოლარი უ. ჯ-იას ასესხა დ. კ-ძემ, ხოლო 5 800 აშშ დოლარი – 6. ბ-ძემ 3 თვის ვადით 2% სარგებლის დარიცხვით. 2003 წლის ივნისში 6. ბ-ძემ და დ. კ-ძემ უ. ჯ-იას ვალის გასტუმრება მოსთხოვეს, როს შემდეგაც შესთავაზეს თითქოსდა ახალი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება 12 840 აშშ დოლარზე, მაგრამ ნაცვლად სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებისა, 2003 წლის 16 ივნისს ნოტარიუს მ. კ-ძესთან მოტყუებით, თვალთმაქცურად, რათა არ დარღვეულყო სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, ჯერ გააფორმეს შეთანხმება 2002 წლის 12 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, ხოლო იმავე დღეს, იმავე ნოტარიუსის მეშვეობით მოტყუებით გააფორმეს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უ. ჯ-იას ბინა იყიდეს 6. ბ-ძემ, ლ. დ-ელმა და მ. ბ-შვილმა 12 840 აშშ დოლარად. შპს „საქართველოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა“ განიხილა და დააკმაყოფილა იპოთეკარების მოთხოვნა უ. ჯ-იას ბინიდან გამოსახლების შესახებ, რითაც ისინი მოტყუებით დაუუფლნენ უ. ჯ-იას 50 000 ლარად ღირებულ ბინას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცხობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო პალატისათვის.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ასევეა გარიგება და მის მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, რომლის დაუცველობამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ბათილობა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე საარბიტრაჟო შე-თანხმების ბათილად ცნობას ითხოვდა როგორც მოტყუებით და-დებული გარიგებისა და აღნიშნულის დასადასტურებლად სის-ხლის სასამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენებზე უთითებ-და, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ უ. ჯ-ისა და მო-პასუხებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზარებს კასატორის მტკიცებას, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენით დასტურ-დება საარბიტრაჟო შეთანხმების მოტყუებით დადების ფაქტი.

კერძო სამართალი იცნობს კომპლექსურ ხელშეკრულებებს, რომლებიც თავის თავში რამდენიმე გარიგებას აერთიანებს. ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი გარიგების მიმართ პათილობის სა-ფუძვლის არსებობა არ ნიშნავს დანარჩენი გარიგებების ბათი-ლობასაც, თუ ამგვარი კანონით არაა დადგენილი.

მართალია, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განა-ჩენებიდან შეიძლება ირკვეოდეს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობა, მაგრამ აღნიშნული ვერ გავრცელდება საარიტრაჟო შეთანხმებაზე, რომელიც მხოლოდ დავის გადაწყვეტის განსჯად ორგანოს ადგენს და თავად ნას-ყიდობის პირობება არ ეხება. საქმიდან არ ირკვევა უშუალოდ აღნიშნული პირობის მიმართ მოტყუების ან ბათილად ცნობის სხვა საფუძვლის არსებობა.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასა-მართლოს მტკიცებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავში-რებით.

სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავი (საცილო გარიგებანი) ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს (ერთი თვე შეცდომით დადებული გარიგებისათვის, დანარჩენ შემთხვევებ-ში – ერთი წელი). თუნდაც ჩაითვალოს, რომ მხარემ მოტყუების შესახებ განაჩენების მიღების შემდეგ შეიტყო – 2005 წლის 21 და 31 დეკემბერს ან 2006 წლის 9 თებერვალს (რაც ნაკლებად სავარაუდოა), უ. ჯ-ისა სასარჩელო განცხადება ხანდაზმულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ ქვე-პუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფი-ლებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვე-ვას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალტა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სა-მართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. უ. ჯ-იას საკასაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპირალი

უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევა .....	3
პროცესის ხარჯების განაწილება .....	19
უწყების ჩაბარება .....	30
მტკიცებულებების შეფასება .....	35
იურიდიული ინტერესი .....	50
სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენება .....	65; 69; 75; 80
დაუსწრებელი გადაწყვეტილება .....	84; 92; 100; 108
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები .....	121; 125; 130
გადაწყვეტილების განმარტება .....	139
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა .....	151; 153
გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა .....	159
საარბიტრაჟო შეთანხმება .....	161; 167